

Годъ изданія III-й

ԹԱՐՅԱ ՀԱՅԱՍՏԱՆ

ГОРОДЪ

И ЗЕМСТВО

ՅԱՍՈ ԵՌԱՅՐՈՒՄ 50 ԹԱՅ.

Цѣна номера 50 руб.

№ 5

ԹԱՅՈՒԹԻՒՆ
ТИФЛИСЬ

15 ՅԱՐՅՈ
марта 1920 թ.

მიიღება ხელის მოწერა 1920 წლისათვის.

ორკვირეული უზრნალი

ე რ ტ კ ა რ

24 № ზელიჯადში. დ ე რ ტ კ ა რ ა რ ი

ზელიჯადი გვ-3.

(ყოფილი უზრნალი „კავკასიის ქალაქი“).

ოჩგანი მრობათა და ჩალაჭთა კავკასიის მისამართის.

გამოდის ქართველ და ოქსენ განყოფილებებით.

რედაქტორები: ა. ს. ბრიტნევისა და ლ. ი. ნათაძე.

ხელისმოწერის პირობანი:

ერთი წლით	500 მან.
ნახევარი წლით	275 „
სამი თვეთ	140 „
ცალკე ნომერი	30 „

განცხადებების ფასი:

პეტიტის სტრიქ. ტექ. წინ-3 მ.
უკან-2 მ.
ვინც „ქალაქი“ და ერთ „შმრივე-
ლობები ალაგი ებერნ, მათ გადა-

სდებათ ხანგარი.

უზრნალი მიზანი ისახავს ადგილობ. მართველ. თეორიულ და პრაქტიკ. საკითხების ყოველ
მხრივს გარკვევა-გაშუქებას, მის იდენტის განმტკიცებას და გაფართოებას.

უზრნალში მოთავსებულ წერილებში შემდეგი საკითხები იყო გარკვეული: ქალაქის და
ერობის ორგანიზაცია, ფინანსები, წარმოების მუნიციპალიტეაცია, მუნიციპალური უფლება,
მედიცინა, სანიტარია, საბაზო განათლება, გზები, უცამების საქმე, სტატისტიკა და სხ. იძენებოდა
კორესპონდენციები ადგილებიდან, ქრონიკა, ბიბლიოგრაფია, სავალდებულ
დადგენილებანი.

1919 წელში უზრნალში მონაწილეობას იღებდნენ:

ინკ. ა. ბაბიცი, უზრ. რედაქ. ა. ბრიტნევისა, კატო-ბ-ძე, შორმის ბირჟის
გამ. ნ. გიგი, სტატისტ. ა. გონჩაროვი, ოზურგ. ქალ. თავი ვ. ლლანტი,
ინკ. მ. ფადანივი, დამტურ. კრებ. წევრი ი. ი. ირემა-შვილი, პრ.-დოცენტი,
ლ. იშკოვი, რუს. ნაც. საბჭოს თავმჯდომარე ა. კალიუჯნი, სენატორი დ.
კალანდარიშვილი, არჩიტექტორი ტ. კრერი, ექიმი პ. კიკალიშვილი,
ლაბორატორი ნ. ვინავა, უზრბალისტი დ. კორენევი, აგრონომი ი. ქურდიანი,
ინკ. რ. კულანდა, თელავის ქალაქის თავი ა. ლანცია, ფერშელა რ. ლევიტი,
ექ. ი. ლომაზური სტატისტიკისი ი. ლიადოვი, ექიმი ა. მაღალაშვილი,
ნაფ. ვექ., მ. მადდისონი, ეკონომისტი ტ. მარგველაშვილი, ეკონ. გ. მამო-
ნივა, ინკ. ივ. მემმარიაშვილი, ინკ. გ. მეფუჭერტო, გ. ნანგიშვილი, დამტ.
კრებ. წევ. ლ. ნათაძე, დამტ. კრებ. წევ. თბ. გრიმ. საბჭოს თავმჯდ. დ. ანია-
შვილი, ქალ. კონტროლი ლ. პეტრაკოვსკი, ერობის მოღვაწე პსკოფიზი,
ქუთ. ქალ. თავი ს. რობაქიძე, ექ. ნ. რუხაძე, ძველი ერობელი, უზრნალ.
მ. სმილნოვი, აგრონ. გ. სოკოლივა, უზრბალ. გ. თუმანვი, აგრონ. ტ.
უვაროვი, ქალ. გამც. ყოფ. წევრი ი. ჩერქეზიშვილი, ერობის მოღვაწე
ს. კანტურიშვილი, ქალ. კავშ. თავმჯდ. დაფ. კ. წევრი ნ. ელიაშვა, ინკ.
ა. ესენი, იურასტი ვ. იანოვიჩი.

რედაქტის და კანტურია იმყოფება: თბილისი, პუშკინის ქუჩა,
ს 3 ქალაქთა კავშირის ბინა.

ЭЖИРДА და ქალაქი

— ۲ ۶ ۸ ۲ ۶ ۰ —

ერგაოს და ქალაქთა კავშირის

თხევაზე გამოცემა მუნიციპალურ გითხვების შესახებ.

5-675

ГОРОДЪ И ЗЕМСТВО

Органъ Союзовъ Городовъ и Земствъ Республики
Грузіи.

Двухнедѣльное изданіе по вопросамъ муниципальной жизни.



№ 5

თბილისი
Тифлисъ

15 თართ 1920 წ.



შ 0 6 ა ა რ ს ი:

გ ა რ თ უ ლ ა დ:

	გვერდ.
ბიქტორ თევზაია.—კერძო და საზოგადოებრივი წარმოება	3— 7
პროფ. ს. ავალიანი.—ერობა და კომპერაცია	7—11
დ. კალანდარიშვილი.—მუნიციპალური საკოსულტო ბიურო	11—17
გ. მაღარაძე.—რა აბრკოლებს ჩვენს ერობებს	17—23
ვ. ხახანაშვილი.—თვითმმართველობის ფინანსიური უფლებები	23—33
კ. ფირცხალაიშვილი.—თბილისის ახალი წყალსადენის შესახ. ქრონიკა.	33—43

რ უ ს უ ლ ა დ:

	გვერდ.
პროფ. ს. ავალიანი.—კომუნალური ქრედიტი	1— 5
ვ. ახობაძე-ტკაჩევი.—სად არის სსნა?	5—16
პ. გამურელიძე.—ქალაქების ლომბარდები	17—22
ე. მადდისონი.—ქალაქები და ბეითალმანი ქონებანი	22—27
იაკ. პეტრაკოვები.—განხილვა კონტროლის მიერ ქალ. დაწესებულ. ხარჯთ-ალტიცხვისა	27—34
ბ. უვაროვი.—საერთო აგრობ. მუშაობის ძირითადი მიზნები	35—39
ივ. შმაკოვი.—აგრარული რეფორმის გატარება	39—45
ქრონიკა.	

С о д е р ж а н і е:

На грузинскомъ:

	Страницы
Вик. Тевзая.—Частное и общественное предпріятие	3— 7
Проф. С. Аваліани.—Земство и Кооперація	7—11
Д. Каландаришвили.—Муниципальное консультац. бюро.	11—17
Г. Магнарадзе.—Что препятствует нашимъ Земствамъ.	17—23
В. Хаханашвили.—Финансов. права самоуправлений	23—33
К. Пирцхалашвили.—О новомъ Тифл. водопроводѣ	33—43

Хроника.

На русскомъ:

	Страницы
Проф. С. Аваліани—Коммунальный кредитъ	1— 5
В. Ахобадзе-Ткачевъ.—Гдѣ же выходъ?	5—16
П. Гамкелидзэ.—Городские ломбарды	17—22
Е. Маддисонъ.—Города и вымороочные имущества	22—27
Я. Петраковскій.—Разсмотр. контролемъ смѣтъ гор. учр.	27—34
Б. Уваровъ.—Основные задачи земск. агроном. работы	35—39
Ив. Шмаковъ.—Проведеніе аграрной реформы	39—45

См. хронику на послѣдней страницѣ.

კერძო და საზოგადოებრივი წარმოება*).

II

მიზან-შეწონილი ორგანიზაცია.

სოციალისტების შეთაურები, თვით დემოკრატიულ ქვეყნებშიაც, ხშირად წინააღმდეგნი იყენება ამა თუ იმ წარმოების სახელმწიფოს ხელში გადასკლის. ერთი უმთავრესი მოსახრება იყო იმ ბიუროკრატიის შიში, რომელსაც სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში უდიდესი აღგილი უჭირავს, რომელიც გამსჭვალულია განსაკუთრებული პილოტობით, მოკლებულია ინიციატივის უნარს, მეტად ეხერხება საქმის მოვარების კანცელიარული მეთოდი და სრულებით არ უწევს ანგარიშს იმას, რომ ყოველივე წარმოება-არის მეტად ფაქტი საქმე, რომელიც ემორჩილება განსაკუთრებულ კანონებს და ერთნაირად ორგანიულად ვითარდება.

როდესაც დგებოდა კითხვა რომელიმე წარმოების ნაციონალიზაციაზედ, სოციალისტების წარმომადგენლები პარლამინტში შოთბოვდენ განსაკუთრებული ორგანოს შექმნას ამ დარგისთვის. როდესაც საფრანგეთის პარლამენტის სოციალისტურმა ფრანქიამ 19 აპრილს 1919 წ. შოთბოვა რეინის გზების საერთო ნაციონალიზაცია (ზოგიერთი რეინის გზები საფრანგეთში კერძო კომიპანიების ხელშია) სოციალისტ-დეპუტატმა ალბერტ ტომაშ მიუთითა იმ ზომებზედ, რომელიც საჭირო იყო ამ ფრიად მნიშვნელოვან სახალხო მეურნეობის დარღის რაციონალურად მოწყობისთვის. როდესაც კერძო წარმოების მომხრები უთითებდნენ ბიუროკრატიის უვარებისობაზედ საზოგადოებრივ წარმოების მოწყობის საქმეში, უკანასკნელნი უპასუხებდნენ, რომ წარმოების მოწესრიგება უნდა ჩაბარდეს თვით დაინტერესებულ წრებს. ასეთ აზრს ადგია როგორც ავსტრიის, ისე გერმანიის პარლამენტის მიერ არჩეული სოციალიზაციის კომისიები. მოუსმინოთ ავსტრიის კომისიის თავმჯდომარე ოტიტო ბაჟერს. ის სწერს: „ვინ იქნება ხელმძღვანელი გასაზოგადოებულ წარმოებისა? მთავრობა? რასაკვირველია, არა. თუ მთავრობაში თი თონ მოპეიდა ხელი ყველა წარმოების მოწესრიგებას, ის გახდება მეტად ღიერი ხალხის და სახალხო წარმომადგენლობის მიმართ... იმავე ღრმა მთავრობა იქნება მეტად ცუდი მომწესრიგებული გასაზოგადოებულ წარმოების, რადგანაც არავინ არ უძღვება წარმოების საქმეს უფრო ცუდათ, ვიდრე სახელმწიფო.

„სწორედ ამისთვის ჩვენ, სოციალისტები, არასდროს არ მოვითხოვ-დით წარმოების გახახელმწიფოებას („ეტატიზასაონ“), არამედ ჩვენ მოვითხოვ მის გახაზოგადოებას. კურსივი ჩვენია). მაშ ვინ უნდა უხელმძღვა-

*.) ი. უურ. „ერობა და ქალაქი“ № 3.

ნელოს გასაზოგადოებულ წარმოებას, თუ არა მთავრობამ? დღეს დიდ წარმოებას ხელმძღვანელობს აღმინისტრატიული საბჭო, არჩეული აქციონერების მიერ. მომავალშიც გასაზოგადოებრივებულ წარმოებას უხელმძღვანელებს აღმინისტრატიული საბჭო, მაგრამ ეს საბჭო არჩეული იქნება არა კაპიტალისტების მიერ, არამედ სხვა-და-სხვა სოციალურ ჯგუფების მიერ, რომელთა მოთხოვნილებასაც აქციალფილებს ესა თუ ის წარმოება. ვინ არიან ის ჯგუფები, რომელთაც რამე ინტერესი აქვთ ამა თუ იმ გასაზოგადოებულ წარმოების ხელმძღვანელობაში? ესენი არიან: 1) მუშები და ჩრამსახურები, რომელნიც იქ მუშაობენ, 2) მომზარებლები, რომელთაც დემამზადებული საქონელი ესაჭიროებათ, 3) სახელმწიფო, რომელიც წარმოადგენს მთლიან ნაცონალურ კოლექტივს. აქედან სჩანს, რომ ამა თუ იმ დარგის აღმინისტრატიული საბჭო შედგენილი იქნება დაახლოვებით შემდეგნაირად. ერთი მესამედი არჩეულ იქნება იმ მუშათა პროფესიონალურ კავშირების და მოსამსახურეების ორგანიზაციის მიერ, რომელნიც ეკუთვნიან წარმოების ამ დარგს, მეორე მესამედი იქნება არჩეული მომზარებლების მიერ. მაგალითად, ქვა-ნახშირის აღმინისტრატიულ საბჭოში იქნებიან ნაწილად საოჯახო ნახშირის მომზარებლები, ნაწილად იმ ინდუსტრიის წარმომადგენლები, სადაც იხმარება ქვა-ნახშირი. ბოლოს უკანასკნელი მესამედი აღმინისტრატიული საბჭოსი არჩეულ იქნებიან სახელმწიფოს მიერ. ამ მესამედის ნაწილს დანიშნავს ფინანსთა მინისტრი, რომ მისი უწყების ინტერესები დაცულ იქნას; დანარჩენ ნაწილს ამ მესამედისას დანიშნავს სახალხო წარმომადგენლობა. მუშებ-მოსამსახურეების წარმომადგენლები ერთის მხრივ, მომზარებელთა წარმომადგენლები—მეორეს მხრივ, ხშირად დაიცავენ მოწინააღმდეგე დებულებებს, რადგანაც ერთს უნდა მაღლალი ხელფასი, ხოლო მეორეს იაფი საქონელი. სახელმწიფოს წარმომადგენლები იქნებიან შუამავალნი და მომრიგებელნი ამ ორი შხარის*)“.

თუ ოტომ ბაჟერის აზრს თეორეტიული ხასიათი აქვს და ის არ ეხება დეტალურად განსაკუთრებულ წარმოების დარგს დი მისი ტეხნიკურ-აღმინისტრატიულ ორგანიზაციას, ჩვენ გვაქვს მაგალითი ასეთი პროექტის, რომელიც შემუშავებულია გერმანიის სოციალიზაციის კომისიის მიერ. ამ კომისიაში შედიოდნენ არა მარტო სოციალისტების წარმომადგენელები, არამედ ზომიერ და რაღიკალურ ბურჟუაზიის ხელმძღვანელებიც. ჩვენ არ შევჩერდებით იმ კრიტიკაზეც, რომელიც გაუკეთა კომისიამ სახელმწიფო-ბრივ წარმოებას ბიუროკრატიული წესით. ეს განმეორება იქნებოდა ოტომ ბაჟერის აზრის. თუმც უნდა ითქვას, რომ გერმანიის ოფიციალური კომისია უფრო მეტად სიტყვებით ახასიათებს ბიუროკრატის მუშაობას წარმოების მოწესრიგების საქმეში. კომისიამ გაარჩია ქვე-ნახშირის გასაზოგა-

*) მოყმანილი აქვს პროფესორ ედგარ მილოს თავის საინტერესო შრომაში „La marche au socialisme“ გვ. 277—278.

დოების საკითხი და შეიმუშავა შემდეგი სისტემა მისი მართვა-გამგეობის. ამ სისტემის თანახმად მთელი გერმანიის ქვა-ნახშირის წარმოება წარმოა-დგენს „ქვა-ნახშირის საზოგადოებას“, რომელიც იქნება აღჭურვილი იური-დოული პიროვნების უფლებით. როგორც ასეთი, ის ემორჩილება სახელმწი-ფოში არსებულ სამოქალაქო და სავაჭრო კანონებს და როგორც ასეთი მოქ-მედებს მის ფარგლებში. თავისთავად ცხადია, რომ ის პასუხს ავებს საერ-თო სასამართლოს წინაშე, მაგალითად, კერძო პირთან ხელშეკრულობის უსაბუთო დარღვევისთვის, ან უფარგის მასალის დამზადებისთვის. მას მინი-ჭებული აქვს ერთნაირი ავტონომია. ეს ეხება უმთავრესად მის ფინანსებს და წარმოების ტეხნიკურ ორგანიზაციას. ეს წარმოება არ უნდა იყოს ისე-თი წყარო სახელმწიფოსთვის, რომ მან თავისი ჩვეულებრივი ხარჯები ამ წყაროდან დაფაროს. წმინდა შემოსავალი წარმოების უნდა ხმარდებოდეს თვით ამ წარმოების ტეხნიკურ-მორალურ გაუმჯობესებას და მის გაფარ-თოებას.

პროექტის თანახმად „ამ წარმოების სათავეში უნდა იდგეს „ქვა-ნახ-შირის საბჭო“, ასი წევრისაგან შემდგარი, რომელიც უნდა იქრიბებოდეს ყოველ სამ თვეს. 25 წევრი უნდა იყოს არჩეული ამ წარმოების გერმანიის სხვა-და-სხვა კუთხეში გამნეული დირექციისაგან, 25 მუშებისაგან, 25 მომ-ხმარებლებისაგან, ხოლო დანარჩენი ოცდაშუათი უნდა დანიშნოს სახელ-მწიფოში: ნაწილი (ათი) პარლამენტმა, ხოლო თხუთმეტი მთავრობამ“. პროექ-ტი განსაზღვრავს, თუ ვინ არიან ის მომხმარებლები, რომელთაც წარმო-მადგენლების არჩევის უფლება აქვთ საბჭოში. „მომხმარებლებად ითვლე-ბიან ის მწარმოებლები, რომელიც თავიანთ ქარხნებისთვის ქვა-ნახშირის ხმარობენ, კომუნალური ქარხნები, მომხმარებელთა კავშირი (შეიძლება კოოპრატივაც ბ. თ.) და მათი მზგავი. „ქვა-ნახშირის საბჭო“ ირჩევს ხუ-თი კაცისაგან შემდგარ აღმასრულებელ კომიტეტს „ქვა-ნახშირის დირექ-ციას“, ერთ იმათგანს ასახელებს დირექტორად. უკანასკნელი დამტკიცე-ბული უნდა იქნეს მთავრობის თავმჯდომარის მიერ *).

საქართვისა რდნავ მაინც შევადაროთ ეს სისტემა ძველ ბიუროკრა-ტიულ სისტემას, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ განსხვავება და გერმანე-ლების პროექტის უდავო უპირატესობა: საერთოდ სახელმწიფოს ხელში წარმოებას არა აქვს ფინანსიური და ტეხნიკური ავტონომია. წარმოების შემოსავალი შედის საერთო ბიუჯეტში და ჩვეულებრივი ხარჯების დასაფა-რავ წყაროდ ხდება. ეს ხშირად იწვევს სახელმწიფოს მიერ დამზადებულ საქონელზედ ფასების მომატებას, არა იმიტომ, რომ თვით წარმოებაში მომხდარი ბუნებრივი მიზეზები იწვევენ ამას. (მაგ. ნედლი მასალის გაძვი-რება, ან მისი ნაკლებობა), არამედ ამას მოითხოვს ფისკალური ინტერესები. იმავე დროს, თუ სახელმწიფოს ხელშია. რომელიმე წარმოების მონოპოლია

*) „Les annales de la regie directe“ ტ. XI.

(მაგალითად, ასანთი საფრანგეთში) და სადამოენო პოლიტიკის წყალობით უცხოეთიდან ან სულ აკრძალულია განსაზღვრული საქონლის შემოტანა, ან მაღალი ბაჟების წყალობით ის ფაქტიურად ვერ შემოვა, მაშინ სახელმწიფო ხდება მომხმარებელის სრული ბატონი, იმავე დროს ბიუროკრატიული სისტემა, სადაც აუარებელი მთავრობაზე დამოკიდაბული მოხელეები აწარმოებენ, საქმეს ძირშივე კლავს ყოველსავე ინციდიტივას და თვით წარმოების გაუმჯობესების საქმეს სრულებით აფერხებს.

იტყვიან, რომ ეს პროექტი ჩევოლუციონური ხანის ნაყოფია, ის შედეგია სახალხო მოძრაობის და, როგორც ასეთი, ვერ გამოდგება ჩევოლებრივ დროს, როდესაც ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება და სახალხო მეურნეობის პროცესს ბუნებრივად მიდის. ჩევოლოუციის დროს აუარებელი პროექტები იწერება, შაგრამ ისინი ჩქარა ქერებიან, როგორც ცხოვრებისთვის უვარებისნი. მაგრამ თუ საერთოდ ასეთ მოვლენას აქვს ოდგილი, ეს არ ეხება ჩევენს დებულებებს. ასეთ ცდას ჰქონდა ოდგილი ომამდის ევროპის სხვა-და-სხვა ქვეყნებში. ჩევ მოვიყვანთ ერთ მაგალითს. 25 დეკემბერს 1912 წელს საფრანგეთში გამოიცა კანონი, რომლის ძალით „შესაძლებელი იყო დაარსებულიყო საზოგადოებრივი დაწესებულება, რომელსაც მიზნათ ექნებოდა შენება და გამგეობა იაფ-ფასიან სადგომების, დაარსება ეგრედ-წოდებულ ქალაქ-ბალის“. ამ დაწესებულების გმგეობა უნდა შემდგარიყო 18 წევრისაგან. ექვს ნიშანას საფრანგეთის დეპარტამენტის (გუბერნიის) პრეფექტი (გუბერნატარი) იმ პირებისაგან, რომელიც ცნობილი არიან, როგორც ჰიგიენის მცოდნენი, და სახალხო სახლების შენებაში არიან დაახლოებისულინ. 6 წელი ნიშანას ადგილობრივი თვითშეართველობა (ერობა ან ქალაქი) დანარჩენ ექვს ირჩევს შემდეგი ორგანიზაციები; თითო წარმომადგენელი ორგანიზაციიდან: ა) იაფ-ფასიან სადგომების აშენების დამხმარე კომიტეტი, ბ) საზოგადოება, რომელსაც აზრა აქვს იაფ-ფასიანი სადგომების მოწყობა, გ) ურთიერთ დახმარე საზოგადოება, დ) ჰიგიენის საპრო დეპარტამენტში, ე) შემახველი კასის დირექტორი და ვ) პრივესონალური ორგანიზაცია. ამათ შემდეგ უნდა დაემატოს ორი წარაომადგენელი ახლად აშენებულ სახლების მდგურებილად (*). ხუთი წლის განმავლობაში ამ კანონით ისარეგებლა საფრანგეთში 17 ქალაქ-ერობაში.

საფრანგეთის საერთო მოღვაწის გრიუნებაუმ-ბალენის აზრით „იაფ-ფასიან სადგომების მოწყობის საქმე ამ კანონის ძალით არ ექვემდებარება აღმინისტრატიულ პოლიტიკურ ორგანიზაციის და ამით ბიუროკრატების ბატონობას ბოლო ეღება. მართალია, პოლიტიკური ელემენტი არ ქრება მართვა-გამგეობაში. (იქ არიან პრეფექტის და ოდგილობრივ თვითმმართველობის წარმომადგენელები. ბ. თ.), შაგრამ მათთან ერთად ამ დაწესებულებას პატრონად ევლინება მეცნიერება (ჰიგიენის წარმომადგენელები),

* მატენი, 10 იანვარი 1913 წ.

მუშები (პროფესიონალური კავშირის წარმომადგენელები) და მომხმარებელები (ბინების პატრონთა წარმომადგენელები)¹.

ამნაირად აცტრიის და გერმანიის გასაზოგადოების კავშირები უფრო ოდიგალურად ავთარებენ იმ დაწესებულებებს, რომელიც დაარსდა ომამდის. პროფესიონალური მილოს აზრით, ამით ნიადაგი ეყრება საზოგადოებრივ წარმოების ახალ ორგანიზაციას. ის გადადის ბიუროებატიულ ხელმძღვანელობიდან სოციალურ გამგეობაში¹). შეიძლება სხვა-და-სხვა გასაზოგადოებულ წარმოების დარგში განსხვავებულად მოწყოს მისი გამგეობის შემადგენლობა. შეიძლება ზოგიერთმა დარგმა ზოგიერთ ქვეყნებში ვერ მონახოს დღევანდელ პირობებში საქამაო მომზადებული და შეკავშირებული დაინტერესებული ჯუფები, რომელთც შეეძლებათ ხელმძღვანელობაში მონაწილეობის მიღება, მაგრამ ეს არის დროს და გარემოების საკითხი. საერთო ევოლიუცია, როგორც თეორეტიულად, ისე პრაქტიკულად, ახალ ფორმებს ქმნის ამ სფეროში და მომავალი მას ეკუთვნის. ეკრანის მაგალითები, როგორც სხვა კითხვებში, ისე აქაც, შეიძლება ზოგიერთი შესწორებით მისაღები და სავალდებულოა.

ბიჭორ თევზაია.

ერთა და კოოპერაცია²).

ეხლა ხშირად იქმის საყვედური კოოპერაციის მიმართ. კოოპერაცია ამჟამა უცველად დიდ განსაკულელს განიცდის. ჩვენი შიში თითქოს გამართლდეს. უარებელი ხალხი, რომელიც ამ უკანასკნელ ორი-სამი წლის განმავლობაში მიაწყდა კოოპერაციას, დღეს უკმაყოფილო არის. კოოპერატივების გამრავლება, კოოპერატივების წევრების რიცხვის გამრავლება გამოწვეული იყო არა ხალხის შეგნების და შემეცნების გაძლიერებით, არა იმით, რომ ხალხმა შეიგნო კოოპერაციის მნიშვნელობა. დამშეული, ტიტ-ველი მიეჩქარებოდა კოოპერატივებისაკენ და ელოდა სსნას კოოპერატივიდან. რამდენათაც გაძლიერდა ცხოვრების პირობები, რამდენათაც გაჭირდა ცხოვრება, იმდენათ მეტი ხალხი მიაღდგა კოოპერატივების კარებს. მაგრამ იმედები ცოტა არ იყოს გაუცრუვდა. კოოპერაციამ ვერ მოახდინა სასწაული და არც შესაძლებელი იყო სასწაულების მოხდენა. ტიტ-ველი და შიშველი სრულიად ვერ დააქმაყოფილა კოოპერაციამ, მხოლოდ ის რაც მან გააკეთა, ამას ხალხმა ანგარიში ვერ გაუწია, ვერ დააფასა ის დიდი ლვაწლი, რომელიც მიუძღვის კოოპერაციას. ცოტა არ იყოს და კოოპერაციამ ალაგმა კერძო ვაჭრების მიღრეცილება და კოოპერატივები ყოველთვის წინ ელობებოდნენ კერძო ვაჭრობის მაღაბასნილობას. კოოპერაცია მოქმედებს არსე-

¹ პროფ. მილო. იქვეა 268 გვერ.

²) ამ წერილში ზოგიერთ აზრს რედაქტია არ ისიარებს.

ბულ კაპიტალისტურ პირობებში და იგი ვერ ასცილდება იმ შედეგებს, რომელიც ამ პირობებიდან გამომდინარეობს; ბევრმა ეს ვერ შეიგნო და დაკისრა კოოპერაციას სასწაულმოქმედება. სასწაული კოოპერაციაშ ვერ მოახდინა და შეიქნა უქმაყოფილება. კოოპერატივების ზრდა მეტის სიჩქარით ხდებოდა, ვიდრე კოოპერატიული აზროვნობის და შეგნების ზრდა. ეს ორი მოვლენა ერთი მეორეს გასცილდა და დღეს ამის ნაყოფი ის არის, რომ კოოპერაციის წინააღმდეგ ამხედრებული არიან და კოოპერაციაზე დამყარებული ზედ-მეტი იმდები არ გამართლდა; მხოლოდ არ არის გათვალისწინებული ის დიდი ღვაწლი, რომელიც კოოპერაციას მიუძლვის მეურნეობის წინაშე, ის ორგანიზაციული მუშაობა, რომელიც გასწია კოოპერაციამ, დავიწყებული არის.

კოოპერაცია ჩვენში მუშაობს ძლიერ ცუდ პირობებში. კოოპერაციას თითქმის არავინ არ უჭერს მხარს: არც სახელმწიფო და არც აღვილობრივი ერობანი, და კოოპერაცია იმულებული არის თავისი ძალებით აწარმოოს ძლიერ დიდი საქმე. სამწუხარო ის არის, რომ კოოპერაციის წინააღმდეგ ამხედრებული არის ერობების და ქალაქების თვითმმართველობანი. კოოპერაციასა და განსაკუთრებით ერობებს შორის დაიწყო და დღითი დღე იზრდება მეტოქეობა. გულახდილათ უნდა ვთქვათ, რომ და კოოპერაცია პირის-პირ სდგანან და შეტაკება აუცილებელი არის. კადნიერებად ნუ ჩამომერთმევა და უნდა აღვიარო ჩემთვის უტყუარი მდგომარეობა: კოოპერაციასა და ერობების შორის დიდი დავა იწყება, ერობა აპირებს კოოპერაციის აღილზე ჩადგომას. შრავალჯერ თქმულა ბოლო ხანებში, რომ კოოპერაციამ მოიჭამა თავისი დრო, ვერ გაამართლა იმდები, დაკარგა გავლენა და მისი მემკვიდრეობა უნდა იკისროს ერობზე. როდესაც ერობების და ქალაქების ბანკის დაარსების შესახებ იყო მსჯელობა გარკვევით იყო ნათქვამი, რომ მომავალი ბანკი დაეხმარება ქალაქებს, ერობებს და მისცემს მას საშუალებას აწარმოვოს ვაჭრობა. ერობა აპირებს მონაწილეობას იმ საქმეში, რომლის სათავეში ავდ არის თუ კარგად სდგას კოოპერაცია. ერობაც არის გატაცებული საზოგადო უქმაყოფილებით. მხოლოდ არ არის გათვალისწინებული უმთავრესი მიზნები იმისა, რომ კოოპერაციამ ასე თვალსაჩინო დახმარება ვერ გაუწია ხალხს, როგორსაც ბევრი მოელოდა. დავიწყებული არის საზოგადო პირობები დღევანდელი ეკონომიკური ცხოვრებისა, კერძოთ ჩვენი დაქვეითებული ცხოვრებისა და საზოგადო პირობების გათვალისწინების მაგიერ, ალმაცურად უყურებენ კოოპერაციას. კოოპერაციას აქვს დიდი ნაკლი, უმჭველია, შეცდომებიც. ამისი შესწორება საჭროა, ამისათვის სათანადო გზაც და საშუალებაც არის. ვთქვათ, ერობამ შესწორო და დაიჭირა კოოპერაციის აღგილი. შეუძლია, თუ არა, ერობამ სძლიოს ის საერთო პირობები, რომლებმაც შექმნა დღევანდელი სახე ცხოვრებისა? სძლებს კი ერლობა იმ ეკონომიკურ პირობებს, რომელიც მის წინ უდგას? რა უპირატესობა აქვს ერობას კო-

პერაციის წინაშე და რანაირად შეუძლია ერობას დამტკიცოს, რომ ის უკეთ გაუძლვება საქმეს, ვიდრე კოოპერაცია? არის ისეთი ობიექტიური სარჩული, რომელიც ნებას აძლევს ერობას, რომ გაამრავლოს ის საქმე, რომელსაც აწარმოებს კოოპერაცია? არავითარი საბუთები და არც მოსაზრება არ მოიპოვება იმის სასარგებლოთ, რომ ერობა შესძლებს უფრო ხეირიანად საქმის წარმოებას, ვიდრე კოოპერაცია. თუ კოოპერაცია ას-ცილდა სწორ გზას, თუ კოოპერაცია სათანადოთ ვერ უძლვება საქმეს, თუ კოოპერაციის მუშაობაში არის შეცდომები, თუ ყველაფერი ეს გაითვალისწინა ერობამ, ცხადია, მისი ვალდებულებაა კოოპერაციას დაეხმაროს და გასწოროს იგი, მიუთითოს იმ გზაზე, რომელსაც თითქოს ასცდა კოოპერაცია, თუ იგი ვერ მიხვდდ თავის შეცდომას, რომელიც შეიგნო ერობამ. სრულებით არ არის საჭირო, რომ კოოპერაციის ადგილზედ ჩასდგეს ერობა და კოოპერაციის მაგიერობა გასწიოს. ერობას აქვს დიდი ვალდებულება, მის წინ არის გადაშლილი ძლიერ თიდი ასპარეზი მოქმედებისა, დიდი და დაუსრულებელი აღწევნებლობითი სამუშაო აქვს ერობას. მუშაობა უკვე დაწყებულიც არის. და განა დასაშვები არის კიდევ ამ მუშაობის გართულება და ერობის საქმესთან კიდევ ვაჭრული ოპერაციების მიმატება? ვგონებ, ერობას ისეც როული საქმების გაღრიყვას არ სჭირდება ზედმეტი დატერითვა, როდესაც არის დაწესებულება მოწყობილი, გამოცდილიც ვაჭრობაში და კომერციულ ოპერაციის წარმოებაში. ერობას თავის ბუნებით სრულებით არ შეეფერება ვაჭრობის სათავეში ჩადგომა, როდესაც ამ საქმის სათავეში სდგას ისეთი დემოკრატიული, ხალხთან დაახლოებული დაწესებულება, როგორც კოოპერაცია. თუ ერობა შეეღვება კოოპერაციას და მოწადინებს იმავე საქმეების წარმოებას, რომელსაც დღეს-დღეობით კოოპერაცია აწარმოებს, მაშინ ერობას დასჭირდება ამ საქმის მოწყობა; ერობა იძულებული იქნება გასწიოს ხარჯები, დასჭირდება მუშავნი, ერთი სიტყვით დასჭირდება წინასწარი მუშაობის გაწევა იმ დროს, როდესაც მზათ არის მთელი მოწყობილობა კოოპერაციისა. ერობას არა აქვს ამ დარგში სათანადო გმილილება, უნარი და ის სული უსაფუძვლოდ შეეღვება კოოპერაციას. ერობას არ შეეფერება ვაჭრული საქმეების წარმოება. მეურნეობა განსაზღვრული ხასიათისა არის, ერობის მეურნეობას თავისი სახე აქვს და სრულებით დაუშვებელი არის, რომ მან ხელი მოჰკიდოს ახალ დარგს. კოოპერაცია არ აქმაყოილებს ერობას? მაშინ უმჯობესი იქნებოდა თუ ერობამ იცის სენი კოოპერაციისა განკურნოს ის ამ სენისაგან და გაუწიოს მას დახმარება. ამის სამაგიეროდ ერობა აპირებს ჩასდგეს კოოპერაციის მუშაობაში. უეჭველია, თუ ერობა მოიწაზინებს ვაჭრობის წარმოებას, კოოპერაცია დაინგრევა, ზაინგრევა ისეთი დაწესებულება, რომელსაც, რაც უნდა იყოს, დიდი მუშაობა აქვს გაწეული, დიდი საქმე აქვს მოწყობილი. ამას გარდა ხალხი იცნობს კოოპერაციას, შეიგნო მისი მნიშვნელობა და ამ შეგნების შერყევა დიდი დანაშაული იქნება ხა-

ლნის და სახელმწიფოს წინაშე. თუ კომპერაცია ვერ გასწედა საქმეს, ეს მოხდა არა იმიტომ, რომ კომპერაცია ვერ არის მოწყობილი, არამედ იმიტომ, რომ კომპერაციის ფარგლები ძლიერი გარღვევალი დაბრკოლებები არის. ამ პირობების მნიშვნელობა და ძალა კომპერაციისათვის და ერობისათვის ერთი და იგვენ იქნება; თუ ერთბა ჩაუდგება სათავეში იმ საქმეებს, რომელსაც კომპერაცია აწარმოებს, ერობა ვერ სძლევს იმ აუტანელ პირობებს, რომელიც გარშემო არის და მხოლოდ ერობის ჩადგომა საქმის ვითარებას. ვერ შესცვლის.

კომპერაციას აქვს გამართული საქმე, კომპერაციას აქვს საკუთარი თანხები, მუშაქი, გამოცდილება, კაშირი ბაზართან- ერობას ეს არა აქვს, ერობამ უველავერი ეს უნდა ახლად შეპარება. ამ საქმის მოწყობას დასჭირდება მუშაობა, შრომა, იმ დროს როდესაც არის ბევრი რამ გასაკეთებელი და უჟრევლია ეს იქნება უნაყოფო და უბრალო დაბწევა ისუც მცირე ძალებისა. ვგონებ ერთი მოსაზრება არის იმ აზრის გასამართლებელი რომ ერობამ უნდა ვაჭრობას მიჰყოს ხელი.

ერობას არა აქვს მეტიდრო სახსარი შემოსავლისა და ახალი ოპერაციების საშუალებით შეეცდება გამოასწოროს თავისი ბიუჯეტი. თუ ვინმე ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობს, მაშინ გულასძილათ უნდა ვთქვათ, ყოვლად შეუფერებელი იქნება ასე საქმის მოტრიალება და ერობა უეპველათ ასცილდება თავს დანიშნულებას.

ჩვენ ძრიელ ცოტანი ვარო რიცხვით, არ შეგვწევს ძალები. კომპერაციამ შეინახა თავი, ავად არის თუ კარგათ მოაწყო საქმე და ამ საქმეში ჩარევა და არევ-დარევის შეტანა შეუწყნარებელი იქნება. შრომის დანაწილება არის საფუძველი შრომის ნაყოფიერებისა, საზოგადოებრივ დაწესებულებათა შორის მეტოქეობა ეწინააღმდეგება დემოკრატიის პრინციპებს, იქ სადაც ასაცდენი არის მეტოქეობა და ეს შესაძლებელი არის, იყი აცდენილი უნდა იყოს. მეტოქეობის პასუხის-მგებელი არის ხალხი, მეტოქეობის შედეგი დაწვება ხალხს. დემოკრატიულ სახელმწიფოში შეუძლებელი არის წინააღმდეგობა დემოკრატიული დაწესებულებების, ეს უცნაური უკულმართობა იქნებოდა.

გამოსავალი არის, კომპერაცია და ერობა ემსახურებიან ხალხს, მშრომელს. კომპერაციას აქვს ნაკლი, მის მოქმედებაში არის უსწორმასწორობა. ამ უსწორ-მასწორობის, ამ ნაკლის აცილება შესაძლებელი არის შეთანხმების გზით. ერობას არა აქვს არც გამოცდილება, არც სახსარი ვაჭრობის წარმოებისა, კომპერაციას კი აქვს დიდი და კარგი გამოცდილება, შეძნილი ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ. ერობამ კი უველავერი ეს უნდა ახლად შეიძინოს. რისთვის უნდა იქნეს დახარჯული ახალი ძალები, თანხები; რა საჭიროა დაწესები ამ ორ დაწესებულების შორის მეტოქეობა? ერობა და კომპერაცია ძლიერ დახსლოვებული არიან. ერობასა და კომპერაციის შორის არავითარი სადაო საქმე არ არის. არის ერთი რამ საჭირო: შეთან-

ხმება, ერთმანეთის დახმარება. ერობამ უნდა ისარგებლოს კოოპერატით, გამოიყენოს იგი და იმუშაოს მასთან შეთანხმებით. ერობა ვალდებული არის დახმარება, თანამშრომლობა გაუწიოს კოოპერაციას და არა მეტოქეობა.

ერობასა და კოოპერაციის შორის უნდა იქნეს მჭიდრო კავშირი და შეთანხმებული მუშაობა. კოოპერაცია არის უდიდესი იარაღი, რომლის გამოყენება შეუძლია ერობას. ერობა და კოოპერაცია—მოძმენი არიან სახელმწიფოს მეურნეობის აღირებისაზე და ისინი ვალდებული არიან განაწილონ შრომა და თითოულმა აწარმოოს საქმე იმ დარგში რომელშიაც იგი მოვლინებული არის.

მოწინააღმდეგეობა ერობისა და კოოპერაციისა მიუღებელია დემოკრატიისათვის, ეს არის უარყოფა დემოკრატიისა.

ერობისა და კოოპერაციის შორის მხოლოდ კავშირი და შეთანხმებული მუშაობა!

პროფ. ხ. აგალიანი.

მუნიციპალური საკონსულტაციო ბიურო.

(იურიდიული დაზმარება).

მას შემდეგ, რაც განახლებულმა ცხოვრებამ თვითმმართველობებს გაუფართოვა სამიუქედო სპარეზი და მათ ხელში გადასცა კველა ადგილობრივი საქმეები, მათი მოვალეობა საგრძნობლათ გართულდა. ამჟამად თვითმმართველობა—ქალაქის თუ სოფლის—ვალდებულია იზრუნოს ხალხის ცხოვრების კველა მხარეებზე: სახალხო განათლება, ჯანმრთელობა, მომსვლა, სასოფროსათო საქმე, უმუშევართა დამხმარება, იურიდიული დახმარება, აღმინისტრაცია და სხვა ბევრი საქმეები შეადგენენ მის კომიტენტიას. არც ერთი მხარე არ უნდა იყოს დავიწყებული, თუ გესურს ხალხს ნამდვილი სამსახური გაუწიოთ.

მართალია, ჩვენი მუნიციპალიტეტები ცუდ პირობებში იმყოფებოდენ დღიდან განახლებული ცხოვრებისა, ქალაქები— დღიდან. თავის დაბადებისა—ერობები, მართალია, ბევრი მძიმე ტვირთი დაკაისრა მათ ცხოვრების პირობებში და კველა მოვალეობის ერთად მოხდა ძნელია, მას დრო სჭირია სათანადო გეგმის განსახორციელებლად, მაგრამ ამ თავიდანვე მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმაში საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს ხალხისთვის იურიდიული დაზმარების გაშევას, საკონსულტაციო ბიუროს მოწყობის სახით.

უდავოთ უნდა იქნას მიჩნეული ის დებულება, რომ იურიდიული დახმარება ხალხისთვის ისევე საჭირო და მიუცილებელია, როგორც სხვა რომელიმე ხემონაჩვენები დახმარებანი. ცნობილია, თუ რამდენ უნაყოფო.

შრომას, ხარჯს სწევს ის პირი, რომელიც საჭიროებს დარღვეულ უფლების აღდგენას, თუ ის ჩაუვარდა ხელში უვიც დამცველს, რომელსაც არ უეუძლიან მისი სწორ გზაზე დაყენება. არა ერთი და ორი ოჯახი აუფორია აქებია უწესოთ დაწყებულ საჩივრებს, რომლის ხელმძღვანელი, უვიც ხალხი ყოფილა. ჩვენში ხშირია კერძო კანტორები, სადაც სწერენ თხოვნებს, იძლევიან იურიდიულ რჩევას, ლებულობენ თავის თავზე საქმეების წარმოებას თუ დაჩქრებას და სხვა. შედეგი ყველასათვის ცნობილია: უმრავლეს შემთხვევაში დაკარგული დრო, შრომა და თანხა.

მუნიციპალურ საკონსულტაციო ბიუროს კი შეუძლია ხალხი გადაარჩინოს ყველა ასეთ უნაყოფო ხარჯებს, თან დახმარება გაუწიოს თვით სასამართლოს, ნით რომ თავისი გონივრული და კანონიერი რჩევით ააცილებს მას ისეთს საქმეებს, რომლებიც სხვა შემთხვევაში ბლომათ შევიდოდა სასამართლოში მხოლოდ იმიტომ, რომ ამით ხელი მოეთბო ვიღაც „კეთითის მდომს“.

დასავლეთ ევროპისთვის, განსაკუთრებით გერმანიისთვის, მუნაციპალური საკონსულტაციო ბიური ასალი არ არის. იქ ასეთი ბიუროები არსებობენ უმთავრესად სამრჩეველო რაიონებში იმ მიზნით, რომ მუშებს უფასოდ მისცენ სწორი და საქართველო რჩევა სოციალურ კანონმდებლობის შესახებ. თუ რამდენათ დიდი გასავალი აქვს ასეთ ბიუროებს მუშების რაიონებში, მოწმობს მათი სტატიისტიკა. ერთ ასეთ ბიუროს ლინდენში (პანნოვერი) ხუთი თვის განმავლობაში 2.650 კლიენტი ჰყავდა, ხოლო ნიურებერგში ასეთივე ბიუროს გახსნის შეორე წელს კლიენტების რიცხვი 17.000 აღმატება. სხვათა-შორის გერმანიის ტერიტორია მოფენილია ასეთი დაწესებულებებით. ქალაქები სთვლიან იმათ თავის ოფიციალურ დაწესებულებებად, მათ შესანახათ იღებენ სათანადო კრედიტებს და აქვეყნებენ სტატიისტიკურ ცნობებს ამის შესახებ თავიანთ ყოველწლიურ ანგარიშებში. მაგალითად, კაიზერლაუტერნში საზოგადოებრივმა მმართველობამ 1902 წელს გახსნა მუშებისთვის საკონსულტაციო ბიურო, რომელსაც განაცხებს მუნიციპალურ საბჭოს მიერ არჩეული განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც შედის ქალაქის მოურავი, ხუთი ხმოსანი და ხუთი მუშა არა-ხმოსანი. ბიუროს აქვს თავისი წესდება, რომლის ძალით ის ვალდებულია მისცეს ზეპირი ყოველგვარი იურიდიული ცნობა თუ რჩევა.

საყურადღებოა, რომ კობურ-ვოტის ლანდტაგმა, თანაბეჭდ ფინანსური კომისიის ერთხმად გადაწყვეტილებისა მიანდო მთავრობას—გამოეცა შესაფერი დადგენილება მუშების საკონსულტაციო ბიუროს გახსნისა და გაელო მისთვის ყოველწლიური სუბსიდია. ბიურო ისახავს მიზნათ მისცეს საქერცოგოს ყეველ მცხოვრებს იურიდიული რჩევა და შეუდგინოს შესაფერი წერილობითი განცხადება სოციალურ კანონმდებლობის შესახებ.

პრატიკაში დაამტკიცა, რომ ასეთი ბიუროებით სარგებლობენ არა მარტო მუშები, არამედ სხვა საზოგადო ელემენტებიც. მაგალითად, ნიუ-

ხენშერგის მუშების საკონსულტაციო ბიუროსთვის, როგორც ანგარიშებიდან სჩანს, მიუმართავს გარდა მუშებისა, პერიოდულ გამოცემათა რედაქტორებს, მწერლებს, სასულიერო პირებს, ბებია-ქალებს, მხატვრებს, პროფესორებს და ექიმებსაც. ასეთივე ცნობებია სხვა ბიუროების ანგარიშებშიც, რომლიდანაც ნათელია, რომ სოციალურ კანონმდებლობის სფეროში მუნიციპალური საკონსულტაციო ბიუროები ემსახურებიან ყველას, ვინც მას საჭიროებს, და დღითი დღე დღიდს სიმპატიას იმსახურებენ*).

რაც შეეხება რუსეთის წარსრულს, მას სპეციალური მუშების საკონსულტაციო ბიუროები არ ჰქონია და ეს მოვლენა არც გასაკვირია, თუ მხედველობაში მივიღებთ ისტორიულ სინამდვილეს: მუშებისთვის ქალაქებს და მით უფრო სახელმწიფოს თავი არ ასტკივედობდა. ყოველივე ასეთი საქმე ან სრულიად დევნილი იყო ან დიდის ეჭვის თვალით უყურებდენ მას.

მართალია რუსეთის ზოგიერთ დიდ ქალაქებში არსებობდა საკონსულტაციო ბიუროები, მაგრამ ამას ნაფიც ვექილთა კორპორაცია ემსახურებოდა, უფრო კი მათი თანაშემწენი—ახალ-გაზრდა აღვოკატები. ასეთი კონსულტაციები დიდ ქალაქებში იმართებოდა, უმეტესად ქალაქის განაპირა უბნებში და მით საგრძნობლად სარგებლობდა ხალხის ულარიბესი ნაწილი, ყველა პროფესიის მუშები და საშუალო შეძლების მოქალაქე. ასეთ კონსულტაციებში ძღლეოდენ ყოველგვარ იურიდიულ რჩევას და აღგნდენ წერილობით შესაფერ განცადებებს, თუ არზებს თითქმის სრულიად უფასოდ, თუ მხედველობაში არ მოვიღებთ ორიოდე გროშს, რომელსაც მსურველი იხდიდა ხარჯის დასაფარავად.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ასეთ კონსულტაციებს ომიანობის დროს, როცა მრავალი ახალი კანონი გამოიცა მობილიზაციის, ჯარისკაცთა ოჯახებისთვის დახმარების, ლტოლვილების, რეკვიზიტის, სურსათის, ბინის თუ სხვა მრავალი საკითხის შესახებ. მოის დაწყებისას სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირმა მოაწყო პეტროგრადში საკონსულტაციო ბიურო სწორეთ ამ საკითხების შესახებ და დიდი სამსახურიც გაწია ხალხს, რომელიც ურიცხვად მოწყდა ამ ბიუროს, დიდის ნდობით უყურებდა მას და სრულიად უფასოდ ლებულობდა როგორც ზეპირ იურიდიულ რჩევას, ისე წერილობით განცადების, თუ ოხოვნის შედგენას.

თვით ქალაქებს, როგორც ზემოთ იყო ნათევამი, არ ჰქონიათ თავიანთი საკონსულტაციო ბიურო. მხოლოდ ერთ კერძო შემთხვევაში პეტროგრადის მუნიციპალიტეტმა სპეციალურ კანონისათვის—შემოსავლის კვალობაზე გადასახადისათვის მოაწყო საკონსულტაციო ბიურო, სადაც ყველას შეეძლო იურიდიული რჩევის მიღება ამ გადასახადის შესახებ. მაგრამ ეს მაგალითი, ვგონებ, წაუბაძავი დარჩა, თუმცა ეს მოხდა რევოლუციის

* ეს ცანობები მოყვანილია ა. დამაშევს ცნობილ წიგნში: „Задачи Гюйодского Хозяйства“ 1904 წ.

პირველ დღეებში, როცა ქალაქებს ასეთ საქმეში დამშლელი უკვე ვნო ჰყავდათ.

რაც შეეხება რუსეთის სოფელს, ის ხომ სრულიად უმწეო მხრივ თუ ქალაქის მცხოვრებს კიდევ ჰქონდა საშუალება ან სასამარ სთან არსებულ კონსულტაციებისთვის მიემართა, ან ვინმე ვექილი მო სოფლელი კაცი ღვთის ანაბარათ იყო მიგდებული და სოფლის მწერებით გამხდარიყო. მაზრაში სოფლის მწერალი იყო იურისტკონსულტერი, მარტივ, თუ რთულ საქმეებში.

რამდენადაც რუსეთის ერობა მეტი ყურადღებას აქცევდა საქართველოს ნაწილს, თუ გზის საკითხს, იმდენთ მას მივიწყებული იურიდიული დამარტების საკითხი. მართალია, ყოველ-დღიურ პრესაში სპეციალურ „პრავო“-ში ხშირად იწერებოდა წერილები სრული მდგომარეობის შესახებ, გაიძახოდენ: „სოფელს იურისტი არა საჭიროა ამ მხრივ მივეშველოთ, დიდ ქალაქებიდან, სადაც იურად ცხრავი საგრძნობელია, გავგზავნოთ ისინი სოფლად-“ო, მაგრამ ყველ არავითარი პრაკტიკული ნაყოფი არ მოუტანია—სოფელს იურისტი ეკარებოდა. ზოგიერთი პუბლიცისტი ფიქრობდა, რომ, როცა ქალები ცემოდათ საშუალება იურიდიული ფაქულტეტის გათავებისა, ისინი წაფებოდენ სოფელს და იურიდიულ დახმარებას აღმოუჩენდნენ ხალხ თივე ხალისით, როგორითაც ექიმი-ქალი ემსახურება სოფელს (*). თუმცა დღეს იურიდიულ ფაქულტეტის უკვე ქალებიც ათავებდენ, თის სოფლის მდგომარეობა ამ მხრით მაინც არ გაუმჯობესებულა, კურს-დამთავრებულ იურისტ-ქალებს არავითარი უფლება საქმის ბისა არ მიპირებიათ. სოფლის მწერლებათ კი იმათ არავინ მიიღო რადგან ტელი რუსეთი არც ისე აღვილათ ურიგდებოდა ქალთა ერთიას, რომ სოფლის თანამდებობაზე ქალი დაენიშნა, ერობებს კი არ დათ. საკონსულტაციო ბიუროები, სადაც იურისტ-ქალებს შეექმნოთ ობა. ასე რომ, მაზრა ისევ სოფლის მწერლის (უმრავლეს შემთხვევაში რიდიულათ სრულიად მოუმზადებლის) ბასრ ბრჭყალებში დარჩა ჩაპე, მის ექსპლოატაციას თავი ვერ დაახწია.

როგორი იყო ამ მხრით ჩვენში მდგომარეობა რევოლუციის დრო პასუხი მოკლეა: ისეთივე, ან თითქმის ისეთივე, როგორც რუსეთში. არსებობდენ და ეხლაც არსებობენ სასამართლოებთან ნაფიც-ვექილოთ მოწყობილი კონსულტაციები ზოგიერთ დიდს ქალაქებში: თბილისში, სში, ბაქოში, განჯაში, ერევანში, დიდი იყო მათი მნიშვნელობა წარმატებით დღეს ისინი უკვე ვეღარ აქმაყოფილებინ ფართო მოთხოვნის უველაზე უფრო მნიშვნელოვანი კონსულტაცია იყო დაარსებული.

(*) ი. ი. ხ. ივერია. ვოლეშე გორი, იქ ვადაც და სредства ლეни, 1904 წ. გვერდი 107—108.

ს თბილისის ოლქის სასამართლოსთან და შემდეგში მისი განყოფი-
პა მე-3-მე სამომრიგებლო უბანშიაც. როგორც მთავარი კონსულტაცია,
განყოფილება, მართალია, დიდის ხალისით შეუდგა შეშა-ბას, მაგრამ
უქმის ყოველ წლობით ერთი და იგივე საყვედლი ისმის კონსულტა-
ციას საზოგადო კრებაზე: მორიგეობას არ ასრულებდნ წევრები; ვინც და-
ს, ისიც გულ-გრილათ ეკიდება საქმეს, რჩევას ზერელეთ იძლევა და
საო. ასებობს მდიდარი მსალა ამ კონსულტაციის მოქმედების შესახებ,
არებელ სტატისტიკურ ცნობებით იმის შესახებ, თუ რამდენი კლიენტი
კლია, რამდენი ფასიანი, უფასო, რამდენი შემოსულა, რამდენი დეფიცი-
ტენია და სხვა. ჩემს საგანს არ შეაღგნენ ამქამად ამ მასალის დამუშა-
ბა. მე მაინტერესებს საკითხის: საქაოა, თუ არა, ასეთი კონსულტაციები,
იმ ხალხის მოთხოვნილება იურიდიული დახმარების მხრივ თუნდაც
ჩტო ქალაქებში იყრს დაკამაყნფილებული? ამ მიზნისთვის საკმარი ავი-
ოთ მხოლოდ რამდენიმე წლის ანგარიშები დასაწყისისას, შეა ხანისა
უკანასკნელი წლებისა. 1903 წლის საზოგადო კრებაზე თითქმის ყველა
რატორები აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ წევრები კონსულტაციის გა-
ჩბიან, ამით კი კონსულტაციების პრესტიჟი ეცემაო. რათა ეს მოვლენა
ჯისპოს, ასახელებრი ისეთ უკიდურეს ზომებს, როგორიც არის ჯარიმა ან
ისკიპლინარული სასჯელი: ასეთივე სურათია 1910 წლის საზოგადო კრე-
ბე, სადაც ირკვევა, რომ თხზი წევრი კონსულტაციისა წელიწადში ერთ-
ლაც არ შესულა კონსულტაციაში. მხოლოდ ერთხელ გაუწევია წლის
წმავლობაში მორიგეობა 10 წერს. კლიენტთა რიცხვი ყოფილა 2.090,
თათში 815 უფასო. უმთავრესი მუშაობა, როგორც ყველა კონსულტა-
ციებში, ისე აქაც ნაფიც ვექილთა თანაშემწებებს აწევთ კისერზე. 44 ნა-
წი-ვექილს—წევრს—გაუწევია 319 დღის მორიგეობა, ე. ი. თითოულს
თვალის შუა-რიცხვით წელიწადში 7 დღე, ხოლო 16 თანაშემწეს—328
დღე, ე. ი. თითოულს 20,5 დღე, თითქმის სამჯერ მეტი ვიდრე ვექილებს.
916—1917 წლის ანგარიშები გვაჩენებრენ, რომ კლიენტთა რიცხვი კლე-
ულობას: საანგარიშო წელს 1.329 კაცია, იმათში უფასო მხოლოდ 192.
ონსულტაციის წევრები გარბიან და კონსულტაციის განყოფილება კიდევ
ზურება, ხოლო მთავარი კონსულტაცია, მართალია, განაგრძობს თავის
ოლვაწეობას, მაგრამ ხშირად მარტო საქმის მწარმოებლის ანაბართ არის
იტოვებული და მორიგეობი წევრები თითქმის აღარ ჰყავს. რა თქმა უნდა,
სეთ პირობებში იურიდიულ დახმარების საქმე გადავიდა ეგრე წოდებულ
აგენტების „ხელში. ასეთივე მდგომარეობა სხვა ქალაქებშიაც სოფელზე
უაპარაკიც ზედმეტია, იქ ხომ წინეთაც და ეხლაც მდგომარეობა აუტანე-
ზი იყო და არის, ამიტომ საჭიროა დაუყონებლივი დახმარება საკონსულ-
ტაციო ბიუროს მოწყობის სახით, როგორც ქალაქებში, ისე სოფელშიაც.

როგორ უნდა მოწყობა ასეთი კონსულტაციები ქალაქებში?

იურიდიული დახმარება უნდა იყოს უფასო დარიბთათვის, ხოლო

შეძლებულთათვის ფასიანი. ქალაქის გამგეობის იურიდიულმა განყოფილებამ უნდა გახსნას საკონსულტაციო ბიურო როგორც ცენტრში, ისე განაპირა უბნებში, სადაც მოქალაქეს შეეძლოს მიმართოს ყოველგვარ იურიდიულ რჩევისთვის. ბიუროს გამგეთ უნდა იყვნენ მოწვეული გამოცდილი იურისტები შესაფერი ჯილდოთი. მათ არამც და არამც არ უნდა იმუშაონ უფასოდ, საქველმოქმედო მიზნითვე, რაღაც ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობის გრძნობა ნებლება და შეიძლება საჭმე ჩაიშალოს. ისე, როგორც ექიმი, რაიონულ ამბულატორიის გამგე, პასუხისმგებელია თავის მოქმედებაში, ისეთივე პასუხისმგებელი პირი—იურისტი უნდა იყოს მუნიციპალუნდ ბიუროს ხელმძღვანელი.

შესაძლებელია იფიქროს ვინმემ, რომ უკეთესი იქნება ასეთი კონსულტაცია მოწყოს შრომის ბირჟასთან, მაგრამ, ვინაიდგან ბირჟის კლიენტი განსაკუთრებული კატეგორიისაა, „უმუშევარია“, საკონსულტაციო ბიუროს კი შეუძლია მიმართოს ყველამ, ვისაც რაიმე იურიდიული რჩევა სჭირია, ამიტომ უმჯობესია ასეთი ბიურო მოწყოს სრულიად ცალკე-თუმცა ამას დიდი პრინციპიალური ხასიათი არ აქვს, ეს საკითხი უფრო ტენიკური ხასიათისაა და უნდა გადაიჭრას მოხხერხებულობის მიხედვით, მხოლოდ ყოველ შემთხვევაში ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი უნდა იყოს ქალაქის თვითმმართველობა, რომელსაც საქალაქო დებულების მე-2 მუხლის მე-12 პუნქტი პირდაპირ აკისრებს ასეთს მოვალეობას.

რაც შეეხება სოფელს, აქ მდგომარეობა უფრო რთულია, რაღაც ერობებს იურისტები ვერ უშოვიათ მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობისათვის, მაგრამ გამოსაცალი აქაც არის.

ჯერ-ჯერობით საქაოა სამაზრო ქალაქებში, ან მაზრის სავაჭრო-სამრეწველო პუნქტებში გაიხსნას ერობის მიერ ასეთი საკონსულტაციო ბიუროები. ამისთვის არც ისე ძნელი იქნება იურისტების შოგნა, რაღაც ვიცით, რომ ბევრი ისეთი, ვინც გაურბის მიყრუებულ კუთხებს, სიმონებით იმუშავებდა მაზრის ცენტრში, სადაც შედარებით ცხოვრება აღვილია და სხვა-და-სხვა კულტურული დაწესებულებაც არსებობს.

ასეთი გამოცდილი იურისტი—საკონსულტაციო ბიუროს გამგე მაზრის ერობას შეუძლიან იმავე დროს გამოიყენოს როგორც ხელმძღვანელი გამგეობის იურიდიული განყოფილებისა. სწორეთ ისე, როგორც ადგილობრივი მუნიციპალურ ამბულატორიის, თუ პუნქტის გამგე ექიმი, თუ ბეითალი შესძლებს მაზრის ერობის სექიმო-სასანიტარო, თუ საბეითლო განყოფილებაში მუშაობას.

შემდეგში კი, როცა შუა გზაზე შეჩერებული იურისტი—სტუდენტები შესძლებენ კურსის დასრულებას, ან ჩეენი უნივერსიტეტი გახსნის იურიდიულ ფაკულტეტს და იქ კურს დამთავრებული ჯგუფი სოფელს ეწვევა, მაშინ ხომ სულ ადვილი იქნება საკონსულტაციო ბიუროების გამრავლება.

მაგრამ ვინაიდან ეს შორეული მომავლის საქმეა, დღეს კი ხალხს იური-დიული დახმარება სჭირიან, იძულებული ვართ ამ საქმეშიაც ჯერ-ჯერა-ბით მცირედით დავკმიყოფილდეთ, სწორეთ ისე, როგორც სხვა მუნიციპა-ლურ საქმეშიაც რაციონალური საფუძველი ჩაუყაროთ საქმეს, რომელიც მომავალში თან-და-თან გაფართოვდება და შესძლებს სრულიად დააქმაყო-ფილის ამ დარგში ხალხის კანონიერი მოთხოვნილება.

დ. კალანდარიშვილი.

—
5675—

რა ანრკოლებს ჩვენს ერობებს?

სანამ ჩვენ პირდაპირ ვადავიდოდეთ დასმულ კითხვის გარჩევაზე, სა-ნამ არსებითად შევეხებოდეთ ყველა იმ ხელის შემშლელ და დამაბრუ-ლებელ მიზეზებს, რომელიც წინ ელობებიან ერობათა მოქმედებას, არ შეგვიძლია უპასუხოდ დაეტოვოთ ის იღუმალი აზრი, რომელიც ბუნებრი-ვად ებადება მყითხველს ერობაზე მსჯელობის დროს. მყითხველი, ეჭვა გა-რეშეა, იტყვის, რა დროს ერობათა შოქმედებაზეა ლაპარაკი, როდესაც მათი კანსტრუქტირა კიდევ არ დამთავრებულა, როდესაც ერობები ორგა-ნიზაკიულ ხანას განიცდიან და მათი ვითარება ჯერ მხოლოდ პროცესშია, დავუცადოთ მათ ჩამოყალიბებას, მათ, ასე ვთვევთ, სტატიკას, და შემ-დეგ ვიქონიოთ მსჯელობა მათ მოქმედებაზე, ამ მოქმედებათა შედეგებ-ზე და ყველა იმ პირობებზე, რაც ხელს უწყობს ან აფერებებს მათ. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ჩვენ გვგონია, რომ დღეს, როდესაც ერობების სახე ცო-ტათ ოუ ბევრათ საერთოდ მაინც გამოირკვა, ვიცით ასე თუ ისე პირობე-ბი, რომელშიაც უხდება მუშაობა ჩვენ ახალგაზდა ერობებს, წარმოდგენი-ლი გვაქვს მთელი რიგი იმ მიზნების და პერსპექტივების, რასაც უყენებს მათ ნორაზე რესპუბლიკის ეკონომიკურ-პოლიტიკური ცხოვრების მსვლელობა, ვითვარისტინებით ყველა იმ დაბრკილებებს, რაც წინ ხედებათ ერობებს მათ ცხოვრების განთავაზე,—სწორედ რომ საჭიროა მსჯელობა ყველა იმ უარყოფით მოვლენებზე, რაც ხელს უშლის და აფერებებს ერობის მოქმედე-დებას. ცხოვრების სინამდვილე, ყოველ ეჭვას გარეშეა, ბევრ შესწორებას შეიტანს ერობათა მოქმედების სფეროში, ბევრ დეფექტებს ჩამოაშორებს მას, მაგრამ ყველა ეს იქნება მწარე გამოცდილების, ბევრ შეცდომების, დიდ ენერგიის დაკარგვის შედეგი. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ერობათა ყოველ მოღვაწის ვალია ისარგებლოს დასავლეთ ევროპის მდიდარ გამოც-დილებით, თვითმმართველობათა მეცნიერების თანამედროვე შეხედულებით, ადგილობრივ ცხოვრების განსაკუთრებულ პირობების. შესწავლით, თავი-დანვე დააყენოს ერობის მოქმედება ნორმალურ მსვლელობის გზაზე, რომ ამით ერობა მართლაც შეიქნას ჩვენ პოლიტიკურ-სოციალურ ისეთ ფაქ-



ტორად, რომ საცხებით გაამართლოს თავის დანიშნულება ერის და დემოკრატიის წინაშე. ჩვენი მიზანია მხოლოდ მივუთითოდ სხვა-და-სხვა გვარ დაბრკოლებებზე და გაკვრით შევეხოთ მათ. და თუ ამით ვისმეს ალუძრავთ ინტერესს ერობის ჭირ-ვარამზე, ჩვენი მიზანი მიღწეული იქნება, რადგან დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი ახალგაზდა ერობის მოღვაწენი უფრო ნათლად გააშუქებენ მათვის საჭირო საკითხებს და ამით ხელს შეუწყობენ იმ დიად იღების განხორციელებას, რაც მათ დასახული აქვთ თავის მოქმედების სფეროში.

* * *

პირველი და იმავე დროს მთავარი დაბრკოლება, რომელიც მძლავ რად აფერხებს ჩვენ ცხოვრების მუშაობას, მდგომარეობს იმ საერთო ეკონომიტურ ურთიერთობის არევ-დარევაში, რომელსაც ადგილი აქვს დღეს ყველგან. ყველას მოეხსენება თუ რაგვარი კატასტროფიული მდგომარეობა შექმნა ომის მიერ გამოწვეულ შედეგებმა. ქვეყანა ამჟამად გაიცდის კრიზისს, რომლის მსგავსი ისტორიას არ ახსოვს. ეკონომიტურ კრიზისებს მოჰყვა პოლიტიკური კრიზისიც. უზარმაზარი სახელმწიფონი, უმეტესად მონარქიული ტიპისა დაინგრა. ომამდის არსებული საერთაშორისო ურთიერთობა მოისპო, სახელმწიფოთა შორის გამშული ეკონომიტური კავშირები გაწყდა, აუარებელი დოკუმენტი განადგურდა, და საერთო სიღარაციას, დამშევის, გადაგვარების სურათი წამოვჭიმა თვალშინ ახალ და ქველ ნგრევისაგან გადარჩენილ სახელმწიფოებს და მათ შესვეურებს. ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ ომაძღევ კაპიტალისტურ ორინტრიალში იყო ჩათრეული *). თავის თავად ცხადია, ის ვერ გადურჩებოდა იმ საერთო ბერის, რაც წილად ხვდა სხვებსაც. განვითარებულ, ტეხნიკურ ძალებით მდიდარ ევროპის სახელმწიფოებისათვის ბრძოლა კრიზისის შედეგებთან უფრო ადვილია, ვინერ რუსეთისთვის ან ჩვენთვის. ისინი შესაფერ იარაღებით და საშუალებებით აღჭურვილნი არიან, ჩვენ კი ყოველ საშუალებას მოკლებულნი. რუსეთის იმპერიის დანგრევამ ჩვენ მოვცა შენობის ნამტვრევები რომლიდანაც ერთ კარგ შესაბალას ვერ გაძირტათ.

ამ საერთო ეკონომიტურ და პოლიტიკურ არევ-დარევის ხანაში უხდება საქართველოს დემოკრატიას საკუთარ სახელმწიფოებრივ შენობის აგება. ასეთ პირობებში ერობების ნორმალურ მუშაობაზე ლაპარაკიც საძნელოა. დიდათ სცდებიან ისინი ვინც ბრალს იმაში სდებენ ჩვენ ერობებს, რომ ისინი ხშირად ანგარიშს არ უწევენ კენტრალურ მთავრიაბას, და წარმოადგენენ რაღაც საერთოსაოებს. დღევანდელ მდგომარეობით, იმ მომენტით, რომელსაც ჩვენი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა განიცდის, აისენება ის, რომ ერობებს ხშირად უხდებათ ამა თუ იმ ნაბიჯების გადადგმა

*) გავისხმოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ სამეცნიეროს სიმინდშე პარიზის ბირჟა აწევს სებდა ფასებს.

მიზან-შეწონილობის თვალსაზრით და არა კანონიერების თვალთახელვით. ამ პირობებში ერობათა „ალაგმეა“, მათი „კალაპოტში ჩაყენება“, რასაც ზოგიერთები მოითხოვენ, არა თუ არ მიაღწევს მიზანს, არამედ გამოიწვევს სულ საჭინაულმდევრო შედეგს.

საერთოდ ეკონომიური ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში დაზომია, რაც სრულიად არა დამოკიდებული მარტო ჩვენს რესპუბლიკის ნება-სურვილზე, ამ ის აუცილებელი პირობა, ურომლისოდაც ერობებს არ შეუძლიან თავის მოქმედების განვითარება. დღეს-დღეობით კი მეტად ცუდ პირობებში უხდებათ მათ მუშაობა, და თუმც ტიტანიურ შრომას ეწევან, მაგრამ შესაფერ ნაყოფს მაინც ვერ ღებულებენ.

* *

შეორე გვარი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის ჩვენ ცხოვრების ნაყოფიერ მუშაობას, გახლავთ ცოდნა-გამოცდილების უქონლობა.

რუსეთის თვითმყრობრელობა მთავარ მიზნად ისახავდა ყოველგვარ საზოგადოებრივობის დევნას, დევნას ყაველგვარ მუშაობისას, რაც კი მიწა-რთული იყო სახალხო კეთილდღეობისაკენ. განსაკუთრებით განაპირა კუთხებში ის ულმობელად ატარებდა ამ პრინციპს. მართალია მან შესაფერი სასჯელი იგმა; მაგრამ მისი ვერაგული პოლიტიკის შედეგი კადევ იარსებებს. სწორედ ამით აისხება ის სამწუხარო მდგომარეობა, რომელშიაც ჩავარდნილნი არიან ჩვენი ერობები. ჩვენ მხედველობაში გვყავს ერობათა დღევანდელი ხელმძღვანელნი. უმრავლეს შემთხვევაში ისნი არიან ახალგაზღა, ენერგიით საჟეს პირები, გატაცებულნი საუკეთესო იდეალებით, გულწრფელი დამცველი ხალხის ინტერესების, მაგრამ იმავე ღრის უმწევონი ყოველ-დღიურ. პრაქტიკულ ცხოვრებაში, უმწევონი იმდენათ, რომ სრულიად უბრალო საქმე, როგორიც არის დილიქნის მიმოსვლის მოწყობა მცირე მანძილზე, მათოვის მძიმე თავ-სამტკრევი საკითხია. უბრალო გზის გაკეთებაში იმდენი ხარჯები მისდის მათ, რომ ბოლოს და ბოლოს მათი სამეურნეო მოლვაწეობა მეტად პრობლემატიურ ხასიათს ღებულობს. მიუმატეთ ამას სხვა-და-სხვა დარგის სპეციალისტების სიმცირე ჩვენში და თქვენ თვალწინ გაღავის შედებათ მწარე სურათი ერობათა ცხოვრების სინამდვილისა. მომავალში, ეჭვს გარეშე, ჩვენ გვეყოლება საუკეთესო კადრი პრაქტიკულად გამოცდილ ერობის მოვალეობისა, მაგრამ ჩვენ აქ ლაპარაკი გვაქვს დღევანდელ ვითარებაზე. დღევანდელი ცხოვრების პირობები ისეთ მოთხოვნილებებს უყენებს ერობათ, რომელთადმი უყურადღებობა, ან ცუდათ დაქმაყოფილება დიდ ზიანს აყენებს ერობის პრესტიუს და ამით აბრკოლებს მის მოქმედებასაც.

* *

გარდა ამ საერთო ხასიათის მიზნებისა არსებობენ კიდევ მიზნები, ასე ვთქვათ, სპეციალისტი თვისებებისა, რომლებიც საჭმალ აფერხებენ

ერობის მუშაობას. მათ შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სასოფლო სათემო და საერობო ორგანიზაციების, ე. წ. სათემო ერთეულების შესა-ფერისად მოუწყობლობას. არსებული სათემო დებულება, გამოცემული რუსეთის დროებით ჟავრობის მიერ, აშენებული სულ სხვა პრინციპზე, უცარგისი შეიქნა დღევანდელ ჩვენ მართვა-გამგეობის წყობილებისათვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღეს ჩვენში არ მოინახება ისეთი ვიზუ, რომელსაც არ ქონდეს წარმოდგენილი სასოფლო ან სათემო ერთეულების მნიშვნე-ლობა ჩვენ სახელმწიფოებრივ სისტემაში. წერილი საერობო ერთეული— აი ის საფუძველი, რომელზედაც ეყრდნობა თვით სახელმწიფოს შენობა. წერილ საერობო ერთეულში ხორციელდება სასალო მართვა-გამგეობის პრინციპი, ეს ერთეული გახლავთ ნამდვილი ფუძე დემოკრატიის არსებო-ბის და ძლიერების და ასეთი მნიშვნელობის საგანი დღეს-დღეობით არ არის შესაფერისად მოწყობილი და კანონით განსაზღვრული. რესპუბლიკის ტერიტორიის პატარა სივრცეზე ისეთ სხვა-და-სხვაობას ვხედავთ მათ გარეგან კონსტრუქციაშიაც, რომლის მსგავსს არც ერთ სახელმწიფოში არ შესვდებით დედამიწის ზურგზე. რა ლაპარაკია საჭირო, რომ ჩვენი სამაზ-რო ერობები ასეთ პირობებში სავსებით ვერ გაშლიან ფრთას და მათი მოქმედების ნაყოფი ნაკლებათ სწორება იმათ, ვისენაც არის ეს მოქმედება მიმართული. მჭიდრო კავშირის უქონლობა სამაზრო ცენტრის თავის პერი-ფერიებთან გახლავთ იმისი მიზეზი, რომ ბევრი მწვავე საქმეები სოფლად სრულიად მოუგარებელი ჩჩება, და დემოკრატიული წყობილების სიღიადე და მნიშვნელობა სოფლის მცხოვრებისათვის საეპონ ხდება. რა თქმა უნდა, ყველა ეს ნაკლი მომავალში გამოისწორდება, მაგრამ მეტი არ იქნება თა-ვის დროზე იქნას შესაფერი ზომები მიღებული სათემო ერთეულების შე-საფერისად მოსაწყობად და მათ დებულების გამოსამუშავებლად.

* * *

როდესაც ჩვენ საძირკველზე კლაპარაკით, არ შეგვიძლიან უყურად-ლებოთ დავტოვოთ ერობათ შენობის სახურავიც და არ ვთქვათ, რომ ამგვარ სახურავის უქონლობა სამწუხარო მოვლენას წარმოადგენს. ჩვენ მოგახსენებთ ერობათ ცენტრზე, შენობის იმ ნაწილზე, რომელსაც თხოუ-ლობს ორგანიული განვითარება ჩვენი ცხოვრებისა. უნდა ამგვარად ითქვას, რომ ერობათ ცენტრის დღევანდელი კონსტრუქცია არაა დამაკმაყოფილე-ბელი. მაშინ, როდესაც ერობა ითვლება სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ადგილობრივ ორგანოთ, მაშინ როდესაც ერობათ მინიჭებული აქვთ სა-ხელმწიფოებრივი ფუნქციების ნაწილი, ამავე დროს მათი ცენტრი, მათი გამაერთიანებელი ორგანო. მოკლებულია ყოველგვარ სახელმწიფოებრივ ხასიათის ფუნქციებს^{*)}). შეუძლებელია ისეთი ორგანოს წარმოდგენა, რომ-

^{*)} ამ საკითხზე რედაქტა ადგილ დაუთმობს სხვა-და-სხვა შეხედულებას.

ლის შემადგენელი ნაწილები უფლება-მოსილი იყოს და თვით ორგანო უფლებამ. ღლეს არსებული ერობათა კავშირი მოქმედებს მთავრობის-მიერ დამტკიცებული წესდებით. ეს წესდება არ არის გატარებული საკანონმდებლო გზით, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ერობათა ცენტრი არ არის შეტანილი სახელმწიფოს სისტემაში. მისი სრული ბატონ-პატრიონი მხოლოდ მთავრობაა ერობათა ან მათ ცენტრის დაქვემდებარება აღმასრულებელ ძალისადმი, ეს იმდენათ არა ნორმალური მოვლენაა, რომ ამის შეგას რამეს არც ერთ უფლებრივ სახელმწიფოში არ შეხვდებით. ამით არა თუ ქარწყლდება ერობის იდეა, როგორც თვითმმართველ ორგანოსი, არამედ ქარწყლდება მისი იდეა როგორც სახელმწიფოებრივ ორგანოსი *). ის უფლებები საჯარო ხსიათისა, რომელიც აქვს მინიჭებული დღევანდელ ერობათა ცენტრის იგვენ უფლებებია, რაც აქვთ კერძო საზოგადოებათა კავშირებს. ამგვარ პირობებში, რა თქმა უნდა, ერობათა ცენტრალურ ორგანოს მოქმედებაზე ზეღმეტია ლაპარაკი. მისი არსებობა უფრო მორალური მნიშვნელობისა, ეინემ სახელმწიფოებრივი, რადგან წარმოუდგენელია სახელმწიფოებრივი ორგანო, მოკლებული ძულებით საკალდებულო ხსიათის უფლებებს.

Ի՞ցե՞ն լրմագ զարտ ճարմագունք ճարմագ, հռմ ամ արա-նորմալուր մըջոմա-
հյոնձած կըօքրյոցիս զանցոտահրցիս մըզլեղօնձահի մուզլեցա ճողլու դա արևց-
ծութաց սիծրալու սայութեա սաեշլմթուոյցից օյնշցրյոցիս զանցիլցիցա սա
յիշոնձատա դա մետազրոնձած Շոռոկս, ամ սոյլեցիատա ույշոնցուրաց գալամոյչպան,
հռմ արց յիշոնձած սոյլեցից ճանիհացրու դա արց մետազրոնձած յոմիշեթինցուա
Շեյլոնձան, զագուշուոյցի սասլուցըլաց դա մետատան մոնիսկոնձա ու գայցցեցրոնձա,
հռմելուց զամուշուոյցուա ու Շոնիտ, հռմ յիշոնձատա պրեթիմա առ հայլանձան
դրմոյշիաթուոյցուա մետայշոնձած պրեթիոն.

საკულტო სხმიეროა ის გარემოებაც, რომ თვით ცენტრალურ მთავრობას შემადგენელი ელემენტები ერთნაირად არ უყურებენ ერობებს, და ურთიერთობა ერობისა და მთავრობის უწყებათა შორის ერთგვარი არაა. მაშინ მცხობს, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ერობებთან შეთანხმებით უყურებს მათ სრული ნორბით, გადააქვს მათ მომზედების სფეროში ისეთი როლი, და პასუხისმგები საქმე, როგორიც არის აღმინისტრაციის ორგანიზაცია განსაკუთრებით დღევანდელ ხანაში, და კმიუნიკაციულდება მხოლოდ კონტროლით. მომარაგების სამინისტრო აღდას სულ სხვა პრინციპს, და ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ იმ უწყებას და ერობათა შორის იდიალი დარღვეულია. დაუფარავ უკმაყოფილებით ხდებიან ერობები მომარაგების სამინისტროს რწმუნებულებს და არ უწინდენ მათ ბელს, რამდენადაც ჩვენ ვიცით, რომ მომარაგების სამინისტრო იძულებული შეი-

*). საკუთრისია ერობის მღვიმეარენბა. ამ მხრივ შევადაროთ სასამართლოს, ამ უაღრესად სახელმწიფოებრივ დაწესებულების, დამოუკიდებლობა აღმასრულდებელ ძალისაგან.

ქნა ანგარიში გაეწია ერობათა ამგვარ „არა სახელმწიფოებრივ“ ტენდენციისათვის.

იგივე ითქმის მიწათ-მოქმედების სამინისტროზე. ყოველი ცდა მინისტრისა, რომ შეერიგებინა თავის მოხულენი ადგილობრივ ერობებთან, უნაყოფა გამოდგა. და ჩვენ ვხედავთ, რომ სამინისტრო თავის პრინციპს, ერობამ უნდა გაუწიოს კონტროლი მის მოხელეებსო, ნელ-ნელა სცვლის საწინააღმდეგო პრინციპზე: ერობებმა უნდა აკეთონ სახელმწიფოს მიერ დავალებული განსაზღვრული საქმეები და ოთონ სახელმწიფომ კი კონტროლი და ხელმძღვანელობა უნდა დაიტოვოს. მოვიყენთ ერთ მაგალითსაც. ჯარში გაწვევის საქმე დაევალა ერობებს. სამხედრო მინისტრი თხოულობს მათგან განსაზღვრულ ასაკის პირებს ნაჩვენებ წესით შემოწმების შემდეგ და მათ ჩაბარებას სამხედრო უფროსებისთვის. აქ თავდება ერობის მოვალეობა. არავითარ შეხლა-შემოხლას სამხედრო მინისტრსა და ერობათა შორის ადგილი არა აქვს, იმდენათ განსაზღვრულია მათი უფლება მოვალეობანი*). ყველა ეს მაგალითები ჩვენ მოვალეობს იმის დასახასიათებლად, რომ დღევანდელი ჩვენი ერობები მოკლებული საერთო სელმძღვანელ ცენტრს, გამარტინანებელ ორგანოს, მოქმედებენ უფლებათა გამოურკველობის სფეროში. მთავრობის და მის შემადგენელ ელემენტების დამოკიდებულობა მათთან არ არის მტკიცე, მათი დამოკიდებულებაც ასეთია და, განიცდია რა რყევას, ხშირად ისეთ ნაბიჯებს დგამენ, რომელიც არაა დასაშვები არც ერთ უფლებრივად მოწყობილ სახელმწიფოში.

* *

გარდა ზემოჩამოთვლილ მიზეზებისა ჩვენ არ შეგვიძლია უყურადღებოდ დავტოვოთ კიდევ ერთი მთავარი მიზეზი. ეს გახლავთ ბიუჯეტის საკითხის მოუგვარებელობა. ჩვენ აქ შეუძლებით სახელმწიფო და საერთო ბიუჯეტი განსაზღვრას და ან მათ ურთიერთობის აღნუსხვას...

ჩვენ შევეხებით მხოლოდ ერობათა უწესებ მდგომარეობას ფინანსიურ მხრით. ვეპვობთ ბევრმა იციდეს დღესაც, თუ რა წყაროებით იკვებებიან და არსებობენ ჩვენი ერობები. ის მცირე სესხი და დახმარება, რასაც მთავრობა აძლევს მათ, ანგარიშში არაა მისაღები იმდენად მცირე და უმნიშვნელოა ის შედარებით ერობების გასავალთან. ერთდროულ გადასახადის პროცენტები, თუ გნებათ, მთელი სანიტარული გადასახადიც რომ მიუმატოთ მას, ერობებს არ უშველოს, თუ მიუიღებთ შედეველობაში იმ აუარებელ მოთხოვნილებებს, რომელსაც წინ უყენებს ერობას დღევანდელი გართულებული ცხოვრება. ერთი წუთით დაუშვათ, რომ სახელმწიფომ მათ

* 1 არც ერთ ჭიათურულ ადამიანს არ მოუვა თავში, რომ ერობის ცენტრში განაგოს ჯარის საქმე, მისი წარმოება და სხვა... სამავიეროდ ვაც ერობის ცენტრს წარმოებეს უფლებებს ახალგაზიათა ჯარში გაწვევის საუკეთესოდ მოწყობის საქმეს და მის დადგენილებას სავალდებულო წასიათს არ მისცემს. გ. მ.

დაუთმო შემოსავლის კვალობაზე გადასახადიც, მაშინაც კი ვეჭვობთ ერობის ფინანსიური მდგომარეობა გაუმჯობესდეს. ჩვენ ქვეყანაში, ვანუვითა-რებელი წარმოების პირობებში, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა გლეხობაა თავის ეკონომიური ერთგვარიობით, მიწის თითქმის ერთ და იმავე რაოდენობით, პატარა მეურნეობით, რაიმე იმედების დამყარება პროგრესულ გადასახადზე ძალიან პრობლემატიურია. ცხოვრება კი არ ითმებს. ის, რაც არ გაკეთებულა რამდენიმე ათეულ წელში, დღეს ერთად თავმოყრილია და მდგომარეობა ისეთია ან უნდა ყველა ეს გააკეთოს ერობამ, ან და გაიშეყლიტოს.

ეს გარემოება აიძულებს ჩვენ ერობებს ხელი მოჰკიდონ ე.წ. მუნიციპალურ წარმოებას, მაგრამ ასეთი მათი მოქმედება, დღევანდელ ხანაში, როდესაც ნორმალური პირობები ეკონომიური ცხოვრებისა ხელს არ უწყობს, უნდა ჩაითვალოს მეტად საეჭვოდ. ზოგიერთმა ერობამ სცადა ხელი მოექიდა ტყის საქმისათვის, თამაბაქოს საქმისათვის და სხვა ამგვარ რამეებისათვის, მაგრამ ეს ცდა უნაყოფოდ იყარება, რადგან საკუთარი საწარმოო თანხის უქონლობა მათ აგდებს კერძო კაბიტალისტების, იმავე სპე-კულიანტების ხელში.

ერთის სიტყვით, ერობათა ფინანსიური მდგომარეობა მეტად დამა-ფიქრებელია. უფრო სამწუხაოო აქ ის არის, რომ ახლო მომავალშიც მისი ფინანსიური მხრით გაჯამბროველების ნიშნებს ვერ ვხედავთ. ერთად-ერთი გამოსავალი, ჩვენის ფიქრით, იგივე სახელმწიფო კრედიტია. მთავრობამ ყაველი საშუალება უნდა იშმაროს, რომ ერობებს ფართო დახმარება მის-ცეს; ერობათა აპარატის კარგი ორგანიზაცია, მისი მოქმედების ნაყოფიე-რება ერთს ორად დაუბრუნებს სახელმწიფოს მის მიერ გახსნილ კრედიტს და არც ერთი გროში მას არ დაეკარგება.

გ. შალანარაძე.

თეოტემართევლობის ფინანსიური უფლებები.

(პახსენება, წაკითხული ვას. პახანა შვილის მიერ თბილისის ქალაქის გაშ-გეობის სხდომაზე).

1908 წელს პეტერბურგის ქალაქის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მოახსენა საბჭოს: „ხარჯთ-აღრიცხვაში შემოსავალ-გასაელის ბალანსის გატა-რება თანდათან შეუძლებელი ხდება. ქალაქების ხარჯები წარმოუდგენ-ლის სისწრაფით ისრდებიან, შემოსავალი კი გაყინულია ერთ წერტილზე.“

ვინც კი იყო დაახლოებული ადგილობრივ თვითმმართველობასთან ძველ რუსეთში. ყველა ნათლად გრძნობდა ქალაქების არა-ნორმალურ მდგო-მარეობას ფინანსურ სფეროში.

ყველა ქალაქი ერთხმად აღნიშნავდა თვითმმართველობათა აუტანელ ფინანსიურ მდგრადარეობას, ადგილობრივ მთავრობილებათა ადგილობრივ დაქმაყოფილების შეუძლებლობას, შესთხოვდა და შელალადებდა მთავრობას ქალაქების და ერობების საბიუჯეტო უფლების გაფართოებაზედ, მაგრამ მათი ოხოვნა-ვედრება ჩრებოდა „ხმათ მღალადებლისა უდაბნოსა შინა“, და მათ მიერ აძრული შუამდგომლობანი ბიუროკრატიულ „კანცელიარშინას“ არ გასცილებიან.

კანონ-პროექტი „ქალაქის და ერობების ფინანსიურ გაუმჯობესების შესახებ“, 1909 წელში წარდგენილი მთავრობაში, კონსტიტუციის მიუღილურ-დემოკრატიულ პარტიის ჯგუფის მიერ მხოლოდ 1912 წლის 2 მარტს იყო შეტანილი მესამე დუმაში, რომელმაც ამ კანონ-პროექტის შემთხვევაში პირველი ხაწილი განიხილა, მეორე ნაწილი კი, რომელიც ეხებოდა ქალაქების და ერობების საბიუჯეტო უფლებებს, მეტყვიდრეობით გადასცა მეოთხე დუმას, ხოლო ამ უკანასკნელმა ისე დამთავრა ოციის არსებობა, რომ ეს კანონ-პროექტი არ განხილავთ.

ამგვარად ქალაქების საბიუჯეტო უფლებები პირველად 1870 წელს განმარტებული, უცვლელად დარჩენენ რუსეთის რევოლუციამდე. რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის, 28 აპრილს, რუსეთის დროებითმა მთავრობამ გამოსცა საქალაქო დებულების პირველი ნაწილი, რომელიც მხოლოდ ქალაქთა საზოგადო უფლებრივ განმარტებას შაიცავდა და უმთავრესად კი საარჩევნო უფლებების გაფართოებას ეხებოდა. რაც შეეხება ქალაქის საბიუჯეტო უფლებებს, მათ შესახებ კანონი დროებითი მთავრობისა გამოვიდა იმავე წლის 9 სექტემბერს, რომელიც არსებითად ცოტათი განსხვავდება არსებულ საქალაქო დებულებისაგან.

მას შემდეგ სრულად შეიცვალა ქალაქთა და ერობათა უფლებრივი მდგრადერეობა.

რევოლუციამ მოსპო ის უნდობლობა, რომელსაც უცხადებდა ძველი მთავრობა ადგილობრივ თვითმმართველობას, მანვე გაანგრია მთავრობისა და ადგილობრივ თვითმმართველობათა შორის ამართული კედელი და დამყარა მათ შორის სოლიდარობა, შრომის თანაბარი და სამართლიანი განაწილება საზოგადოების და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, რევოლუციის შემდეგ, განსაკუთრებით ჩერნში, თვითმმართველობა გახდა ადგილობრივ ძალა-უფლების წარმომადგენლათ. ამ გარემოებამ შექმნა ასალი მოვალეობა თვითმმართველობისა, მისი ვალდებულებანი საზოგადოების და სასელმწიფოს წინაშე გააფართოვა და გააღრმავა. ამავე გარემოებას უნდა შეექმნა თვითმმართველობისათვის ახალი უფლება, მაგრამ ეს ასე არ მოხდა: ორი წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ პოლიტიკურ თავისუფლების ატმოსფერაში, მთავარი მნიშვნელობა იმდენათ ფორმალურ უფლებას არ ჰქონია, რამდენათაც ამ უფლების განხორციელების შესაძლებლობას.

თავისთვალ ცხადია, რომ მოვალეობის დაკისრება, უფლებების ფორმა-

ლური გაფართოება არ ნიშნავს უფლებების ფაქტიურად გაფართოებას, თუ მათი შესრულების და განხორციელების შესაძლებლობა არ ექნება თვითმმართველობას. ასე მოხდა ჩენები. ადგილობრივ თვითმმართველობათა უფლება გაფართოვდა, მოვალეობა გართულდა და მათი განხორციელების შესაძლებლობის ზრდა ბევრად ჩამორჩა მოვალეობათა ზრდას.

მოხდა მხოლოდ საქმის განაწილება მთავრობასა და ადგილობრივ თვითმმართველობათა შორის, მაგრამ არ მომხდარ განაწილება იმ საშუალებებისა, რომელთა წყალით უნდა ხდებოდეს მართვა-გამგეობის საქმის წარმოება ადგილობრივ. შეიქმნა ახალი, ახალ საფუძველზე დამყარებული ურთიერთობა მთავრობასა და თვითმმართველობის შორის, მაგრამ არ შექმნილა ამ ურთიერთობის გამომხატველი და გამწერიუგებელი რეგლამენტი. კანონი დარჩა ძველი, ურთიერთობა კი ახალია. თუ მთავრობამ თავისი მოვალეობა გაუნაწილა ადგილობრივ თვითმმართველობას, დააკისრა მას სახელმწიფო უფლებები, უნდა მოვალეობათა განხორციელების შესაძლებლობაც გაენაწილებინა. უნდა გადაეცა თვითმმართველობისათვის სახელმწიფოს შემოსავლის ნაწილიც ისე, როგორც გადასცა ფუნციების ნაწილი. ეს შეუთანასმებლობა კანონსა და ფაქტურ მდგომარეობის შორის აღმავებს იმ ფინანსიურ ტრაგედიას, რომელსაც განიცილებნენ თვითმმართველობანი რევოლუციამდეც და აუცილებელ საჭირო ხდის არსებულ საქალაქო დებულების დაუყონებლივ გადასინჯვას და მის შესწორებას, როგორც თვითმმართველობის საზოგადო უფლებრივ მდგომარეობის მიხედვით, ისე მის საბიუჯეტო უფლებების შერიც.

ჩენ მიზნათ გვაქვს შევეხოთ ქალაქის საბიუჯეტო უფლებებს და ამიტომ ამ მოხსენებაში მხოლოდ მასზეც შევეჩრდებით. ჩენ გვინდა გამოვარკვიოთ ქალაქების სასურველი საბიუჯეტო უფლება ნორმალურს პირობებში და არ ვეხებით დღვევანდელს მოით და რევოლუციით შექმნილ განსაკუთრებული ზომებია საჭირო.

ქალაქების საბიუჯეტო უფლება იმდენათ დაკავშირებულია სახელმწიფოს/საბიუჯეტოს უფლებასთან, რომ მათი ცელცალკე განხილვა არეც-დარევას გამოიწვევს. კომუნალური ფინანსიური სისტემა შეთანხმებული უნდა იყოს სახელმწიფოს ფინანსიურ სისტემასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში აღვილათ შესაძლოა ერთი ჯგუფის ზედმეტი დაბეგგრი სახელმწიფოსა და კომუნის მიერ, იმ დროს, როდესაც მეორე ჯგუფი სრულიად არ იქნება ან ნაკლებ იქნება დაბეგვრილი. ამიტომ ქალაქთა საბიუჯეტო უფლება უთუოდ განხილული უნდა იქნას სახელმწიფოს ფინანსიურ სისტემის საზოგადო ქსელის თანახმად.

სახელმწიფო და კომუნის საბიუჯეტო უფლების საფუძველი უნდა ვეძებოთ ამ ორი ორგანიზაციის მოლევაწეობის ხასიათსა და მასშტაბში.

გერმანელი ფინანსისტი პრიოფესორი ადოლფ ვაგნერი იმ აზრისა არის,

რომ სახელმწიფოს და კომუნის მოღვაწეობა ერთი-მეორესაგან განსხვავდება არა თვისებით, არამედ რაოდენობით, და არ ეთანხმება იმ აზრს, რომ კომუნა მხოლოდ ეკონომიური ორგანიზაციაა და სახელმწიფოს კი პოლიტიკური. პრინციპიალურად, ვანგრძის აზრით, არავითარი განსხვავება სახელმწიფოსა და კომუნას შორის არ ასებობს. კომუნა მარტო სამეურნეო ორგანიზაცია არ არის, მის მოღვაწეობას პოლიტიკური ხასიათიც აქვს. მათ შორის მოვალეობათა განწილების შემთხვევითი ხასიათი აქვს და განსაზღვრება ისტორიული მომქნეტით ან იმ მოსაზრებით, თუ რამდენად უფრო მოსახერხებელია ამა თუ იმ მოვალეობის დაკისრება სახელმწიფოშე ან კომუნაზედ. ყველაზედ მეტად ეს შეხედულება მართალი დღევანდელი ჩვენი მდგომარეობისათვის, როდესაც კომუნა-თვითმმართველობა სახელმწიფოს მოვალეობას და ფუნქციებს ასრულებს ადგილობრივ. მაგრამ ადგილობრივი თვითმმართველობანი, კომუნები დღეს და შემდეგშიაც უფრო სამეურნეო ორგანიზაციას წარმოადგენ ვიდრე პოლიტიკურს. მართალია, ზემოთ აღვნიშვნეთ, რომ სახელმწიფოს და კომუნის მოღვაწეობას შორის პრინციპიალური განსხვავება არ არის, მაგრამ ეს მხოლოდ პრინციპიალურად. ფაქტურად კი კომუნა უფრო სამეურნეო ორგანიზაცია არის ვიდრე სახელმწიფო. ამიტომ „კომუნის ფინანსიური სისტემა—ამბობს ვაგნერი—ისეთივე არ უნდა იყოს, როგორიც არის სახელმწიფოს ფინანსიური სისტემა, მაგრამ პრინციპიალურად არც უნდა განსხვავდებოდეს მისგან“.

ქალაქების საბიუჯეტო უფლების განხილვის დროს უთუოდ უნდა ვაჟიოთ ანგარიში იმ მოვალეობათ, რაც დაკისრებული აქვს მას მისი მოლვაწეობის ხასიათსა და ბუნებას.

საქალაქო დებულების პირველი მუხლი ამბობს: „ქალაქის გამგეობა განაგებს ადგილობრივ მმართველობის და მეურნეობის საქმეებს, ავტოტვესხვა საქმეებს, რომელიც დაკისრება მას განსაუზრებული კანონებით“.

ადგილობრივი მმართველობის და მეურნეობის მოწესრიგება—ია ის მოვალეობა, რომელიც დაკისრებული აქვს კომუნას და საიდანაც უნდა გამოყდომეთ საბიუჯეტო უფლებების განხილვის დროს. ამ მუხლით განსაზღვრება კომუნის მოღვაწეობის ხასიათი. მან უნდა იუფლოს, როგორც მმართველმა, და ჰქმნას ლირებულება, როგორც მეურნება.

დავიწყოთ მეორიდან.

ქალაქის მეურნეობა არ არის ისეთი მეურნეობა, როგორიც არის კერძო პირის მეურნეობა. მესაუზორის ერთად ერთი მამოძრავებელი მომენტი თუ არა, უმტავრესი მაინც ეკონომიური ინტერესია, ეგრედ წოდებული „მქონომიური ეგოიზმი“. მას საზოგადო ინტერესები, საზოგადო მდგომარეობის გაუმჯობესება არა აქვს მიზნად. საზოგადოების საჭიროებანი მას იძღვნად ანტერესებს, ამდენადც ამ საჭიროებათა დაკმაყოფილებილან იგი სარგებლობას ნახავს. საზოგადოებრივი მეურნეობას კი, ე. ი. სახელმწიფოსას და კომუნისას, თან სდებს ეთიური პრინციპიც, მას მიზნათა აქვს საზო-

გადო მოთხოვნილებათა დაქმაყოფილება, ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, როგორც მთელი საზოგადოებისათვის, ისე მის თითოულ წევრი-სათვის.

თუ კომუნის და სახელმწიფოს მოლვაშეობას ასეთი ხასიათი აქვს, თუ ის ზრუნავს საზოგადოების კეთილდღეობაზედ, მიზნათ აქვს გააადვილოს ცხოვრება, გააუმჯობესოს მდგომარეობა, საზოგადოებაზეც ამ მოლვაშეობაში ხელი უნდა შეუწყოს და შეუქმნას კომუნის თუ სახელმწიფოს მოვალეობის შესრულების შესაძლებლობა: აქედან გამომდინარეობს თითოული მოქალაქის მოვალეობა მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივ ორგანიზაციების მოღვაწეობის ღლობინებაში, მიუხედავათ იმისა, მიიღებს თუ არა თვითონ რაიმე სარგებლობას ამ მოლვაშეობიდან. ხოლო რაღაც კომუნის მოლვაშეობა განისაზღვრება ადგილობრივ მმართველობით და ადგილობრივ მეურნეობით, ამიტომ მოქალაქე ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა, როგორც მმართველობაზედ გაწეულ ხარჯებში, ისე კომუნის სამეურნეო ხარჯებში.

მაშასადამე თითოული მოქალაქე ვალდებულია მიიღოს კომუნის და სახელმწიფოს სასარგებლოდ ის, რის გალებაც შეუძლია გას საზოგადოებრივ მეურნეობის და მმართველობის აღმომდინება-განვითარებისათვის.

აქედან გამომდინარეობს ის პრინციპი, რომელზედაც უმთავრესად დამყარებული უნდა იყოს სახელმწიფოს და კომუნის ფინანსიური სისტემა. ეს არის „ხარჯვადაზღვის“ უნარიანობა“ მოქალაქისა. თუ კერძო მეურნეობაში მთავარი მნიშვნელობა „ინტერესს“ აქვს, კომუნის ფინანსურ სისტემი ეს მთავარი მნიშვნელობა. „ხარჯვადაზღვის“ უნარიანობას“ უნდა ჰქონდეს. მაგრამ აქედან არ შეიძლება დაესკვით, რომ „ინტერესს“, ქალაქის მეურნეობაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. თუ კერძო მეურნეობაში თანაბარი ღირებულების გაცვლა-გამოცვლა ხდება და ამ პროცესს შედევათ „ეკონომიკურ ეგოიზმის“ დაქმაყოფილება მისდევს, კომუნის სამეურნეო ცხოვრებაში ხშირია ისეთი მომენტება, როდესაც „სამსახურ-სამაგიეროს“ (ყისყა-ვიზმევჭე) პრინციპს ადგილი უნდა დაეთმოს და ჯეროვანი ყურადღება მიექცეს. ამ ორი პრინციპის შეთანხმება და ერთნაირად სარგებლობა ორთავე საფუძველით კომუნალურ ფინანსიურ სისტემაში, შესაძლებელ გახდის ქალაქების ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესობას და განმტკიცებას.

ქალაქს კომუნას გაჰყავს ახალი ქუჩები, წყალსადღნი, კანალიზაცია, განათება, აძლიერებს და აუმჯობესებს მიმოსვლის საშუალებებს და სხვა, ე. ი. ქმნის ისეთს ღირებულებას, რომლითაც სარგებლობს ან ყოველი მცხოვრები ქალაქისა ან ნაწილი მცხოვრებლებისა. აქედან იწყება შესაძლებლობა „სამსახურ-სამაგიეროს“ პრინციპის განხორციელებისა. თუ გსურს ადგილად მიხვიდე შენს ბინამდის, თუ გსურს სალი და საქამაო წყალი გქონდეს ახლოს, თუ გინდა სისუფთავე, თუ არ მოგწონს ბენე ქუჩაში სიარუ-

ო, გაიღე ხარჯი და გექნება ყველა ეს. გაგიწევს სამსახურს თვითმმართველობა და შენც მიეცი სამაგიერო. აი ის ანბანური ჰეშმარიტება, რომელსაც „სამსახურ-სამაგიეროს“ პრინციპს უწოდებენ.

ქალაქის თვითმმართველობის ასეთი მოღვაწეობით, აშგვარი სამსახურით, უბირველს ყოვლისა, სარგებლობენ მიწის და სახლის მესაკუთრენი და ვაჭარ-მრეწველნი. მიტომ ამ პრინციპით უნდა იბეგრებოდნენ სახლის პატრონები, მემმულე და ვაჭარ-მრეწველნი, ე. ი. ამ პრინციპით უნდა იბეგრებოდეს ქალაქის სასარგებლოდ ყოველი ის უძრავ-მოძრავი საგანი, რომელიც კომუნის მოღვაწეობიდან რამე სარგებლობას ითვისებს.

ქალაქში თუ კარგი გზებია, კარგი განათება, წყალი, სისუფთავე და-ცულია, სკოლები მრავალია, სააგარიშყოფებია, ვაჭრობა-მრეწველობა ვან-ვითარებულია, მცხოვრებთა რიცხვი სწრაფად იზრდება, და ამ გარემოებიდან უბირველს ყოვლისა სარგებლობას სახლის და მიწის პატრონები ღებულობენ, რაღაც მცხოვრებთა რიცხვის ზრდასთან ერთად იზრდება მამულის ღირებულება, მისი საიჯარო ფასი, ბინის ქირა და სხვა. მცხოვრებთა რიცხვის ზრდა კი, ამ შემთხვევაში, კომუნის მოღვაწეობის შედეგია.

ვაჭარ-მრეწველნიც ეკუთვნიან მცხოვრებთა იმ კატეგორიას, რომელიც ვასსაკუთებით დიდს სარგებლობას პოულობს კომუნის მიერ გაწეულ ხარჯების შედეგებიდან. ქალაქის პატარა ტერიტორიაზედ შექუჩებული, მცხოვრებლები, კარგი და ადვილი გზები, განათება, წყალი, სასაკლაო, ადვილი და იაფი მიმოსვლა და სხვ. ქმნის მიმითანა პირობებს, რომელშიც ვაჭარობა-მრეწველობას მოვგაბა უადგილდება და უდილდება. ამიტომ მცხოვრებლების ეს კატეგორიაც უნდა იბეგრებოდეს კომუნის სასარგებლოდ „სამსახურ-სამაგიეროს“ პრინციპის მიხედვით.

მაგრამ ადგილობრივ თვითმმართველობის მოღვაწეობა მარტო ქუჩების, წყალსადენის, კანალიზაციის, ე. ი. სამეურნეო სფეროთი არ განისაზღვრება. მას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვა მოვალეობაც აქვეს: იგი ვალდებულია მთელს ქალაქში დაიცვას წესიერება, მოქალაქეთა სიკოცხლე და ქონება, უზრუნველ ჰყოს ყოველგვარ საფრთხისაგან, მოაწყოს მის გამგებლობაში მყოფ ტერიტორიაზედ სწავლა-განათლების საქმე, იზრუნოს უბატრონი ბავშვების აღზრდაზედ, მოურას მოხცებს და ინვალიდებს, მოაწყოს და შეინხოს თავის სამმართველო და სხვა-და-სხვა, ე. ი. თვითმმართველობა გალდებულია ქალაქის მცხოვრებთა საზოგადო მითხოვინილებნიც დააგმაყოფილოს. კომუნა ეაღდებულია შექმნას და შეინახოს ისეთი ლაწერებულებანი, რომელთაც ყველასათვის ერთნაირი სარგებლობა მოაქვს. ამ ხასიათის მოღვაწეობიდან გამომდინარეობს მეორე საფუძველი მცხოვრებთა დაბეგვრისა. კომუნის მოღვაწეობის ამ სფეროში „სამსახურ-სამაგიეროს“ პრინციპს ადგილი არა აქვს.

თუ პირველ შემთხვევაში, ე. ი. როდესაც თვითმმართველობა წმინდა სამეურნეო მოღვაწეობას აწარმოებს, „სამსახურ-სამაგიეროს“ უნდა ჰქონ-

დეს მთავარი მნიშვნელობა: მეორე შემთხვევაში, როდესაც თვითმმართველობის მოღვაწეობას ყველა მოქალაქისათვის ერთგვარი მნიშვნელობა აქვს, აქ უნდა განხორციელდეს მოქალაქის მოვალეობა ადგილობრივ თვითმმართველობის მიერ გაწეულ ხარჯებში მონაწილეობის მიღებისა. ამ მოვალეობის შესასრულებლად მოქალაქებში უნდა გაიღოს ის, რის გალებაც მას შეუძლია, მიუხედავათ იმისა, თვითონ სარგებლობს რითმე, თუ არა. მაშასადამე ამ შემთხვევაში მოქალაქე უნდა იჩეგრებოდეს „ხარჯ-გადახდის უნარიანობის“ პრინციპით.

პირველ შემთხვევაში, ე. ი. „სამსახურ-სამაგიეროს“ პრინციპი გულისხმობს რეალურ გადასახადებს, ე. ი. გადასახადებს ყოველ იმ უძრავ-მოძრავ საგანზედ, რომელიც თვითმმართველობის მოღვაწეობიდან ითვისებს რამე რეალურ სარგებლობას.

მეორე შემთხვევაში — „ხარჯგადახდის უნარიანობის“ საუკეთესო გამომხატველი არის შემოსავლი, ამიტომ ამ პრინციპით დაბეგვრა არის იგივე შემოსავლის კვალობაზე დაბეგვრა.

მაშასადამე თვითმმართველობათა და სახელმწიფოს საბუიჯეტო უფლებების განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა გვქონდეს ეს ორი სხვადა-სხვა ბუნების გადასახადი: რეალური „სამსახურ-სამაგიეროს“ პრინციპზედ აგებული და გადასახადი შემოსავლის კვალობაზედ.

სახელმწიფო არ არის სამეურნეო ორგანიზაცია. ის აწარმოებს საზოგადო მართვა-გამგებობის საქმეს, ხოლო ადგილობრივ მეურნეობას — ერობა და ქალაქი. არა სახელმწიფო, არამედ ერობა და ქალაქი ეწევა ისეთს მოღვაწეობას, განსაკუთრებით ჩევნში, რომელიც საგანს ლიტებულებას უმატებს და სარგებლიანობას უძლიერებს მას, ე. ი. ქმნის ისეთ გარემოებას, როდესაც შესაძლოა დაბეგვრა „სამსახურ-სამაგიეროს“ პრინციპის მიხედვით; და რადგან „სამსახურ-სამაგიეროს“, პრინციპი გულისხმობს რეალურ გადასახადებს, ამიტომ რეალურ გადასახადების მითვისების უფლება აქვს მსოლოდ თვითმმართველობას და არა სახელმწიფოს.

აქედან დასკვნა ერთი შეიძლება. ყველა რეალური გადასახადი უნდა გადაეცეს ადგილობრივ თვითმმართველობას — ერობას და ქალაქს, როგორც ისეთს ორგანიზაციას, რომელიც ჰქმნის ამ გადასახადის ეთიურ საფუძველს.

ადგილობრივი თვითმმართველობა, გარდა სამსახურეო მოღვაწეობისა, საზოგადო მართვა-გამგებობის, ყველა მის ტერიტორიაზედ მცხოვრებთათვეს სასარგებლო საქმეს აწარმოებს. ამ შემთხვევაში როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მოქალაქე უნდა იბეგრებოდეს „ხარჯ-გადახდის უნარიანობას“ მიხედვით. ეს პრინციპი საუკეთესო განხორციელებას პოულობს შემოსავლის კვალობაზე გადასახადში.

სახელმწიფო თავის მოღვაწეობით ქმნის სახელმწიფოს მოელ ტერიტორიაზედ ისეთს ღირებულებებს, რომლით სარგებლობაც ყველა მოქალაქეს ერთნაირად შეუძლია, და თუ ასეთ საყოველოთათვის სასარგებლო მოღვაწეობა

ბაში ყველა მოქალაქე უნდა იღებდეს მონაწილეობას იმდენათ, რამდენათაც ეს მას შეუძლიან, ხოლო ამ შესაძლებლობის მაჩვენებელი არის შემოსავალი, მაშასადამე ყველა მოქალაქე სახელმწიფოს სასარგებლოთ უნდა იბეგრებოდეს „ხარჯგადახდის უნარიანობის“ მიხედვით, ე. ი. შემოსავლის კვალობაზე.

მაგრამ ქალაქიც და ერობაც ეწევიან ამ ხასიათის მოღვაწეობას თავიანთ ტერიტორიაზე, მაშასადამე მათაც უნდა მიეცეს უფლება მოქალაქეთა დაბეგვრისა „ხარჯგადახდის უნარიანობის“ მიხედვით, ე. ი. შემოსავლის კვალობაზედ ქალაქის ან ერობის ფარგლებში.

აქაც დასკვნა მხოლოდ ერთი შეიძლება.

თვითმმართველობას უნდა მიეცეს უფლება მის ფარგლებში მცხოვრებთა დაბეგვრისა შემოსავლის კვალობაზე. მაგრამ თუ ქალაქი თვით მოაწყობს ამ გადასახადის ორგანიზაციას, ეს დიდ ხარჯებს გამოიწვევს და ეს მაშინ, როდესაც ამისთვის საჭირო ორგანიზაცია და აპარატი უკვე აქვს სხელმწიფოს. ამ ხარჯების აცდენ სულ ადვილი იქნება თუ დაწესებება შემოსავლის კვალობაზედ დამატებითი გადასახადი ქალაქის სასარგებლოდ და ამ გადასახადის მოკრეფა დაევალება იმ ორგანიზაციას, რომელიც სახელმწიფოს აქვს მოწყობილი ხარჯების ასაკეთებათ.

რომ რეალური გადასახადი თვითმმართველობათ უნდა გადაეცეს, ეს ზემოთ დავიმტკიცეთ. ამის განხორციელება არც ძნელია, რადგან სახელმწიფოს ფინანსური სისტემაში რეალურ გადასახადებს მცირე ადგილი უჭირავთ და ამ შემოსავლები სახელმწიფოს ადგილად შეუძლია უარი სთქვას.

საკამათო შეიძლება იყოს სახელმწიფოსა და კომუნას შორის მხოლოდ შემოსავლის კვალობაზედ ქალაქის სასარგებლოდ დამატებითი გადასახადის ნორმების დაწესების უფლება. სახელმწიფო, ეჭვს გარეშეა, ეცდება მცხოვრებთაგან, ამ გადასახადის სხირ, ამოსწუროს ის, რის ამოსწურვაც მას შეუძლიან, ე. ი. რის გადახდაც შეუძლიან მცხოვრებლებს. მაშასადამე, თუ კომუნას გადაეცა უფლება ნორმებისა და მან შემოილო დიდი გადასახადი, ამით შემცირდება მცხოვრებთა „ხარჯგადახდის უნარიანობა“ და, მაშასადამე, მოქალაქე სახელმწიფოს სასარგებლოდ ვეღარ გადიხდის იმას, რის გადახდაც მას შეეძლო. ამის პასუხს იგივე პრუსიის კომუნალური სისტემა გვაძლევს.

პრუსიის ფინანსური სისტემა არ ცდილობს კომუნას მოაქსპოს შემოსავლის კვალობაზედ გადასახადით სარგებლობის შესაძლებლობა და სახელმწიფოს მონოპოლიათ გახადოს ამ გადასახადით სარგებლობა; პირიქით, ეს სისტემა ავალებს კომუნებს განსაზღვრულ მომენტიდან დაწყებული უფრო რო მეტად ისარგებლონ შემოსავლის კვალობაზედ გადასახადით, ვინემ რეალურ გადასახადით. ასეთი მდგომარეობა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც რეალური გადასახადი აიწევს კანონის გამოსვლის დროს სახელმწიფოს სასარგებლოდ არსებული ნორმების 150%-მდის ე. ი. თუ რეალური გადა-

სახადი კომუნაშ გაადიდა ოსებულ გადასახადის 150 % - მდის, ამის შემდეგ რეალურ გადასახადის 1 % - ტის მომატება უნდა მოსდევდეს შემოსავლის კვალობაზედ გადასახადის მომატება 2 % - ით.

მაშასადამე, თვით კანონი ავალებს კომუნას შემოსავლის კვალობაზედ გადასახადით უფრო მეტად ისარგებლობს, ვინემ რეალურ გადასახადით, რომლის ნორმა ამავე კანონით განსაზღვრულია 150 პროცენტით. მაგრამ ეს კანონი ხშირად ირლევოდა კომუნის მიერ და რეალური გადასახადით განსაზღვრულ ფარგლებს სკილდებოდა. რეალური გადასახადი იზრდებოდა, ხოლო შემოსავლის კვალობაზედ გადასახადი ერთ წერტილზე იყინებოდა. გერმანიის ქალაქებში, პროფესიონალურ ინჟინერების ცნობით, შემოსავლის კვალობაზედ ქალაქის სასარგებლოდ დაწესებულ გადასახადი სახელმწიფოს გადასახადის დაახლოებით 250 % შეადგენდა, ე. ი. თუ სახელმწიფო ბეგრძაფა 40 % - ით კომუნას შეეძლო ეს გადასახადი 10 % - მდის აეყვანა. მაგრამ იშვიათი ქალაქი არის გერმანიაში, რომელიც შემოსავლის კვალობაზედ გადასახადი 2100 % - ის ასწია. 1905 წელში ქალაქების 80 % ასეთი გადასახადი არ ასკილებია 150 %; ქალაქების 15 % - ში 200 %, მხოლოდ ქალაქთა დანარჩენ 5 % - ს, გლებოვის ცნობით, შემოულია დიდი გადასახადი რასაც სახელმწიფოს ფინანსებზედ არაეითარი გაელენის მოხდენა არ შეეძლო.

ასეთი ქალაქებია: ნიკოლაევი, შვეცი, რუსელი, მევე, ბერენტი, ლაბ-შტატი, ტოლემენტი, გორუნი და სხვები, რომელთაც სახელები უცნობი არიან არა მარტო ჩვენთვის, არამედ თვით გერმანიულთა უმთავრესობისა-თვისაც.

გერმანიის სახელმწიფოსათვის არაფერი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენს ახდევინებს რომელიმე გორუნი, რომელშიაც მცხოვრებთა რიცხვი 1.600-ს არ აღემატება. გორუნოს რომ სულაც არაფერი არ აეღო ამ გადასახადისა, მაინც გერმანიის სახელმწიფოს რესურსები ისეთივე დარჩებოდა, როგორც არის დღეს.

სახელმწიფოს ბიუჯეტზედ გავლენა აქვთ დიდი ქალაქებს და მათ რაოდენობას, და ამისთანა დიდი ქალაქებში-კი გადასახადი მცირდება.

ქალაქების სასარგებლოდ რეალურ გადასახადების გადაცემით შემოსავლის კვალობაზედ გადასახადი აღარ იზრდება, ხოლო რეალური გადასახადებიც-კი განუწყვეტლივ იზრდებიან იმის მიხედვით, თუ რამდენათ იზრდება და ვითარდება თვით ქალაქი.

კონკურენციას სახელმწიფოსა და კომუნას შორის ანელებს ის გარემოება, რომ ქალაქს შეუძლიან რეალური გადასახადების გადიდება თავის შეჩედულებით და საჭიროების მიხედვით. ამიტომ ქალაქები გერმანიაში უფრო დიდი ყურადღებას აქცევენ რეალურ გადასახადებს, ვიდრე გადასახადს შემოსავლის კვალობაზე. გარდა გერმანიისა ასეთი გარემოება არის იტალიაშიც. ის რას ამბობს პროფესიონალურ ნიტეზი: „თითქმის ყველა აღილობრივ ფინანსიურ სისტემაში რეალური გადასახადი სკარბობს გადასახადს

შემოსავლის „კვალობაზე“ და ამ მოვლენას ხევნებული ნიტტი სსნის იმ გარემოებით, რომ ერთის მშრივ თვითმმართველობის მოღვაწეობით უმთავრესად მესაკუთრენი სარგებლობენ და მეორეს მხრივ იმიტომ, რომ რეალური გადასახადი უფრო ადვილი გადასახდელია „ამიტომ—ამბობს ნიტტი—ბოლო ხანქბში ზოგიერთმა სახელმწიფომ რეალური გადასახადები უკვე გადასცა კომუნას, ხოლო თითონ დაიტოვა შემოსავლის კვალობაზე და არა პირდაპირი გადასახადები“.

ამის გარდა, გადასახადი შემოსავლის კვალობაზედ არ იზრდება, რადგან რეალური გადასახადების გადაცემით ქალაქებს გაეხსნათ შესაძლებლობა ახალი გადასახადების დაწესებისა, როგორიც არის დაუმსახურებელი ლიტებულების ზრდაზე, და ქონების ტრიალზედ, რომელზედაც ქვემოთ შევწერდებით.

გარდა ამისა, რადგან გერმანიის ქალაქები ქონებრივად უკეთეს პირდებში არიან, რეფორმის შემდევ სწრაფად განვითარდა მუნიციპალური წარმოებანი, რომელთაც ქალაქის რესურსები გააძლიერეს, და რამდენთაც ქალაქი ძლიერდება ქონებრივად, იმდენად ნაკლებად საჭირო ხდება შემოსავლის კვალობაზედ გადასახადის გადიდება.

ამით აისწება ის გარემოება, რომ გერმანიის ქალაქებში შემოსავლის კვალობაზედ გადასახადი თანდათან მცირდება და თუ 1890 წ. ქალაქების მესამედში ეს გადასახადები სახელმწიფოს სასარგებლოდ დაწესებულ გადასახადის 200 %-ს შეადგენდა, 1905 წ. მხოლოდ ამ ქალაქების ერთს მეტყოფადში-ლა იყო 200 %-მდის, და დანარჩენ ქალაქებში ის თანდათან მცირდებოდა.

დიდიც რომ იყოს ამ გადასახადის ნოტმები, სახელმიწო მაინც არას დაკარგას, რადგან იგი ამ დანაკარგს სხვა გზით აინაზლაურებს. თავის-თვად ცხადია, რომ კარგად მოწყობილ ქალაქს პროვინცია ეტანება, სწრაფად იზრდება მცხოვრებთა რიცხვი და სხვა. ისიც ცხადია უკელასათვის, რომ ქალაქის მცხოვრებთა მოთხოვნილებანი უფრო დიდია და კულტურულათ მაღალია, ვინერ სოფლის მცხოვრებლების და, მაშასადამე, ქალაქის მცხოვრებნი ამ გადასახადებზედ დანაკარგს დაუბრუნებენ სახელმწიფოს მის სასარგებლოდ დაბეგვრილ საქონლის ხმარების სახით: (ჩაი, შაქარი, ნაცო, სპირტი, არაუი და სხვ.).

ამგვარათ იმისი შიში, რომ სახელმწიფო დაკარგავს შემოსავალს, თუ შემოსავლის კვალობაზე გადასახადის ნოტმების დაწესების უფლება მიეცა ქალაქს, არ არის საბუთოანი.

თუ ის მოსაზრებანი, რომელიც ჩვენ აქ მოვიყვანეთ, საკმარისი არ იქნება, შეიძლება გადასახადის ნოტმების დაწესების უფლება მაინც მიეცა ქალაქს შემდეგის კორრექტივით. თუ ფინანსთა სამინისტრო შეამჩნევს, რომ რომელიმე ქალაქი თავის სასარგებლოდ შემოსავლის კვალობაზედ გადასახადის (თუნდა რეალურსაც) ისეთს ნოტმებს აწესებს; რომელნიც ჯინჯისთა სამინისტროს აზრით ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესებს, მას შეუ-

ძლია ქალაქის დადგენილებანი განასახივროს სენატში, რომლის დადგენილება სავალდებული იქნება ქალაქისათვის.

ამ კორექტოვით დაცული იქნება სახელმწიფოს ინტერესები და მაშასადამე, ზემოთ მოყვანილი შიშიც თავიდგან აცილებული.

შემოსავლის კვალობაზედ გადასახადით უნდა იბეგრებოდეს ყოველი ფიზიკური პირი, მიუხედავათ სქესისა, წლოვანებისა და ქვეშეგრძლობისა, რომელსაც მუდმივი ბინარობა აქვს ქალაქში სამი თვეს განმამელობაში და აქვს ისეთი შემოსავალი, რომელიც უნდა იბეგრებოდეს სახელმწიფო გადასახადით; აგრეთვე იბეგრება ყოველი იურიდიული პირი, სახელდომართო აქციონერული საზოგადოება, საკრედიტო დაწესებულება, მომზმარებელი საზოგადოება და სხვა, რომელიც ქალაქში ბინარობს, ამ იმყოფება სხვა ადგილას, მაგრამ შემოსავალი კი ამ ქალაქიდან აქვთ.

ამ გადასახადიდან თავისუფალნი უნდა იყვნენ უცხო სახელმწიფოთა კონსულები და მისიები.

ის პირნი, ამხანგრძანი და საზოგადოებანი, რომელნიც ქალაქის გარეშე იმყოფებიან, გადასახადს იხდიან შემოსავლის მხოლოდ იმ ნაწილის კვალობაზედ, რასაც იგებენ ამ ქალაქში.

შემოსავლის კვალობაზედ გადასახადის რაოდენობის განსაზღვრის უფლება უნდა ეკუთვნოდეს ქალაქის საბჭოს.

(გაგრძელება იქნება).

თბილისის ახალი წყალსადენის შესახებ.

მეტად დიდ-მნიშვნელოვან საქმეს მოჰკიდა ხელი ჩვენი რესპუბლიკის დედა-ქალაქის თვითმმართველობამ. მიმდინარე წლის 4 აგვისტოს თბილისის ქალაქის საბჭომ გადაწყვიტა ახალი წყალსადენის გაყვანა. საბჭოს აღმასრულებელი ორგანო,—ქალაქის გამგეობა, უკვე შეუდგა მუშაობას და დღეს გამგეობის მიერ არჩეული სპეციალისტ-ინჟინერები იკვლევენ წყალსადენის უკანასკნელს ვარიანტს—ბულაჩაურის წყაროებს.

ახალი წყალსადენი! რა დიდი სტორია და წარსული აქვს ამ საკითხს! რამდენი თქმულა. და დაწერილა მის შესახებ! 30—35 წლის განმავლობაში ქალაქის თვითმმართველობის წრეებში ეს საკითხი ირჩეოდა და ირკვეოდა, მის მოსაფარებლათ დახირჯა დიდი თანხა, მაგრამ არ იქნა და მოქალაქე ვერ ეღინისა ალთქმულ წყალს. ავჭალის წყალსადენის აშენება დასრულდა 1887 წელს და როდესაც მისი აშენება დაწყო, უკვე რამდენიმე წლის შემდეგ აშეარა გახდა, რომ ეს წყალსადენი ქალაქის გაფართოებულ მოთხოვნილებებს ვერ დააგმაყოფილებდა. მთავარი შეცდომა, რომელიც დაუშვეს

მის აგების დროს, იყო ის, რომ საქმარისი სიმარტივით და სისწორით არ იყო წინ-და-წინვე ნავარაუდევი ქალაქის მცხოვრიბთა რიცხვის ზრდა და ქალაქის გაფაროობა-განვითარება.

თავის-თავად ცალია, რომ დამოკრატიული თვითმმართველობა, რომელიც რევოლუციის პირველ წლიდან დაეპატრიონ ქალაქს, ვერ დააქმა- ყოფილდა „ძეველის შეკეთებით“ და ისეთ კითხვაში, როგორიც წყალ- სადენეს. გაყანა, რომელშიაც დაინტერესებულია ქალაქის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა და რომელის სწორ გაღაწყვეტაში, სხვათა-შორის, იგუ- ლისხმება ქალაქის ზრდა-განვითარების და გამშვენიერება-აყვავების მომა- ვალი პერსპექტივები,—მან საყითხის ლირსულ გადასაწყვეტათ გადადგა მეტად გაბედული, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯი...

ვინ არ დაგვთანხმება, რომ ეს საქმე საერთოდ მეტად დიდი, მეტად პასუხსაცემი საქმეა როგორც დღევანდელი, ისე მომავალი თაობისათვის. სწორეთ ეს სიდიდეც იყო მიზეზი, რომ ძეველმა საბჭომ ამ კითხვაზე ფეხი წაიტენა და საქმიანობა ჩეველ ლამაზ და მაღალ ფრაზებს ვერ ააცილა. თუ ძეველ პირობებში, როდესაც ცხოვრება ერთ-გვარ კალაპოტში იდგა, ეკო- ნომიური მდგომარეობა უქეთესი იყო, მიმისულა და ტრანსპორტი უბრალო საქმეს შეადგენდა და ასეთი დიადი ხასიათის საქმეთა შესრულება სრუ- ლიად შესაძლებელი იყო,—ვერას გახდნენ,—ცხადია დღევანდელ განსაკუ- თრებით მძიმე პირობებში ასეთი საქმის განხორციელება კიდევ უფრო ძნე- ლია და ეს იდეა საქართველოს კულტურა ერთგულ შეინტენირების უაღრეს ინტე- რეს უნდა იწვევდეს. სხვათა-შორის ისიც უნდა ითქვას, რომ მისი, განხო- რციელება უა ლირსულად დომავრება ხელს შეუწყობს და დაეხმარება მუნიციპალურ საქმიანობის პრაქტიკულათ შესწავლას საქართველოს ქალა- ქების დღევანდელ მოღვაწეთა თაობის მიერ.

ახალი წყალსადენის კვლევა-ძებნიშ დღემდე მოგვცა სამი ჯგუფი წყა- რობისა, ანუ, როგორც იტყვიან, სამი ვარიანტი; ეს არის: წალკის, ნატა- ტარის და ბულაჩაურის წყაროები.

წალკის წყაროები.

ეს წყაროები ქალაქზე მოშორებულია ას თხუთმეტი ვერსით, საზღვრა- ვენ ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებს და გამომდინარეობენ ფილაქინის ქვეპიდან მეტათ უხვათ, ისე რომ მათი დებეტი დღე-ლამეში ათ მილიონ ველრამდე ადის. წალკის წყაროები თბილისის წყალსადენის მთავარ რეზერ- ვუარჩე ხუთასი საკუნით მაღლა მდებარეობენ და იძლევიან მეტათ მაღალი ლირსების სასმელ წყალს. მცოდნე პირების სიტყვით, წალკის წყაროები დრეზდენის და მიუნხენის წყაროებზე უფრო მომზიბლავ სურავს წარმოა- დგენს და დღემდე რომ ეს წყალი გამოყევანათ—ეს მეტად კარგ პირო- ბებში ჩაყენებდა ქალაქის მცხოვრებლებსაც და მის მეურნეობასაც.

პირველად ეს წყაროები, ქალაქის გამგეობის დავალებით, დაათვალიერა და გამოიკვლია ევროპიდან მოწვეულმა ინჟენერმა ლინდლეიმ 1895 წელს. ის მოხიმლული იყო წალკის მდიდარ წყაროების სანახაობით და ამის შემდეგ ეს ადგილი ქალაქის „მამების“ დად-ყურადღებას იპყრობდა.

მაშინ ქალაქმა ლინდლეის საერთო საკითხი დაუსვა გადასაწყვეტია: მას უნდა გამოიკვლია, თუ რა გზით იყო შესაძლებელი წყლის მხრივ ქალაქის უზრუნველყოფა. ამ კითხვის გასარკვევათ პირველ ყოვლისა ლინდლეი ავჭალის წყალსადენის გაუმჯობესების გამორჩევას შეუდგა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ამ მხრივ მის მუშაობა თითქმის უნაყოფოდ ჩაივლიდა. მაშინ მან დაიწყო ახალი წყაროების ძებნა. როგორც დღეს, ისე მაშინ, ამ საქმით ბევრი იყვნენ დაინტერესებულნი, რადგან სხვა-და-სხვა კუთხები, სადაც კი ცოტათ თუ ბევრათ უხვი წყაროები მოიძებნებოდნენ, ცდილობდნენ ქალაქს მათი წყაროებიდან გაეყვანათ წყალი და ამიტომ ლინდლეის ყურადღება იმ დროითვე არაგვის მარცხენა მხარეს—საგურამი-შვილო—ბულაჩაურს მიაქციეს, მაგრამ ლინდლეიმ, როგორც ეტყობა, საგანს ზერელეთ შეხედა, უარყო ეს ადგილები და მთელი თავისი იმედები არაგვის მარჯვენა მხარეს მიაპყრო და საბოლოოდ წალკაზე შეჩერდა. 3. ლინდლეი ამის შემდეგ ევროპაში წავიდა, მაგრამ ის ამავე საქითხის გამო გამოიწვიეს თბილისში 1899 წელს. ეხლაც, როგორც წინეთ, მან უარპყო სხვა წყაროები და პირველ რიგში წალკა წამოაყენა. 1903 წ. საბჭოს კომისიამ, ბაბოვის თავმჯდომარებით, უკანასკნელათ მიიღო წალკის ვარიანტი და ამის შემდეგ იწყება ამ წყალსადენის სხვა-და-სხვა გეგმების მოწოდება ქალაქის გამგეობისათვის.

ყველაზედ უფრო საყურადღებოთ უნდა ჩაითვალოს ის წინასწარი გემია, რომელიც წარუდგინა ქალაქ სწობილმა ინჟენერმა მეტტიცმა 1914 წ. სხვა მრავალ მეტად რთულ ტეხნიკურ საქმეთა შესრულების გარდა, გეგმის განხორციელებისათვის უნდა გათხრილიყო ცხრა კილომეტრიანი გვირაბი (ტონელი) კლდეში, 1.600 მეტრის სიმაღლეზე ზღვის ზედა-პირიდან ბევრ ალავას, სადაც წყალ ლიმე ხევებში დიდის ძალით წამოვიდოდა, საჭირო იყო რკინის ორმაგი სისტემის მიღების ხშრება. ეს უნდა შესრულებულიყო უმთავრესად ალგეთის სეინის გადასალავათ, ქველ მანგლისთან, დაბის დაბლობით მდებარე გორაკებზე, სოფელ პრიუტთან, თეთრ დუქანთან და სხვა. ამ გზით წყალი წამოვიდოდა კოჯრის მთით 10.000 ცხრის ძალით. უნდა აეგოთ რამდენიმე პირვავლიური და ტიურბინის სადგურები... წყლის აუარებელი ზედმეტი ძალა მოხმარდებოდა ქალაქის მრავალ საჭროებებს როგორიც არის მორწყვა — გასუფთავება, განათება და სხვა. ჰველა ამ საქმის შესრულებისათვის საჭირო იყო 16—მილიონამდე წარჯის გაწევა რაც დღეს მიღიარდს აღმატება. საქმე იმდენათ ძნელი შესასრულებელი იყო, რომ ბევრი ამ გეგმას უიმედოო უცქეროდა და ეს როგორც ვხედავთ მართალი აღმოჩნდა.

1909 წელს მარტში თბილისში შესდგა რუსთის წყალსადენების წარმომადგენელთა მე-9-რე ყრილობა, რომელსაც დაესწრენ რუსთის გამოჩენილი სპეციალისტები წყალსადენის საქმისა. ამ ყრილობაზე დაწვრილებით იქნა გარჩეული წყალსადენის საკითხი თბილისში, როგორც წარსულის მოგონებით, აგრეთვე აწმუნს და აგრეთვე მომავალი პერსპექტივების აღნიშვნით. ქალაქის ძევლი „მამები“ დიდის მზადებითა და ზემოთ შეხვდნენ ამ ყრილობას და მეტად კარგი „მასპინძლობაც“ გაუწიეს დელეგატებს. ამ ყრილობაზედ მოსმენილ იქნა ორი მოსსენება თბილისში წყალსადენის შესახებ. ერთ-ერთ მომსენებელთა აზრით, „წალკის წყალსადენი ერთიანად გარდაჭემიდა თბილის და გარდა პირდაპირი მოთხოვნილებების დაქმაყოფილებისა, ზედ-მეტი წყლის ძალის გამოყენებით „ქალაქი გახდება და წარმოების უმთავრეს ცენტრათ მთელ კაცკასიაში“.

უნდა აღნიშვნოთ, რომ ამ საერთო გატაცებას წალკის წყაროებით მეტათ ფთხილათ შეხვდა ცნობილი მუნიციპალური მოღვაწე და გამოცდილი ბაქტერიოლოგი აწ განსვენებული მ. ლუნკევიჩი, რომელიც 30 წ. განმავლობაში განაგებდა კაცვასის სამხედრო ქიმიურ ლაბორატორიას, კაცვასის მედიკურ საზოგადოების თავმჯდომერეთ იყო და წარსულში დიდ მონაწილეობას იღებდა ქალაქის საქმეებში. მას აშინებდა წალკის წყალსადენის სიძვირე. ერთ თავის სიტყუაში აღნიშულ ყრილობაზე მან სთქვა:

„მე ვემხრობი ლინდლეის აზრს, რომ ავჭალას სამუდამოთ უნდა მოვცილდეთ, მაგრამ ვიდრე საბოლოოდ გადავწვეტდეთ იდეალურ, მაგრამ ჩენენან მეტათ დაშორებულ წალკის წყალსადენის გაყვანას, — საჭირო არის ყოველ მხრივ გამოვიყვლით უახლოესი წყაროები. შეიძლება ეს წყაროები არ აღმოჩენენ იდიალური თვისებისა, მაგრამ, ამავე დროს, შესაძლებელია ისენი სრულიად აქმაყოფილებდნენ ჰიგიენის და სანიტარიის მოთხოვნილებას“.

ქალაქის მოღვაწეების უმრავლესობას სურდა, რომ ამ ყრილობას დაედასტურებია წალკის ვარიანტი და ამისათვის ნიადაგსაც-ე- აშზადებდნენ, მაგრამ ეს არ მოხდა. როგორც ვხედავთ, ცხოვრებამ სავსებით გაამართოთ წალკის მოწინააღმდეგეთა ფრთხოლი მოსაზრება. გავიდა დრო და წალკაზე ლაპარაკი თან-და-თან სუსტდებოდა და ბოლოს კი ომმა და მისი გან წარმოშობილმა ახალმა ცხოვრებამ ის, ერთიანად დაჩრდილა...

ქალაქის ძევლ მეთაურებს უნდობათ წალკის წყალი, მაგრამ ამისათვის გათ საქმის უნარი ვერ გამოიჩინეს და ის წყაროები კი, რომლებიც ნაკლების ხარჯით და აგრეთვე ნაკლების შრომის გაწევით უზრუნველყოფდნენ ქალაქს, მივიწყებულნი დარჩენენ. ამ კითხვაში იაბილისი ძევლ „მამების“ ხელში ბაქოსაც კი ჩამორჩა. უკანასკნელმა უკვე შეასრულა უდიდესი საქმე, — გაიყვანა შოლლარის წყალსადენი, რომელიც 192 ვერსით მოშორებულია ბაქოზე...

განახლებულმა ცხოვრებამ არსებითად შესცვალა მუნიციპალური საქ-

შიანობა. დემოკრატიულმა ქალაქის საბჭომ უარყო წალკის წყაროები, როგორც ეკონომიკურის და ტეხნიკურის, ისე პოლიტიკურის მისაზრებით. აი ის უმთავრესი დებულებანი რომლებითაც ხელმძღვანელობდნენ ახალი გამგეობა და საბჭო ამ კითხვის გადაწყვეტის დროს:

1. წალკის წყაროები სახელმწიფოს საზღვრებზეა და სისიტათო მიკაწოდოთ უმთავრეს ქალაქს წყალი იმ ადგილებიდან, სადაც უცხოთა მთლიანობელობა იწყება.

2. გრძელი გვირაბების გაყვანა და სხვა ძნელი ტექნიკური საქმეების შესრულება მრავალწლობით დაგვიანებს წყალსაცდის საქმის.

3. ქალაქის უმთავრეს დაწესებულებათა: ტრანზისა, განათებისა, რწყვისა და სხვათა ერთ და იმავე წყალსადენზე დამოკიდებულება არ არის სასურველი.

4. მოსალოდნელი დიდი ხარჯი მძიმე ბეგრათ დააწევდა ხალხს და ამ-
ნაირათ ეს შეკალასდნი ეკონომიკური მნიშვნელობის არ არის სასურველი.

ესლა გავეცნოთ ნატაქტარის და ბულაჩაურის წყაროებს, საღაც, ქ-ლაქის გამგეობის დავალებით, წყაროების მთავარი მკვლევარი ინტ. მამრადე უკვე შეუძლა მუშაობას და ომელთა შორის ერთ-ერთმა უნდა გაამართ-ლოს ჩვენი იმედები.

କୁରୁକ୍ଷରାଣିବ ପ୍ରୟାନ୍ତଙ୍ଗରେ

არაგვის მარჯვნით, ხეობაში თბილისიდან 28 კერძის მანქილზე, მცხე-
თასა და საღვურ წილებან შუა, სოფელ ნატახტართან ახლოს მდებარეობს
ნატახტარის წყაროები.

ადგილ-მდებარეობა წყაროებისა სწორია, ნაწილი ამ ადგილებისა ვაზებით არის მოშენებული, ნაწილი კი ტყეს უკირავს. ქვევ ასლოს შეხვებით აგრძელებს, რომლებიც ნატახტარის წყლებთან ერთად არაგვს უერთდებიან.

პირველად ამ წყაროების შესახებ ქალაქის თვითმმართველობაში კითხვა აღიძრა 1899 წ. ამ ხანებში წყალსაცენის საკითხს არკვევდა ინჟინერი ლინგ დ ლ ე ი, რომელსაც ამ კითხვის აღძრამდე უკვე ჰქონდა შედგენილი აზრი წალკის შესახებ. სწორედ ამ დროს საცულისშულო მამულების ინსპექტორი მარტინ ინოვი სწერდა ქალ. მოურავს:

„მე გავიგე, რომ ქალაქის ს აღწომ მოიწვია ინჯენერი ლინდლე, წყალ-სადგნის საქმის გამოსაკვლევათ და ამიტომ მაქეს პატივი გაცნობოთ, რომ საუფლისტულო მამულების მთავარმა ინჯენერმა ოზეროვმა მომახსენა მე, რომ ეგრეთ წოდებულ „ნატახტარის დაჩაში“, ქართლის საუფლისტულო მამულში, იმყოფება მეტად უხვი წყაროები, რომლებსაც შეუძლია დაქა-ყოფილება ქალაქის საჭიროებისა. ბ. ოზეროვის გამოკვლევით, ამ წყარო-ების წყალი ლირსებით აგჭალის წყალზე მეტად უკითხესია. აქედან ახლო

წყალსადენის გაყვანა შესაძლებელია ორი წლის განმავალობაში და, შედარებით სხვა წყაროებთან, მეტად იაფად დაჯდება. თუ თქვენთვის ეს წინადაღება სასურველი აღმოჩნდება,—საუფლისწულო მამულების გამგეობა ყოველგვარ დამარცხებას აღმოგიჩენთ ამ საჭირო“...

ჯერ კიდევ ლინდლე ეს ჩამოსვლამდე შეუდგა ქალაქის გამგეობა ნატახტარის წყაროების შესწავლის. პირველმდე ეს აღგილები თვით გამგეობამ დაათვალიერა და ამ ზერელე გაცნობამაც-კი გამოარკვია, რომ რაოდენობის მხრივ ნატახტარის წყაროები საესებით დააქციალფილებდა თბილისის მოხოვენილებას. ბევრი ფიქრობდა, რომ კითხვა სასურველ ხასიათს ღებულობდა, რადგან ამის შემდეგ გამგეობას საშუალება ეძლევოდა წყალსადენის საქმე დროზე მოევარებია, მაგრამ, როგორც ქვემოთ დაინიახავთ, ეს ასე არ მოხდა.

რამდენიმე თვეს შემდეგ თბილისში ჩამოვიდა ლინდლე ერთი დღის განმავლობაში დაათვალიერა ნატახტარის წყაროები და განაცხადა, რომ „ნატილიმარივ ეს წყაროები შესდგებიან არაგვის ბუნებრივთ გაწმენდილი წყლისაგან,—ნატილობრივ კი მუხრანის ველიგან გამომდინარე წყლებისგან და ქალაქის სასმელად არ გამოადგება“. როგორც წალკის მოტრფიალემ, მან ერთხელ კიდევ იხელთა დრო და სთქვა, რომ „წყალსადენის საკითხს გადაჭრა მხოლოდ წალკას შეეძლიანო“. იმ დროს ქალაქის გამგეობის წევრათ იყო ვ. ჩერქეზიშვილი, რომელიც, როგორც ძელი მასალებიდან სჩანს, არ აჰყოლია ამ საკითხში სოლოლაკის ლიდერთა ფეხის ხმას და ერთგვარი მიუდგომლობა გამოუჩენია. მისი წინადაღებით გამგეობამ მიმართა კავკასიის ექიმთა საზოგადოებას—შეესწავლა ნატახტარის წყაროები საექიმო თვალსაზრისით და გამოეთქვა თავისი აზრი: იყო იუ არა სასურველი ნატახტარიდან წყლის გამოყვანა. ექიმთა საზოგადოებამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო ამ საკითხის გაშუქებაში და ნატახტარის წყაროების ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა განსაკუთრებულ კომისიის მიანდო.

ექიმთა საზოგადოების კომისიამ ნატახტარის წყალი პირველად 1900 წ. იანვარში გასინჯა. ის კარგი ლირსების აღმოჩნდა, მაგრამ ეს ანალიზი ვერ იცნებს საქმარისად კითხვის საბოლოოდ გადასაწყვეტათ, რადგან ცნობილია რომ ზომტრობით წყალში ორგანიულ ნივთიერებათა გახსნის პროცესი მეტათ სუსტია და ამიტომ წყლის ნიმუშები განმეორებით იქნენ გასინჯული გაზაფხულზე, საფხულში და შემოდგომაშე. ამ გარემოებით ანალიზებმა საბოლოოდ გამოარკვის ნატახტარის წყლის ვარგისობა და ამის შემდეგ კომისიამ გამოსთქვა თავისი დაფებითი აზრი მისი ლირსების შესახებ. ეს გადაწყვეტილება მოხსენდა ექიმთა საზოგადოების საჯარო კრებას, რომელსაც დიდადაღი გარეშე საზოგადოებაც დაესწრო. კომისიის დასკვნამ საინტერესო კამათო გამოიწვია. უძრავლესობა სრულიად საქმარისად სთვლიდა შეგროვებულ მასალებს და ურჩევდა ქალაქის გამგეობას წყალსადენის

ნატახტარიდან გაყვანას. კამათის შემდეგ ეჭიმთა საზოგადოებამ შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო: „ნატახტარის წყაროების წყალი საცხებით აქმა- ყოფილებენ კარგი ლირსების სასმელი წყლის ყველა მოთხოვნილებებს“.

ამ გადაწყვეტილებამ მაშინ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე. ნატახტარს ბევრი მომხრე აღმოუჩნდა, რადგან მის შესახებ უკანასკნელი და კომპეტენტური აზრი გამოსთვეუ ისეთმა ავტორიტეტულმა საზოგადოე- ბამ, როგორიც არის ექიმთა საზოგადოება. ქალაქის „მამები“ და აგრძელე საკითხთან ახლოს მდგომი საზოგადოება ჯგუფებათ დაიყვნენ. ერთნი იცავ- დნენ წალკას, ამათ მეთაურობდნენ ალიბეგოვი, ლინდლეი, ა. არგუტინსკი და მეტიცი. მეორენი კი ნატახტარს ემსრობდნენ.— ამათი აზრის გამომჩა- ტველი იყვნენ ექ. ლურკეგიჩი, ვ. ჩერქეზიშვილი და ქველი წყალსადენის გეგმის შემსრულებელი იახეროვა.

ბ-ნ ოხეროვმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას ვრცელი მოსხენება ახა- ლი წყალსადენის შესახებ და მოსხენებაში ასეთი შედარება გაჰყავდა— წალკა და ნატახტარს შორის: „ნატახტარიდან დაბალ რეზერვუარამდე 21—22 ვერსია, თბილისიდან მანგლისამდე 62, მანგლისიდან წალკამდე კი 40, სულ თბილისიდან წალკამდე 110 ვერსი. ერთნაირ ტოპოგრაფიულ, კლიმატიურ და ტეხნიკურ პირობებში რომ იყოს წალკას და ნატახტარის წყაროები, მაშინაც კი ნატახტარის წყალსადენი ხუთჯერ იაფი დაჯდება ვიდრე წალკისა, სინამდვილეში კი ამ ორ წყაროების ერთნაირ პირობებზე ლაპარაკიც ზედმეტია“.

წყლის ოკითმიმღინარეებითი ძალას წყალსადენის გაყვანის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს. საერთოდ ყველა დიდი ქალაქები ცდილობენ იშოვონ ისეთი წყაროები, რომლებიდნ წყლის გაყვანა არ მოითხოვს მე- ქანიკურ ძალის დახმარებას, რადგან უკანასკნელი ძირი ჯდება და ეს გა- რემობა კი აძირებს წყალს, რაც მეტათ არა სასურველია. რას გვპირდება ამ მხრივ ნატახტარის წყაროები?

ნატახტარის წყაროების „დებეტი“ ჯერ-ჯერობით დანამდვილებით გამორკვეული არ არის, ამბობენ მხოლოდ, რომ ის ათ მილიონ ვედრიმდე ადის დღე-ღღმეში. მართალია ნატახტარიდან ქალაქამდე ადგილები სწორია. და მოხერხებულია მაგრამ წყალი მხოლოდ თბილისის რეზერვუარამდე წა- მოვა თავისივე ძალით და ამის შემდეგ კი საჭირო იქნება მაშინების და- მარება წყლის მაღლა რეზერვუარში ასაყვანათ.

ბ უ ლ ა ჩ ა უ რ ი ს წ ყ ა რ თ ე ბი.

ბულახურის წყაროები მდებარეობენ დუშეთის მაზრაში, არაგვის მარ- ცხნივ, თბილისიდან 47 ვერსის მანძილზე. წყაროების დასაწყისი ვაკე ადგილია რომლის სიგრძე-სიგანე დაახლოვებით შეადგენს 4—5 ვერსს. ამ ვაკეს აღმოსავლეთით აქვს კავკასიონის მთების ფერდობები, სამხრეთით აბანოს ხევის მიწადორი და ჩრდილოეთი კი მდინარე არაგვი.

ეს ადგილი გაიყოფება ორ ნაწილად,—ზემო და ქვემო ველებათ. ზემოველი არაგვზე 5—10 საეკნით მაღლა მდებარეობს, ქვემოველი კი არაგვიდან 1—1 ½ საეკნის სიმაღლეზეა. ზემო ველი ნახნავ-ნათესია, აქვე გადის ორი საურშე გზა—ერთი მთების ახლოს ჯინვალისაკენ, მეორე კი ს. ბულაჩაურისაკენ. ქვემო ნაწილი ველისა ადგილობრივ ტყეს უჭირავს, ადგილობრივ კი საყანეს წარმოადგენს...

თუ წინეთ ცენტიანი ქალაქის თვითმმართველობის წინამდლოლთა უურადღებას იპყრობდნენ მხოლოდ წალკა და ნატახტარი, თუ მთელი ამოდენა წლების მუშაობა მხოლოდ და მხოლოდ ამ ორ წყაროების შესწავლას მოხმარდა,—დღეს, როდესაც ისტორიულ განვითარების გარდაუვალმა კანონებმა ქალაქის საქმეები ნამდვილ პატრიონ-მეთევალუურეთ ჩააბარა, ახალი წყალსადენის საკითხთან ერთად წინარიგში წამოყენებული იქნა აზრი ბულაჩაურის წყაროების უფრო დაახლოვებით შესწავლა-გამოკვლევის შესახებ.

ქველ „მამების“ მიერ დაჩრდილული და ათვალწინებული ბულაჩაურის წყაროები წინეთაც შრავალჯვერ იქმნა გასინჯული, ნაგრამ მას არ ას-ცდა სოლოლაკელების პოლიტიკანობა, უკეთ რომ ესთქვათ, ინტრიგა და მიღვიმილობა. ჯერ კიდევ 1894 წ., ეს წყაროები გამოიკვლია ტეხნიკურმა კილბლოებმა, რომლის მუშაობა, რასაკვირველია, სხვა-და-სხვა „გავლენის“ გამო უნდა ასცილებოდა კეშმარიტების ხაზს. კილბლოების აზრით, „ბულაჩაურის წყაროების ძარღვება სუსტობენ და ქალაქს ვერ დააკმაყოფილებენ“. თვით წყლის ლირსებაზედაც ვერ გამოიტანა მან მიუდგომელი დასკვნა. მისი აზრი შემდეგში განიმეორებს ინენერებმა ლინდლეიმ და მეტცმა, ამავე დასკვნას ეყრდნობოდა ერთ-ერთ წინადაღებაში ინენერი მიხაილოვი. უკანასკნელი უფრო შორის წავიდა ბულაჩაურიდან ახალი წყალსადენის გაუყვანის უარყოფითს დასურათებაში და სხვათა-შორის შეეცადა დაესაბუთებინა თავისი აზრი იმით, რომ ვითომეც ბულაჩაურიდან გაყვნილი წყალსადენი ერთობ ძირიათ დაუჯდებოდა ქალაქის სალაროს. ამის შემდეგ ბულაჩაურზე ლაპარაკს ძეველ საბჭოში ადგილი აღარ ჰქონია...

ასეთი დიდი საქმის მოგვარება მოითხოვდა უცელა მასალების გამოყენებას, კითხვის სისწორით გაშუქებას და სწორეთ ამიტომ 1917 წელში ქალაქის გამგეობაში აღიძრა საკითხი ბულაჩაურის წყაროების დამატებით გამოკვლევის და უფრო დაახლოვებით შესწავლის შესახებ. მაშინ წყაროები გასინჯა კავკასიის ფრონტის განსაკუთრებულმა სამხედრო ჰიდროტექნიკურმა ორგანიზაციამ და გასული წლის ზაფხულში კი განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელშიაც შედიოდნენ სამხედრო მედიკურ ლაბორატორიისა და ქალაქთა კავშირის ლაბორატორიის წარმომადგენელები. ორთავე შემთხვევაში გასინჯვის და გმირებულევის შედეგები არაფრით არ წააგავნ კილბლოების და სხვების დასკვნებს. წყაროების კარგი ლირსება ერთხმათ დამტკიცდა. აღმოჩნდა, რომ ზამთრობით ბულაჩაურის წყაროების დებეტი უღრის 1 ½ მილიონ ვედრას, ზაფხულობით კი 5 მილიონამდე ადრს. ბულაჩა-

ურის წყაროების მცირე ნაწილი დედა-მწიდან გამოდის, უმთავრესი ნაწილი კი არავეის ბუნებრივათ დაწმენდილ წყალია.

დღევანდელი ქალაქის საბჭოს ტეხნიკურ კომისიის უკვე გადაწყვეტილი აქცეს სკითხი ბულახიურის წყაროების უპირატესობის შესახებ. მოაგარ დაბრკოლებას შეადგენს მხოლოდ ის გარემოება, რომ ზამთრობით დებეტი კლებულობს და შესაძლებელია ამ მოვლენამ მომავალში უხერხულ პი- რამბებში ჩააყენოს ქალაქი. ამ შემთხვევაში გიდაწყვეტილი არის არაგვის წყლით სარგებლობა, რადგან ცნობილია, რომ არაგვის წყალი მეტად სუფ- თა და სასხელმათაც კარგია.

ქალაქის გამგეობის უკანასკნელ მოხსენებაში, რომელიც გასულ წელს
განიხილა საბჭომ და რომელიც საფუძვლათ დაედო მის გადაწყვეტილებას
ახალ წყალსაღენის გაყვანის შესახებ, მოყვანილია შემდეგი შედარება ნა-
ტახტარის და ბულაჩაურის ვარიანტებისა: „წყალსაღენის წინასწარ გეგმაში
სამი უმთავრესი საკითხი უნდა იყოს გადაწყვეტილი: 1 ლირსება წყლისა;
2 რაოდნობა და მუდმივობა დებეტისა; 3 წყლის მიწოდება. ლირსების მხრივ
ორივე წყარო ერთნაირ ჰიპონობებშია. რაოდნობის მხრივ ნატახტარი სჯობს
ბულაჩაურს, რომელსც ზამთრობით უნდა მიემარს ზოლმე არაგვის წყალი,
ბულაჩაური კი სჯობნის ნატახტარს უმთავრესად იმით, რომ ბულაჩაური-
დან წყალი თავისი ძალით (თვითმიმდინარეობით) წამოიქანდა და ეს სავრდ-
ნობლათ შეამტკირებს საექსპლოატაციო ხარჯებს“. თუმცა თბილისიდან
ბულაჩაურის სიშორისა და ახაგვის წყლის დასაწმენდ საღწეულების აგების
გამო სააღმშენებლო ხარჯები დიდი იქნება, მაგრამ შესაძლებელია ეს
ხარჯები შემცირდეს წყლის ზედმეტი ძალის რაციონალურათ გამოყენებით.
ნატახტარიდან კი წყალი თვითმიმდინარეობით წამოვა ქალაქის ქვემო აუ-
ზამდე და ზემო აუზამდე წყლის აყვანა დიდ ხარჯს გამოიწვევს. ამის გამო
ნატახტარის ლირსება ბულაჩაურის წინაშე საგრძნობლათ ეცემა...

ყველა ზემო მოყურინილ რთულ კითხვების გამოსარტყევათ ბულოჩიაურისა და ნატახტარის წყაროების შესახებ მუშაობს განსაკუთრებული კომისია ინქ. 3. მამრაძის ხელმძღვანელობით. ამ კომისიას დავალებული აქვს რაც შეიძლება დაჩქარებით წარმოადგინოს ახალი წყალსადენის გეგმა, რადგან დღო გადის და ერთის მხრით ქალაქის გაფართოებულმა მოთხოვნილებებმა და მეორე მხრით კი მისუსტებულმა ავჭალის წყალსადენმა შეიძლება მეტის-მეტ (უდი პირობებში ჩააყინოს მცხოვრებთა ინტერესები).

დღეს მუშაობა გაჩაღებულია, მაგრამ მისი შედეგების გამოქვეყნება ჯერადაც დაიწყო. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ, ამ საქმესთან დაახლოვებული პირების იმედები ბულახურის წყაროებზე დაჭარებულია...

როგორც ამ მასალებიდან სჩანს, დღემდე თბილისი შეაღსაფენის მხრივ არა სასურველ პირობებში იყმოფებოდა და ამას ლიდი ხანია გრძნობდენენ. მას ავკალის შეაღსაფენი ვერ. აქმაყოფილებდა როგორც შელის რაოდნობით, აგრძითა მისი ლიტერატურით.

ჩვენ გვახსოვს, რომ ომის დროს და შემდეგაც ბეჭრი უბნები ქალაქისა მთელი კვირაობით დარჩენილან უწყლოთ და ეს ქმნიდა მეტათ საშრაპარ პირობებს. ცხადია, რომ ამის შემდეგ ზედმეტია ლაპარაკი ავჭალის წყალსადენზე, როგორც თბილისი „ზრდა-განვითარების და აყვავების უმთავრეს ფაქტორზე...“ ეს დიდი მუნიციპალური პრობლემა უნდა გადაწყვიტოს ქალაქის ახალმა წყალსადენმა.

ქალაქების ცხოვრების განსაკუთრებული პირობები მოითხოვს ქალაქის მოლვაწეებისაგან სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებისადმი დიდ უზრადლებას. ქალაქი არის უმთავრესი ძარღვი კულტურულ-ეკონომიურ ცხოვრებისა და მისი განვითარება იწვევს მრავალ-რიცხვოან მცხოვრებთა ერთად შექტება-დაკავშირებას და ცხადია, რომ ასეთ პირობებში უპირველესი უზრადლება სისუფთავის დაცვას უნდა მიექცეს და სწორეთ აქეთ უნდა იყოს მიმართული ქალაქის მუშავთა მთელი უზრადლება. კარგი ჰიგიენური პირობები მეტის-მეტად ხელს უწყობს ქალაქების ზრდა-განვითარებას; ჰელორაფიულ-ეკონომიურ და სხვა ბუნებრივ ფაქტორებთან ერთად, ჰიგიენა-სანიტარისი მოთხოვნილებათა ჯერვანათ დაქმაყოფილებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის განვითარებისათვის...

ამ შემთხვევაში ფრთა ეშლება ქალაქების ალმშენებლობით მუშაობას მათ უადვილდებათ ბრძოლა გადამდებ ავათმყოფობასთან და საერთოდ მარტივდება გაუმჯობესება და მოწყებიგება მოქალაქეთა ცხოვრების პირობებისა.

ყველასათვის აშენარა არის, რომ რამდენათაც მალლა სდგას ადამიანი კულტურულათ, იმდენათ ბეჯითად იყვას ის ჰიგიენას. ასეთივე მოვლენას აქვს ადგილი ქალაქების ცხოვრებაში. რამდენათაც მოწინავე პოლიტიკის მატარებელია ქალაქი, — იმდენათ მეტ უზრადლებას უნდა. აქცევდეს ის ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც ხელს უწყობენ ჰიგიენა-სანიტარისა და ამ შემთხვევაში ხომ პირველი ადგილი კარგი ღირსების წყალს უჭირავს. თუ ქალაქს კარგი წყალი აქვს, — ის ერთგვარათ უზრუნველყოფილია სახალისა და ხოლორისაგან. თუ წყალი პირდაპირ მოთხოვნილების დაკმაყოფილების გარდა ბლობად ჩერება, — ის დიდ სიმღიდღეს წარმოადგენს ქალაქის მეურნეობისათვის. მისი ზედმეტი ძალის საშუალებით ქალაქი მოაწყობს ქუჩების კარგათ განათებას, გაწმენდას და თავის დროზე მორწყებას და იგრეთვე გაამშვენიერებს ქალაქს ბალებით და მცნარეულობით. გარდა ამისა ზედმეტ წყალის ძალას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე როგორც თვით მუნიციპალურ მეურნეობა-მრეწველობისათვის, აგრეთვე კერძო სამრეწველო დაწესებულებების ზრდა-განვითარების საქმეშიც...

საქართველოს დედა-ქალაქს დიდ ამპარტავნობათ არ უნდა ჩაუთვალოთ თუ ის, შესული პოლიტიკურათ სრულ განახლებულ ცხოვრების წიაღში, დამდგარი დიდ იმედების, დიდ პერსპექტივების გზაზე, მოითხოვს მომა-

ვალი წყალსადენისაგან ასეთი პირობების შექნას, და ჩვენ ლრმათ უნდა ვიყვეთ დარტშენებული, რომ დედა-ქალაქის წინამძღვრები, საქართველოს ქალაქთა კავშირის და დემოკრატიულ მთავრობის დამარებით, შეიძლებენ ამ დრიადი საშვილიშვილო საქმის ღირსეულათ შესრულებას.

კ. ფირცხალაიშვილი.

ქ რ მ ნ ი ბ ა ზ ა.

მთავრობაში:

სესხი ლეჩებუშის ერობისათვის მედიკამენტების მისაცემათ. მთავრობაში დაადგინა: გადაიდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში 67,324 მან. სესხათ 10 მილიონიან ფონდიდან ლეჩებუშის სამაზრო ერობისათვის მედიკამენტების მისაცემათ. ეს თანხა დაუბრუნდეს აღნიშნულ ფონდს, როგორც კი შანაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში გადაიდება სათანადო თანხა ეპიდემიასთან საბრძოლველათ.

შიჭათ-მოქმედების სამინისტროს კანცელარიამ შემდეგი მოწერილობა გაუფრავნა ერობათა კავშირის კომიტეტის: „მიწათ-მოქმედების სამინისტრომ სხვა-და-სხვა ერობებს სათესლე მასალის შესაძენათ მისურა საჭირო თანხა. როგორც ირკევეა, ერობები ამ ფულს სხვა საჭიროებზე ხარჯავენ. გატყობინებოთ რა ამას სამინისტროს კანცელარია, მინისტრის დავალებით, გოხოვთ მოახდინოთ შესაფერი განკარგულება, რომ სათესლე მასალის შესაძენათ მიცემული ფული ერობებში სხვა საჭიროებისათვის არ დაბარჯონ, წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი სასამართლოში იქნებიან მიცემულნი“.

დაგვარულების დროში.

დეკრეტი ლანჩეცუთის ქალაქის თვითმმართველობისა და სენაკის სამაზრო ერობისათვის 1.000.000 მან. სესხის მიცემისა მდინარე რიონის ნაპირების გასამართლოში იქნებან მიცემულნი.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებაში ხუთასი ათასი (500.000) მანეთი ლანჩეცუთის ქალაქის თვითმმართველისათვის და ხუთასი ათასი (500.000) მანეთი სენაკის სამაზრო ერობისათვის უპროცესტო სამელიორაციო სესხად მდინარე რიონის ნაპირების გამაგრებისათვის.

2. პირველი (1) მუხლში აღნიშნული თანხა უნდა იენაზღაუროს სახელმწიფოს ხაზინას ლანჩეცუთის ქალაქის თვითმმართველისა და სენაკის სამაზრო ერობის მიერ სუთი წლის გამაგრების დღიდან ფულის მიღებისა.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამუქენებელი კრების მიერ.

კალაქთა თვითმმართველობები.

ქალაქთა კავშირში.

ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის სხდომა.

25 იანვარს შესდგა ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის პირველი სხდომა. ქალაქთა კავშირის მოლვაწეობის გაფართოების და დაგროვილ ურიცხვ საკითხთა გამო, სხდომამ მიიღო სესხის ხასიათი. სხდომაზე გასარჩევ საკითხებს, რომლებიც დაბეჭდილია ჩვენი უცრნალის მესამე ნომერში, კომიტეტის ზოგიერთ წევრების წინადაგებით მოემატა შემდეგი საკითხები: 1. საკუთრომობილო საქმე და 2. სანატორიის ორგანიზაცია მუნიციპალურ მოლვაწეთათვის.

პირველი სხდომა გახსნა მთავარ კომიტეტის თავმჯდომარებ ნ. ზ. ელიაგაშ ინფორმაციულ ხასიათის მოკლე მოხსენებით ქალაქთა კავშირის მოლვაწეობის შესახებ უკანასკნელ ხანებში. მომხსენებელმა აღნიშნა ქალაქთა კავშირის მიერ მიღწეული შეთანხმება, რომელიც მოხდა ერობათა კავშირთან და კოოპერატივთა ცენტრალურ ბიუროსთან იმ საჭიროამ საკითხის გამო, როგორიც არის სასურსაოო საკითხი. აღმასრულებელ ბიუროს თვალსაზრისის გაშუქების დროს შესახებ საქალაქო მეურნეობის დარღვევი ქალაქთა მოლვაწეობისა; მომხსენებელმა სხვათა-შორის აღნიშნა, რომ მთავარ კომიტეტის პრეზიდიუმის მეცალინეობით ამიერ კავკასიის ერთერთ ბანქის მიერ გახსნილ იქნა ქალაქებისათვის მოკლევადიანი კრედიტი და იტალია-კავკასიის ბანკისაგან კი ამაზედევ მიღებული იქნა პრინციპიალური თანხმობა. დაბოლოს მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქთა კავშირი უკვე დაადგა, ადგილობრივ, ქალაქთა თვითმმართველობებთან ერთად წარმოების ორგანიზაციის გზას.

სხდომაზე გასარჩევ საკითხებზე გადასცლამდე მთავარ კომიტეტის თავმჯდომარის ნ. ზ. ელიაგას მიერ მოხსენებულ იქნა აღმასრულებელ ბიუროს და ერობათა კავშირის პრეზიდიუმის თათბირის შესახებ, აგრეთვე ის მიზნები, რამაც გამოიწვია ეს თათბირი და სურვილი განაცხადა, რათა დღის წესრიგში შეტანილ იქნეს კიდევ ერთი საკითხი: ქალაქთა და ერობათა კავშირების ურთიერთობა.

მთავარ კომიტეტის თავმჯდომარებ აღნიშნა, რომ აღმასრულებელი ბიუროს თვალსაზრისით ორივე ცენტრების შეერთება შეიძლება მოხდეს მხოლოდ განსაზღვრულ მიზნების განსახორციელებლად.

მთავარ კომ. წევრმა ვ. ნ. შარაშენიძემ სურვილი გამოსთქვა ორივე ცენტრების მთლიან შეერთების შესახებ, ვინაიდან, მისი აზრით, ამას მოითხოვს დღევანდელი მდგრამარეობა.

მთავ. კომ. წევრმა ბ. გ. ჩხიკვიშვილმა სამართლიანად სცნო აღმას-რულებელ ბიურის თვალსაზრისი და აღნიშნა, რომ საკითხი არა სახელ-წოდებაშია, არამედ მუშაობის არსებაში: სოფელი — ქალაქი არ არის, ამი-სათვის ჩვენ უნდა მიესდიოთ ძველ ჭეშმარიტ ლოზუნგს: „ქრიზ ითუ ვმწერ ნორა“.

ამ საერთო საკითხის გამო კამათის დასრულების შემდეგ, უურნალ „ერობა და ქალაქი“-ს სარედაქციო კოლეგიის წევრმა ა. ს. ბრიტნევაშ მოახსენა კრებას მოკლე ინფორმაციული ხასიათის ცნობა ქალაქთა და ერობათა კავშირების მიერ შეერთებულ ორგანოს შექმნის შესახებ. მან. აგრეთვე წარუდგინა სხდომას უურნალის ხარჯთ-აღრიცხვა.

სხდომაშ დაადგინა: წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა და 8 დეკემბერში (1919 წ.) შემდგარ თათბირის ოქმი შეერთებულ ორგანოს გამოცე-მის შესახებ დამტკიცებულ იქნეს, ამასთანავე სხდომაშ სურვილი გამოს-თქვა, რომ 1) უურნალი ორგანიზულის მაგიტრ ყოველთვიური იყოს ხელის მოწერის იმავ პირობით, ცალკე ნიმური კი 50 მან. 2) რუსულ განყოფი-ლებაში მოისწნა ქრონიკა.

ამის შემდეგ სხდომაშ მოისმინა ქალ. კავ. საექიმო-სასანიტარო გან-ყოფილების გამგის ექ. კიკალიშვილის მოხსეხება, ქალაქთა და ერობათა ცენტრების საექიმო-სასანიტარო განყოფილების შეერთების შესახებ.

მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ზ. ელიაგაშ გააშუქა საექიმო-სასანიტარო საქმის დლევანდელი მდგომარეობა, შეერთების საკითხის შესა-ხებ. მამ აღნიშნა, რომ თუკე შეერთება მოხდება, იმ შემოხვევაში ქალ. კავშირის სააფთიაქო საწყობი უნდა საერთო გახდეს; რაიც ქალ. კავშირი-სათვის საზარალო იქნებათ.

საექიმო-სასანიტარო განყოფილების შეერთების საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია. ბევრი კომ. წევრი მომხრე იყო ამ შეერთებისა მხო-ლოდ იმ პირობით კა, რომ ერობათა კავშირმა შეიტანოს შეერთებულ ფონ-დში იმოდენივე ქონება, რამდენაც შეიტანს ქალაქთა კავშირი.

სხდომაშ დაადგინა: 1. მოწონებულ და სასურველად ცნობილ იქნეს ერობათა და ქალაქთა კავშირების შეერთება იმ პირობით თუ ერობათა კავშირი შეიტანს შეერთებულ ფონდში იმოდენივე ქონებას, რამდენსაც შეიტანს ქალაქთა კავშირი, 2) მიენდოს აღმასრულებელ ბიურის საკითხი უფრო დამუშაოს და წარადგინოს განსახილველად ქალაქთა წარმომადგე-ნელების ყრილობაზე, 3) მოსმენილი საექიმო-სასანიტარო განყოფილების გამგის ექ. კიკალიშვილის მოხსენება საერთოდ მოწონებულ იქნეს.

შემდეგი სხდომა შესდგა 27 იანვარს მთ. კომიტ. წევრმა არ. ჯაჭა-ნაშვილმა მოიყვანა მოკლე ისტორია მუნიციპალურ ბანკის შესახებ და მოახსენა სხდომას როგორ არის ამსანად დაყენებული ეს საკითხი საერ-თოდ და როგორ უცქერის მას ერობათა ცენტრი.

მთავარ კომიტეტის თავმ. ნ. ზ. ელიაგაშ არ. რ. ჯაჭანაშვილის მოხსე-

იყო პროექტის მოწყობის ერთი საზოგადოებრივი, კომუნალურ-კომერციული ბანკი, მაგრამ ეს უპროფილ იქმნა, ვინაიდან კომპერატივებს თავისი კაპიტალი არა აქვთ. მათ სთხოვეს მთავრობას სკესად ათი შილიონი მანეთი, თავიანთ ბანკის დასაარსებლათ.

დამტ. კრების წევრი დ. თოფურიძე მომხრეა მუნიციპალურ ბანკის ორგანიზაციის; ანიშნა, რომ მისი ორგანიზაცია კოოპერატივებთან ერთად შეუძლებელია. თუ-კი ეხლა ადგილობრივი თვითმმართველობანი და კოოპერატივები ერთად მიღიან, ახლო მომვალში დაშორდებიან ერთმანეთს. ბანკი უნდა მოეწყოს ერობებთან ერთად. ერობებს და ქალაქებს საერთო ბევრი აქვთ და ეს საერთო საქმე, ბანკი, უფრო შეაკავშირებს მათ. ჯერჯერობით ბანკი უნდა მოეწყონ ქალაქებმა. ამის შესახებ ბ-ნ ნ. ზ. ელიავას მცხ. წამოყენებული მოსასრებანი არ მოითხოვს დამატებას. ერობე-

ბი იქნებიან მერმე მოწვეულნი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი არ ისარგებლებენ კულტურულ ქალაქთა მიერ მოწყობილ ბანკიდან.

თავმჯდომარის ამხ. მ. ი. რუსიაშ აღნიშნა რომ, ერობები არ იქნებიან თანახმა ასეთ პირობებზე. ერობები თავისთვის ცალკე დაარსებენ ბანქს, ქალაქები კიდევ თავისთვის ცალკე; ამნაირად წარმოშობა ორი მეტოქე ბანკი. საკიროა რამენაირად შევთანხმდეთ.

კამათის შეწყვეტის შემდეგ შემოტანილი იქნა ორი წინადადება: 1) საჭირო იქნეს ცნობილი, მუნიციპალური ბანკის ორგანიზაციის დაწყება. 2) საჭიროა შევთანხმდეთ ფინანსთა სამინისტროსთან და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რათა ბანკის გახსნის ინიციატივა ქალაქთა კავშირს მიენიჭოს. ორივე წინადადება მიღებულ იქნა.

შემდეგი სხდომა შესდგა 28 იანვარს. სხდომის გახსნისთანავე ტყის განყოფილების გამგის ვ. ი. არდიშვილის მიერ გაკეთებულ იქნა მოხსენება ქალ. კავ. ტყის განყოფილების მოღვაწეობის შესახებ. ეს მოღვაწეობა გამოიხატება მიწათ-მიემებელ. სამინისტროს მიერ დამზადებულ ტყის შემთხვევაში და მისი განაწილება ქალაქთა და რესპუბლიკის დაწესებულებათა შორის. შემდეგ უნდა აღინიშნოს, რომ განყოფილება ამჟამად შეუდგა საშენ მასალის დამზადებას ნუნის აგარაქში. მიმდინარე წელში განყოფილება უფრო გააფართოვებს. თავის მოღვაწეობას. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ განყოფილების მიერ დამზადებული შეშა ვერაა კარგი ხარისხის. მთელი რაიონი კარგი ხარისხის შეშისა კონცესიის ხელშია. განყოფილების აზრით ის შეშა, რომელიც დამზადებულია განყოფილების და ამხანგობა „ტყის კონცესიის“ მიერ, აკმაყოფილებს მოთხოვნილების $30\%/-$. შეშის ფასის მომატება დამოკიდებულია ხელფასის მომატებაზე; განყოფილებას არ შეუძლიან მტკიცე ფასები დაადოს შეშას; ყოველშემთხვევაში ჩვენგან დამზადებულ შეშის ფასი ბაზრის ფასზე უფრო დაბალია.

ამის შემდეგ მოსმენილ იქნა მთავარ კომიტეტის თავმ. ნ. ჰ. ელიაგას მოხსენება სასურათო საქმის საერთო ორგანოს საკითხის შესახებ. ეს საკითხი აღიძრა ცენტრალურ სასურათო საქმის ქონების საკითხთან ერთად, ამჟამად ეს ქონება გადაეცა ერობათა კავშირს, თუმცა, თანამად აღმასრულებელ ბიუროს და ერობათა კავშირის პრეზიდიუმის თათბირის დადგენილებისა, სასურათო საბჭოს ქონება ასე არ უნდა მოეხმარათ. მიუხედავათ ამისა მოხდა შეთანხმება ერობებთან და კოოპერატივებთან განსაკუთრებულ სასურათო ორგანოს მოწყობის შესახებ. ორგანო მოწვეულია და მუშაობს მომარაგების სამინისტროსთან. ორგანოში შედიან ორ-ორი წარმომადგენელები ქალაქთა კავშირისა, ერობათა კავშირისა და კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირისა.

ამის შემდეგ კომიტეტის წევრმა ნ. ი. ფალილევგმა გააცნო სხდომას ებლანდელი მდგომარეობა საქონლის ყიდვითი ოპერაციების შეჩერების შესახებ და დაწვრილებით გამოხატა მიზეზები, რომლებმაც ეს გამოიწვია.

29 იანვარს სხდომაზე მოსმენილ იქნა უფროს ინტ. ა. ვ. ბულგაკოვის მოხსენება სატეხნიკო ქონების ხელახლათ შეფასების შესახებ.

შემდეგი სხდომა მოხდა 30 იანვარს. სხდომის გახსნისთანავე მთავარ-კომიტეტის თავმ. ნ. ჭ. ელიავამ მოაგონა სხდომას, რომ ამ სხდომაზე განხილველია ორი საკითხი და ამ სიკითხის შესახებ გამოტანილი უნდა იქნეს ჩვენი გადაწყვეტილება. ეს არის: საკითხი ერობებთან ერთად საერთო სასურსათო ორგანოს მოწყობის შესახებ და ურთიერთობა მომარავების სამინისტროსა და საზოგადოებრივი დაწესებულებათა შორის. როგორც სჩენს, ერობებმა სრულებით დაანებეს თავი იმ აზრს, რომ ჩვენთან ერთად მოაწყონ საერთო სასურსათო ორგანო. მაგრამ ეს სრულებითაც არ სცვლის მდგომარეობას. დადგენილებას, რომელიც გამოტანილ იქნა აღმასრულებელ ბიუროს და ერობათა კავშირის პრეზიდიუმის 8 დეკემბრის (1919 წ.) თაბირზე, ჩვენთვის არ დაუკარგია ძალა. ცენტრალურ სასურსათო საბჭოს ქონება სახელმწიფოს ქონებაა: მაშასადამე, მასზე თანასწორი უფლება აქვთ როგორც ერობებს, ისე ქალაქებსაც. ქალაქთა კავშირს შეუძლიან მოითხოვოს თავისი წილი. და თუ რამე მიზეზის გამო მთავრობა უარს იტყვის, იმ შემთხვევაში უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის დამფუძნებელ კრებას. რასაკირველია, მთავარ კომიტეტს შეუძლიან უარი განაცხადოს მასზე, მაგრამ ამ შემთხვევაში საკითხი უნდა დაისეს გასარჩევათ ყრილობაზე.

კამათის შეწყვეტის შემდეგ ამ საკითხის შესახებ სხდომაშ დაადგინა: მოწონაბული იქნეს აღმასრულებელ ბიუროს და ერობათა კავშირის პრეზიდიუმის 1919 წ. 8 დეკემბრის თაბირის დადგენილება, დაევალოს აღმასრულებელ ბიუროს მოახდინოს მოლაპარაკება ერობათა ცენტრობათ ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლათ, და თუ ერობათა კავშირი ამაზე უარს განაცხადებს, ეთხოვოს მთავრობას, რათა მიეცეს იმავე მიზნით ქალაქთა კავშირს ცენტრალურ სასურსათო საბჭოს ქონების ნაწილი.

ამავე სხდომაზე დადასტურებულ იქნა აღმასრულებელ ბიუროს დადგინდება, რომ თბილისის და პროვინციის სახალხო უნივერსიტეტების სასარგებლოდ გადაიხადოს 25.000 მან. განაწილება ამ თანხისა მიენდო აღმასრულებელ ბიურის. უურნალ „თეატრი და ცხოვრებას“ მიეცა დაშმარებულ იქნა.

31 იანვრის სხდომაზე განახილულ იქნა 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც მიმდინარე წლის მაისში აღმას. ბიუროს გარდაცეცა სისრულეში მოსაცვანად. ყველა ხარჯთ-აღრიცხვანი კომიტეტის მიერ დამტკიცულ იქნა.

შემდეგი და უკანასკნელი სხდომა მოხდა 1 თებერვალს. სხდომის განსისთანავე განხილულ იქნა საერთო განყოფილების ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც სხდომაშ დაამტკიცა. აგრეთვე წარმოდგენილ იქნა საანგარიშო, საკონტროლო, სამეურნეო, სატეხნიკო განყოფილებების ხარჯთ-აღრიცხვანი რომლებიც კომიტეტმა დაამტკიცა.

სეკონდი შესახებ მუნიციპალურ მოღვაწეთათვის სანატორიის მოწყობისას, გადაეცა აღმასრულებელ ბიუროს შესამუშაობლარ.

ამის შემდეგ სხდომაშ მსჯელობა იქნია უურნალ-ერობა და ქალა-ქის „შესახებ.

31 იანვრის თარიღით ერობათ კავშირმა უურნალ „ერობა და ქალაქის“ რედაქციას გამოუყზანა შემდეგი შენაარსის ჭაოლით № 75.

„ამით გაცნობებთ, რომ კამიტეტის წევრების და ერობათა წარმომადგენელების თაობირის დაღვნილებით 26—28 იანვარი გადაწყვეტილია დამოუკიდებელი საერობო უურნალის გამოცემა „ერობა“-ის სახელით. ამიერიდან ჩევნი მონაწილეობა „ერობა და ქალაქი“-ს გამოცემში სწყობება. გთხოვთ გამოგვიგზავნოთ ანგარიში დღევანდლაშით გაწილო ხარჯებისა.“

ხელს აწერს: თავმჯდომარის მოადგილე მ. ცეკვაშვილი.

კომიტეტის მდივანი დ. სულიაშვილი“.

კომიტეტის წევ. გ. ე. მურვანიძის აზრით უურნალის გამოცემა არ უწდი შეცვერხდეს, უურნალი ყოველთვიური უნდა ივნოს.

დაბეგნილ ქმნა: უკრალის გამოცემა არ შეჩერდეს და ეწოდოს მას სახელად „ჩინი ქალაქი“.

ქუთაისის წყალსადენი.

— ქუთაისის შეყალბადენის შესახებ ა. წ. 14 თებერვალს ქალაქთა კავ-
შირზი შესდგა თათბირი. თათბირს დაესწრონ: დამტკიცებელი კრების წევ-
რი დ. ა. თოფურიძე, ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის წევრები, სე-
ნატრიორი დ. ი. კალანდარიშვილი, თბილისის ქალ. თავი ბ. გ. ჩხილევიშვილი,
ქუთაისის ქალ. თავისი ამხ. ს. ი. რობაქიძე, ქუთაისის ქალ. საბჭოს ხმოს-
ნები კილაძე და თურქია, ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორი ს.
ჯორგანაძე, მ. ლალიძე, ინერცები: მ. გ. ყაზბეკიშვილი, ა. ვ. ბულგაკოვი,
ს. გ. ქურდანი და ი. ა. მოსკოვევესკი.

თათბირის გახსნისთანავე ქუთაისის ქალ. თავისი—მხანაგმა ს. ი. რობაკეიძემ მოქლეთ გააცნო თათბირს მიზანი ამ შეკრებისა და საკითხის ისტორია. შემდეგ სიტყვა მიეცა ინჯენირ მ. გ. ყაუჟჩიშვილის, რომელიც სასწავლო გარეთ იყო და გაიცნო წყალსაღენის საკითხი ყოველმხრივ. მომხსენებელმა ოღაშვილმა, რომ გერმანიაში საქართვისად მოიპოვება მასალა წყალსაღენის გაყვანისათვის. სხვა-და-სხვა ფირმები თანახმა არიან აიღონ წყალსაღენის საქმე, მათ შორის ფირმა „ტრიტონ“—მა ხელშეკრულების პროექტიც კი შეიმტავა. ეს იყო 1918 წ., მაგრამ 1919 წ. მდგრამარეობა გამოიცალა გერმანიაში. ფირმებს დღეს უმჯობესად მიაჩნიათ გაყიდონ მასალა ნაღდ ფულზე, თუმცა ფირმა „ტრიტონი“ თანახმა მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ თავის მონაწილეობას საზოგრაფის 30%-ით. საქონოდ უნდა აღინიშ-

ნოს, რომ ეკროპაში პურის. შიძმშილთან ერთად შევი მეტალის უქონლობაც ძლიერ საგრძნობელია, რაც გვაიძულებს მაღე ვიყიდოთ მილები და სხვა მასალა.

ნორვეგიის ერთ-ერთი ბანკი, რომლის დირექტორი ხრისტიონს ენდენი საქართველოში იყო ამ ბოლო ხანებში, იღებდა. თავის თავზე ამ წყალსა-დენის მოყვაბას საკონკურსით. პირობით.

မြတ်ဆက် ကျမိုင်ပြောရှိစ် တာဒီဇိုင်းဝေမှာရ် ၆. ၇. ဤလောက်သူ နိုင်အလာအဖွဲ့တဲ့ ၈. ၈. အုပ္ပန္တရေးဝန်က ဘဏ်ပြုနိုင် တာတစ်ခုရဲ့ နှုန်းလုပ်စာအဖွဲ့တဲ့ ၃၄။

პროექტის ძალით, წყლის გაყვანა განზრახულია 27 კერსის მანძილზე ქუთაისიდან ცივი-წყლამდე, რომელიც მდებარეობს ქუთაისის სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. წყალი მეტად კარგ ხარისხისაა, ტემპერატურა უდრის ცილსის 4°.

წყაროების ადგილ-მდებარეობა კარგია. წყალი თვით წამდინარება. მიღების. ჩასწყობი გრუნტი დამაკმაყოფი უკერავია. რაოდენობა წყლისა, რომელიც ქალაქს მოუცემა დღე-ლამის განმავლობაში დაახლოებით 600.000 კვდრას აღწევს, ე. ი. თითო სულზე 6 კვდრა; ამაშივე ნაანგარიშებია ბალების მორჩყვა. ზედმეტი წყლით შეუძლიან ისარგებლონ მცხოვრებლებმა რომელიც წყალსადენის გზაზე ცხოვრებენ, მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელები წყლით მეტად ლარაბნი არინ. წყალსადენი, ანგარაშით, ქალაქს ეყიფა 25 წელიწადი რასაკირველია აქ მიღებულია მხედველობაში მცხოვრებთა რიცხვის ზღვა. 25 წლის შემდეგ თითო კაცზე მოვა 3 კვდრა წყალი, რაიც საქართვისი იქნება. ცნობებიდან, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება, ვიცით, რომ სარატოვში თითო კაცზე მოდის 2 კვდრა წყალი, ამდენივე მოდის ქალ. ეკატერინინსლავში, თბილიში კი თითო კაცზე მოდის 2,9 კვდრა წყალი.

წყალსაღები დაუჯდება 100.000.000 მანეთი. თითო ვედრა წყალი ქალაქს დაუჯდება 40,2 კაპ. თუ კი სხვა-და-სხვა მოულოდნელ სარჯების დაფარვას მივიღებთ შეცდელობაში.

შთავარ კომიტეტის წყვრმა დ. ი. კალანჩარიშვილმა აღნიშნა, რომ ქუთაისის წყალსადენის საკითხი არაა ახალი. ის რამდენიმეჯერ აღძრულა. აღიძრა ის აგრძელვე 1918 წ. და ქალ. თვითმმართველობის წინ იდგა საკითხი — იქნეს, თუ არა, მოწყობილი წყალს მცხოვრებნი იქნენდნ ბოჩკებით. 1914 წელში ქალაქში იყო სულ 60 ბოჩკა; თითო მათ-განში ჩაღილა 10 ვედრა წყალი. თითო ბოჩკა დღეში აწოდებდა მცხოვ-რებთ 100 ვედრას. 1917 წლის ნოემბერში 60 ბოჩკიდან დარჩა 30 და 1918 წლის განახულში კი შეოლოდ 12. საავათმყოფოებს არ ჰქონდათ წყალი, ამის გამოისმობით აღმრაციები ჩერდებოდა რამდენიმე დღეობით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საავათმყოფო ყოველდღიურად წყალზე ხარჯდა 120—200 მანეტს. ამის გამო ჩერენ გავიყვანეთ წყალსადენის პატარა შტო რკინის გზის წყლის საჭიროებან.

წყალსაღენის პროექტი, როგორც იცით, ჩემი გვერბობა. განზრახული

იყო ამ საქმისათვის სესხი აგველო მთავრობისაგან. 1918 წ. ფასებით წყალსადენი დაჯდებოდა 8—10 მილიონი მანეთი. ქალაქის თვითმმართველობას განზრახული ჰქონდა 5 მილიონი ესესხა მთავრობისაგან, დანარჩენი კი ქალ. ქუთაისში მოეგროვებინა. სესხიდან არაფერი გამოვიდა. პროექტი წარდგენილ იქმნა შინაგან საქმეთა სამინისტროში, რომელმაც ის მოიწონა. მთავრობის თავმჯდომარებრივი უარი გაგვიცხადა სესხზე. 1918 წლის შემოღომაზე წყალსადენის საკითხი ჩაკვდა. შემდეგ ჩვენ მივიღეთ ცნობა უკანაზე გაგზავნილ ქალ. კავშირის ინჟ. ი. ა. მოსკალევსკისაგან, რომ იქ იშოვება წყალსადენისათვის საჭირო მასალა და შეიძლება შექნა საქონლის გაცვლით. საბჭომ განიხილა ინჟ. მოსკალევსკის მოხსენება და დაადგინა სასწრაფოდ იქნეს მიღებული ზომები, მაგრამ მთავრობამ აქაც ვერ შეგვიწყო ხელი. ამ ხანგბშივე მოხდა უკანაზე გადატრიალება.

ამის შემდეგ ალიძრა კიდევ სხვა-და-სხვა სახით საკითხები, მაგრამ არცეთი სასურველად არ დასრულდა.

ამხანად ეს საკითხი კიდევ ალიძრა და საჭიროა, რომ ეხლავე გადაწყდეს—გადილო წყალსადენის საკითხი რამოდენიმე ათეული წლებით, თუ ეხლავე განხორციელდეს.

მთავარ კომიტეტის თავმჯდომარის ნ. ზ. ელიაგას შეკითხვაზე, როდის შეიძლება წყალსადენისათვის აუცილებელ მასალის მიღება, ინჟ. კაუჭხიშვილმა აღნიშნა, რომ მიღები და საჭირო მასალის მიღება შეიძლება 4—6 თვის განმავლობაში, ან იქნება 8—10 თვეშიაც; მუშაობის დამთავრება შეიძლება, დიდი ენერგიის დახარჯვით, წელიწად ნახევარში, და თუ კი რამე შეუშლის ხელს მუშაობას, მაშინ დასჭირდება 20 თვე.

ქუთაისის ქალაქის მოურავის ამხანაგმა ს. ი. რობაჭიძემ აღნიშნა, რომ ელია საუკეთესო დროა ამ საქმის განსახორციელებლად. თუ კი ფირმა „ტრიტონი“ ან რომელიმე სხვა ფირმა მოგვცემს 45% , იმ შემთხვევაში 55% -ს იშოვის ქალაქის თვითმმართველობა ქალაქთა კავშირის დაბარებით. ოლონდ მიღები ფოთში მოვიდეს და ამ შემთხვევაში თვითმუშაორები მიიღება ყოველსავე ზომებს.

ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის თავმჯდომარებ ნ. ზ. ელიაგაში აღნიშნა, რომ ინვენტარის მიღებისათვის საჭიროა ფული. მასალა საზღვარის გარეთ მოიპოვება. სამხრეთ-ჩუქუპითი ჩვენთვის არა საიმედოა. ყველა მასალები რომ შევიძინოთ, ქალაქის თვითმმართველობას ამისი შეძლება არა აქვს. ამისთვის საჭიროა გიფიქროთ ისეთ პრინციპებზე, რომლის საშუალებითაც შეიძლება ამის განხორციელება. გერმანიაში რომ შევიძინოთ მასალა საჭიროა ფული. უნდა დაარსდეს საზოგადოება, მაგრამ არა წმინდა ქართული. ადგილობრივი ბაზარი ფულს არ მოგვცემს: ამ საქმეში მონაცილეობას არ მოისურებს. არც დიდი კაპიტალისტები არც მცირე მესაკუთრენი, იმედი მთავრობაზე მეტად ცოტა, ვინაიდან რესპუბლიკა ფინანსიური მხრით გაჭირებაშია. მაშასადამე ჩჩება მხოლოდ საზღვარ-გა-

რეთის ბაზარი. რასაკვირველია, სავალიუტო საქონლის გაზიდვის ნებართვის მიღება შეიძლება, მაგრამ გადაწყვეტს ეს საკითხს? რაც შეეხება საზღვარ-გარეთის ბაზარს, მასაც აქვს თავისებურობა.

გერმანის საერთაშორისო მდგრმარეობა ამხანად ისეთია, რომ ჩვენ უნდა მიეკუთხოთ ყურადღება ინგლისურ ბაზარს. ერთად-ერთი საშუალება ფულის შონისა აჩის სესხი. და თუ კი ეს არ მოხერხდა, იმ შემთხვევაში შეიძლება დავთანხმდეთ ნორვეგის კონცესიონერის წინადადებაზე. ქალაქის თვეთმმართველობას ყოველთვის ექნება შეძლება გამოისყიდოს წყალსადენი.

კამათში მონაწილეობა მიიღო დამტურებელი კრების წევრმა დ. ა. თოფურიძემ, ინჟ. ზ. გ. ქურდიანმა ა. ვ. პულგაკივმა, ი. ა. მოსკალევსკიმ და მ. გ. ყაფხჩიშვილმა. კამათის შეწყვეტის შემდეგ ქალ. კაცუარის მთავარ კომიტეტის თავმჯდომარებმ ნ. ზ. ელიავამ აღნიშნა, რომ როგორც სჩანს ყველანი მომხრენი არიან, რომ წინადაწინვე მივმართოთ სხვა-და-სხვა წყაროებს ამ საკითხის სასურველად გადაწყვეტისთვის. პროექტი ინჟ. ზ. გ. ქურდიანისა წყალსადენის შესახებ ჩვენ მხრითაც მოწონებულია. წყალსადენის საკითხი უნდა დაისვას ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რომელსაც შეუძლია ამ საქმისათვის მოგვცეს სესხათ საგრძნობი თანხა ან არა და მოგვცეს შესაძლებლობა საზღვარ-გარეთ გავიტანოთ სავალიუტო საქონელი.

დადგენილ იქნა: მიერდოთ მთავარ კომიტეტის თავმჯდომარეს ნ. ზ. ელიავას, მთავარ კომიტეტის წევრს დ. ი. კალანდარიშვილს და ქუთაისის ქალაქის მოურავის ამხანაგს ს. ი. რობაქიძეს აცნობონ გამოთქმული მოსაზრებაზი ფინანსთა სამინისტროს და მთავრობის თავმჯდომარეს.

დიდი მიწის მერა ვორში.

საქართველოს ნორჩ რესპუბლიკას დიდი ეროვნული უბედურება დაატყვება, დაუნდობებელმა ბუნების ბრმა სტეპიონმა ა. /ჭ. 19—20. თებერვალს სრულებით გაანადგურა ქართლის ძველი ქალაქი გორი და დიდი ნაწილი გორის მაზრისა.

მიწის ძვრის რაონი მეტად დიდი იყო, მხოლოდ ის რაიონები, რომლებიც განსაკუთრებით დაზარალებულია უდირის 1.200 კვ. ვერსს.

ქალაქ გორში ითვლებოდა 35.000 მცხოვრები. შენობები სულ ერთიანად დანგრეულია. გადარჩა რამოდენიმე შენობა, მაგრამ მათი კედლებიც ისეა დახეოჭილი, რომ შიგ ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია.

დღემდის შეკრებილ ცნობებით დაზარალებულია 50 სოფელი. ამათში, ოცდაოთში სახლები სულ დანგრეულია, დანარჩენ ოც სოფელში დარჩა დაუნგრეველი 50% სახლებისა.

სოფლებში დაზარალებულთა რიცხვი 8.000 კომლიამდეა; რაც შეადგენს 40.000 სულს. ქალაქ გორთან ერთად დაზარალებულთა რიცხვი უდრის 75.000 სულს.

დღემდის ამოღებულია ნანგრევებიდან 200 მკვდარი. დაახლოვებით ამდენივეა მძიმედ დაშავებული.

დიდი მიწის ძერის ცნობა ელვის სისწავით შეეღო მთელს საქართველოს. ცნობების მიღებისათანავე 20 თებერვალს მთავრობის სხდომაზე დაარსდა „მთავარი საგანგებო კომიტეტი მიწის ძერისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად“, კომიტეტის წევრებთ არჩეულ იქნენ იუსტიციის მინისტრი რ. მ. არსენიძე (თავმჯდომარე), შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიონანიტარო განყოფილების უფროოსი ს. ჯაფარიძე და სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი ან. სალუქევაძე. შესდგა კომიტეტი ქალაქთა და ერობათა კავშირების და წითელი ჯვრის წარმომადგენელებისაგან. ამ კომიტეტს დაევალა უმაღლესი ხელმძღვანელობა მიწის ძერისაგან დაზარალებულთა დახმარების საქმეში, ხოლო ყველა უწყებებს და ადგილობრივ თვითმმართველობათ — კომიტეტისთვის ყოველგვარ დახმარების აღმოჩენა და ყოველივე მისი განკარგულების შესრულება.

დაარსდა აგრეთვე რესპუბლიკის ცენტრალური ბიურო დამფუ. კრების წევ. ივ. გომართლის თავმჯდომარეობით; ბიურო ხელმძღვანელობს გორუში მიწის ძერისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ ფულითა და ნივთებით შემოწირულების საქმეს მთელ რესპუბლიკაში.

რესპუბლიკის ყველა ქალაქებში და ერობებში შემოწირულებათა შესაგროვებლათ ასაღება ადგილობრივი კომისიები, რომლებსაც ხელმძღვანელობას უწევს ცენტრალური ბიურო.

ამ უბედურების გამო დამფუძნებელ კრების შეიქ მიღებულ იქმნა შემდეგი დეკრეტი:

1. გალებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მთავრობის განკარგულებაში 20.000.000 მან. საქართველოში მიწის ძერისაგან დაზარალებულთა თვის პირველ დახმარების აღმოსაჩენად.

2. გაეწიოს დაზარალებულთ ყოველგვარი დახმარება — სახელმწიფოს საწყობებიდან საკვებისა, ტანთსაცმელისა, წამლისა, სააღმიშენებლო მასალისა და სხვა საგნების უფასოდ მიცემით.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

მიწის ძერის გამო დაზარალებულთა დახმარების აღმოჩენა და შემოწირულების გალება ქალაქთა და ერობათა თვითმმართველობების მიერ:

ჭალაქთა კავშირის მთავარმა კომიტეტმა გაიგო რა, ეს ამბავი დაუ-

ყოვნებლივ გამოიწვია პირდაპირის მაფთულით გამგეობის წევრი, რომელმაც შეძლები აუწყა*: ქალაქი დიდათ დაზარალდა. თითქმის ყველა შენობები დაინგრა, ქალაქის გამგეობისა და სადგურის შენობები კი გადარჩა. ხალხი სულ მთლად ქუჩაშია გამოფენილი. ზარალი მეტად დიდია. არის მრავალი დაჭრილი და დახოცილი. ზარალისა და დაჭრილ-დახოცილთა რაოდენობა ჯერ გამორკეული არაა. თხოულობენ დახმარების“.

ამის გამო ქალაქთა კავშირმა პირველივე მატარებლით გაგზავნა გორში ინჟენერი და ტეხნიკურები. მათ თან გაჰყავა მთავარ კომიტეტის აღმასრულებელი ბიუროს წევრი.

მეორე დღეს წავიდნენ აგრეთვე ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ჟ. ელიავა, თავმ. ამხ. შ. ი. რუსია და ინგ. ა. ვ. ბულავავოი. გაიგზავნა მრავალი ტეხნიკური იარაღები მუშაობის წარმონაბის საჭიროებისათვის. გაიგზავნა აგრეთვე რამდენიმე ვაგონი შეშა.

ქალაქთა კავშირმა, გორის უბედურების მოხდენისთანავე, დეპეშით აცნობა რესპუბლიკის ქალაქებს, რომ საჭიროა ადგილობრივი კომიტეტების შედგენა შემოწირულებათა და დახმარების ფართოდ მოსაწყობად. ქალაქებიდან მეორე დღეს მოვიდა ცნობები, რომ ყველგან შესდგა კომიტეტის, რომლებიც შეუდგენს შემოწირულებათა შეგროვებას. თანახმად შემოწირულებათა მთავარი ბიუროს დადგენილებისა, ქალექთა კავშირმა ყველა ქალაქს დაუგზავნა დამტკიცებული ფორმის საკითხანციო წიგნაკები ფულისა და ნივთების შესაგროვებლად. წიგნაკები, მოთხოვნილებისამებრ დაეგზავნა: ქუთაისის გამგეობას (26 ფ.+10 ნივთ.), სიღნაღის გამგეობას (16+5), ფოთის—(16+5), ხონის—(10+3), ონის—(5+2), ბორჯომის—(10+3), სოხუმის—(16+5), ღუშეთის—(10+3), ზესტაფიონის—(10+3), ზუგდიდის—(10+3), კოჯორის—(5+2), ახალქალაქის—(5+2), ახალციხის (5+2), ლანჩხუთის—(6+2). გარდა ამისა თბილისში მიიღეს წიგნაკები სამტკრედიისათვის (20 ც.), ოჩემჩირიისათვის (15 ც.), თელავისათვის (20 ც.), გუდაუთისათვის 15.

ერთაო კავშირში. ამ ამბის გამო ერობათა კავშირის კომიტეტმა იქნია მსჯელობა და გადასწყვიტა გასცეს ჯერ-ჯერობით 3 მილ. მანეთის სხვა-და-სხვა საქონელი და სურსათი გორში მიწის ძერისაგან დაზარალებულთათვის. დადგენილება დაუყოვნებლივ იქნა შესრულებული.

ქალაქებში, ქალ. თბილისის საბჭოს დადგენილებით თბილისში დაარსდა ქალაქის ადგილობრივი კომისია.

თბილისის ქალაქის მოურავმა მოწოდებით მიმართა მცხოვრებთ, რათა აღმოუშინოა დახმარება დაზარალებულთ.

*) ეს ცნობა 20 თებერვალს დილით იქნა მიღებული; იმ დღესვე 3 საათზე შიწისძერა განმეორდა და მთელი ქალაქი დაინგრა.

თითქმის რესპუბლიკის ყველა ქალაქებში დაარსდა ასეთი ადგილობრივი კომისიები.

ქუთაისის ქალაქის საბჭომ საზოგადოებრივ ორგანიზაციების და დიდ-ხალხის თანადასწრებით სასწრაფო სხდომაზე დაადგინა უგულითა-დესი თანაგრძნობა გამოიცხადოს თავის უბედურ ძმებს, მიღლოს ყოველი ღონე ამ უბედურების შესამსუბუქებლად და ქართლის გულის მძიმე ჭრი-ლობებისაგან გასამრთოებლად დაარსდა დამშმარე კომიტეტი, რომელიც იმავე დღესვე შეუდგა საქმეს.

ქუთაისის ქალაქის საბჭომ დაზარალებულთა სასარგებლოთ გადასდონახევარი მიღლიონი მან.

ხონის ქალაქის საბჭო და ხმოსანთა კრება ღრმა მწუხარებას გამოს-თქვას იმ დიდი უბედურების გამო, რომელიც თავს დაატყდა ჩენს რეს-პუბლიკას მიწის ძვრის გამო. საბჭო და ხალხი აღუთქვას მთავრობას ყო-ველგარ დახმარებს ქართლის დედა ქალაქის გორის და მისი მიღდა-მოებში მდებრე სოფლების აღდგენაში. იმ უამაღ ქალაქის თვითმმართველო-ბამ, ვაჭარ-ხელოსნებმა და მცხოვრებლებმ გაიღეს 220.000 მან. ამის გარ-და აღუთქვეს სურსათით დაბტრება. შესდგა ქალაქის დამშმარე კომი-ტეტი, რომელიც კვლავ იზრუნებს დაზარალებულთა დახმარებაზე.

ლანჩხუთის ქალაქის საბჭოს კომისიამ გადასწყვიტა გაუგზავნოს და-ზარალებულთ სურსათი ერთი მიღლიონ მანეთისა.

სოხუმის ქალაქის საბჭომ იქნანა რა მსჯელობა თავის არა ჩეცულებ-რივ 23 თებერვლის სხდომაზე გადასწყვიტა: ქალაქის ქონებიდან გადასდონ 1 მიღლიონი მანეთი. $\frac{1}{2}$ მიღლიონი საჩქაროთ ტელეგრაფით გადაეცეს მთავ-რობის თავმჯდომარეს.

მოწყო აგრეთვე სოხუმში, ადგილობრივი კომისია და ქალაქის კომიტე-ტი და გელოვანის თავმჯდომარეობათ შემოწირულების ორგანიზაციისათვის.

კომიტეტმა ითხოვა აცნობონ რაში უფრო გამოიხატება საჭიროება: ფულში სურსათში და სხვა რამეზი.

ერობებში: იბილისის სამაზრო ერობამ მიჰმართა ყველა თემებს მაზ-რაში მოწოდებით და სათანადო ინსტრუქციით გორსა და მის მიღამოებში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის დახმარების აღმომჩენა ორგანიზა-ციების მოსაწყობად.

დაახლოვებით შემუშავებულ იქმნა ასეთი სქემა: 1) თემის გამგეობასთან არსდება სათემო კომიტეტი; რომელშიაც შევლენ წარმომადგენლები თემის გამგეობიდან, კონკრეტულივებიდან, ერობის მოსამსახურეთა კავშირიდან და ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციებიდან. 2) იმავე დროს თითოეულ სოფელში არსდება მცირე კომისია, რომელშიაც შევლენ ადგილობრივი მცხოვრებ-ნი, თემის ხმოსნები და ინტელეგენციიდან. თუ ხმოსნები არ არიან, კომი-სიაში შესვლა ევალებათ სოფლის საპატიო პირთ. 3) სოფლის კომისიას ექნება კავშირი სათემო კომიტეტთან, ხოლო უკანასკნელს—სამაზრო ერო-

ბის გამგეობასთან. 4) დახმარება მიიღება ყოველწლიური სახის—ფულით, ხორბლებულობით, ტანთსაცმელით და სხვა.

თემებს ერობა დაუგზავნის შემოწირულებათა აღსანუსხავ დავთორებს და კვიტანციებს.

თბილისის სამაზრო ერობამ გადასდომ გორში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ 120.000 მანეთი.

თბილისის გარე უბნის სათემო ერობის გამგეობამ, მიწის ძვრის დაზარალებულთა სასარგებლოთ გადასდომ ათი ათასი მანეთი, გარდა ამისა, გამგეობამ აირჩია კომისია, რომელიც საჩქაროდ მოაწყობს თავის რაიონის ფარგლებში შემოწირულებათა ამჟრებ კომისიებს. იქრიბება ფული, ტანთსაცმელი, სურსათ-სანოვაგე და სხვა. შემოწირულებს ღებულობს მთავარი კომისია თბილისის გარეუბნის სათემო ერობის ბინაზე.

ქუთაისის სამაზრო ერობამ გორშის ფონდისთვის გადასდომ 100.000 მანეთი.

სენაკის სამაზრო ერობასთან შესდგა მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტი, რომელმაც უკვე დაიწყო მოქმედება. ფართო მასაში დიდი თანაგრძობაა. სამაზრო ერობამ გადასდომ დაზარალებულთა პირველ საჭიროებისათვის 100.000 მ. მოსამსახურებმა გადადგეს პირველ საჭიროებისათვის სამი დღის ხელფასი.

ზესტაცონი. ზესტაცონში შესდგა მაზრის და ქალაქის დამხმარე კომიტეტები. ასეთივე კომიტეტები დგებიან ყველა თემებში. სახელდახელოთ პირველს დახმარებისათვის შეგროვილი 255.000 მანეთი გაეგზავნა გორში ბ. ონიაშვილის სახელზე.

ჩვენმა რედაქტიამ მიიღო დეპეშა თბილისის მიღებისათანავე წალანში დაახსდა მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტები—კომიტეტები შეუდგა შეწირულების შეგროვებას.—კომიტეტი: “ასეთ დეპეშებს რედაქტია იღებს თითქმის ყოველდღე.

გურიის სამაზრო ერობის გამგეობა სასწრაფოთ შეუდგა გორშის ფონდისთვის შემოწირულების შეგროვებას. გამოუშვა მოწოდება სათაურით—საჭარველო განსაცდელშია, რომელშიაც მოკავეს ამ მთავრობის თავმჯდომარის თვითმმართველობისადმი მომართებას, მოუწიოდებს თემებს მაზრაში ამოუდგნენ სამაზრო დახმარების საქმეში ერობას. ერობის გამგეობასთან დაარსდა გორშის ფონდის სამაზრო კომიტეტი. თემებში შეწყო კომიტეტები და შეუდგენ მუშაობას. სამაზრო ერობამ ჯერ-ჯერობით გორშის ფონდისთვის გადასდგა ასი ათასი მანეთი.

ქალაქთა კავშირის მოსამსახურეთა კოოპერატივის წევრების საერთო კრებამ გადასწყვიტა გორშის ფონდში გადასდოს 20.000 მანეთი.

ქ. თბილისის მუნიციპალურ მუშა-მოსამსახურეების კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასწყიფა ამ ხანად აღმოუჩინოს ერთდროული დახმარება გორშისა და მის რაიონებში მიწის ძვრისაგან დაზა-

რალებულთ 10.000 მანეთით და ერთი დღის ქირის გადადებით: ავრეთ-ვე აცნობებს ადგილობრივ სექტიებს გაუგზავნონ ქალ კორში თითო დღის რაციონი პური.

თბილისის ქალაქის გამგეობაში.

ქალაქის გამგეობამ განიხილა საკითხი ებრაელთა და მუსულმანების საკვირაო დასვენების შესახებ. ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს შრომის სამინისტროს და პროფ. კავშირთა წარმომადგენელებმა. დაადგინეს: 1) ეთხოვოს შრომის სამინისტროს და პროფ. კავშირთა გამგეობას გამონახონ აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტათ შემთანხმებელი გზა, რომ გამგეობას საშეალება მიეცეს ებრაელთა და მუსულმანთა ეროვნულ საბჭოების შეამდგომლობის დაქმაყოფილებისა. 2) განმეორებით დადასტურებულ იქნას გამგეობის დადგენილება ყველა საგაჭროებში დღიურ რვა საათის ვაჭრობის შესახებ, მიუწედავათ იმისა, სარგებლობენ თუ არა საგაჭროები დაქირავებულ შრომით. 3) დადასტურებულ იქნას, რომ ორმაგი მორიგეობითი მუშაობა შემოლებულ იქნას იმ საგაჭროებში, რომლებიც უმთავრესათ თევზეულობით ვაჭრობენ.

— თანახმად სასურაპთო განყოფილების სტატისტიკური ცნობებისა, აგვისტოს, სექტემბრის და ოქტომბრის თვეების განმავლობაში მას გამოუცხვია და დაურიგებია 57.550 ფუთი პური, 2.505 ფუთი მჟადი, 16.912 ფუთი დანარჩენი სურათი, 4.500 ფუთი ფურაჟი—სულ 12.558.055 მან. აქედან ქალაქის დაწესებულებებს და წარმომებებს მიუღიათ 38,8% დანარჩენ სახელმწიფო,—საზოგადოებრივ და მათ მოსამსახურედ 34,5%, ქალაქის მოსახლეობას 26,7%.

— ხარჯები მიღლიცის შესანახად: ქალაქის გამგეობას 1919 წ. განმავლობაში მიღლიცის შესანახათ დახხარჯეა: პირად შემადგენლობაზე—16.741.578 მან. 68 კაპ., სამეურნეო ხარჯები არის 659.435 მ., მიღლიციელთა შესამოსათ—2.276.007 მან. 04 კაპ. სისხლის სამართლის მიღლიციაზე 54.600 მ. სულ 19.631.620 მან. 72. კაპ. 1920 წ. ხარჯთ-ალრიცხვის პროექტით მიღლიცის შესანახათ ნავარაუდევია 51.389.345 მ. 78 კ. ამ თანხიდან საჭიროა: პირადი შემადგენლობის შესანახათ უკანასკნელი მომატებით 42 მიღლიონი 951.852 მან. 28 კაპ., სამეურნეო ხარჯების დასაფარავათ 2.549.177 მან. 50 კაპ. მიღლიცის მოსამსახურეთა შემოსვა 5.821.176 მან. სისხლის სამართლის მიღლიციელთაოვნი 66.600 მ.

— ქალაქის გამგეობამ დაადგინა 1 იანვრიდან გაადიდოს ქალაქის სკოლების მასშავლებელთა, გარდა უმაღლეს პირველ დაწყებითი, ჯამაგირები 480 მანეთით და გაკვეთილის ფასათ მიეცათ 20 მანეთით მეტი.

— თბილისის ქალაქის საბჭოს თებერვლის სხდომაზე განხილულ იქნა

საკითხი ქალაქის მუშა-მოსამსახურეთათვის მეათე მომატების შესახებ. საბჭომ იქნია ამაზე მსჯელობა და დაადგინა: იმ მოსამსახურეებს, რომელნიც ლებულობენ 3.000 მანეთამდე, მიეცეს 60%-ი-ანი მომატება, ხოლო იმათ კი ვინც 3.000 მანეთზე მეტს ლებულობენ, მიეცეს 1.800 მანეთი იმ პირობით, რომ მათი ჯამაგირების ძირითადი განსხვავება დარჩეს. მომატება ყველას პირველ იანვრიდან უნდა მიეცეს.

— არტისტული თეატრის შენობის ექულებით ჩამორთმევის შესახებ საბჭომ დაადგინა: შენობა პატრონს იძულებით ჩამოერთვას; თუ შეთანხმება მოხდა ერთ კვირაში—მიეცეს ქალაქის გამგეობას უფლება აღნიშნული თანხა 10-ჯერ გააღიდოს—შენობის გამოსაყიდლათ.

— ბოლო ხანებში საგრძნობლად გახშირდა ვაჭარ-მწარმოებელთა მიერ წარმოების შემცირება, ან და სრული ლიკვიდაცია. ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება შრომის სამინისტრომ და წინადადება მისცა ქალაქის საბჭოს ამოერჩია სალიკვიდაციო კომისია, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევებში გამოარევევდა ლიკვიდაციის მიზნებს. არც ერთ ვაჭარ-მწარმოებელს უფლება არა აქვს მოსამსახურეთა შტატი შეამციროს, ან და წარმოება მოსპოს, თუ სალიკვიდაციო კომისიის მიერ წინასწარ დასტურს არ მიიღებს. კომისიში შედით ქალაქის საბჭოს, საცემრო პალატის, პოლიცესიინალურ კავშირების, ვაჭარ-მრეწველთა მოსამსახურეთა კავშირისა და კოოპერატივთა კავშირის (ფაქტურად უკანასკნელნი სხდომებს არ ესწრებიან) წარმომადგენელი. ხსენებულმა კომისიაშ მუშაობა დაიწყო 1919 წლის 1 ოქტომბერს: 1920 წლის 31 იავრამდის კომისიას ჰქონდა 15 სხდომა. გაარჩია 47 საქმე. სამ შემთხვევაში ნება დართო მწარმოებელთ მუშა-მოსამსახურეთა შტატის შემცირება (სულ სამი კაცი და ორი ქალი), დანარჩენ შემთხვევებში შუამდგომლობა შტატეს შემცირების შესახებ უარყოფილ იქნა, ე. ი. წინააღმდეგ განცხადებისა და გადატენებული 210 მუშა (117 კაცი, და 93 ქალი). ჯამაგირების ყოველ გადიდების შემდეგ სატარიფო პალატის მიერ ასეთი განცხადებები მატულობენ. სალიკვიდაციოს და მის რაოდენობის შესახებ მსჯელობა მომზადებულ კამერის საქმეა და კომისია მის მსჯელობაში არ შედის. კომისიის შესანხად თვეში 2.000 მანეთი იხარჯება, რაც ქალაქის გამგეობას და სავაჭრო პალატას აქვს თანაბრათ. დაკისრებული.

— თბილისის თვითმმართველობაში აღიძრა ქალაქის მცხოვრებთა საერთო აღწერის საქითხი. თუ რამ გამოიწვია ეს აღწერა ამის შესახებ პასუხს იძლევა ქალაქის თვითმმართველობის სტატისტიკურ ბიუროს გამგის მოსსენება:

„საქართველოს დედა-ქალაქ თბილისის, რომლის მცხოვრები რესპუბლიკის ყველა ქალაქების მცხოვრებთა 80% შეადგენს და რომლის პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობა უმთავრეს როლს თამაშობს რესპუბლიკაში, —პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრების აღმუნებლობას და პასუხის-

შეგძლეს ხელმძღვანელთა წინაშე ცხოვრების მიმდინარეობა აყენებს მთელ რიგ საკითხებს, რომელიც მოითხოვენ დაუყონებლივ გარევეულ და სავსე პასუხს. ეს საკითხები ასეთია:

რამდენი მცხოვრებია სულ ქალაქში? რამდენი მცვიდრი და რამდენი მოსული? როგორ ნაწილდებიან მცხოვრები ეროვნების, სექსის, წლოვნების, ხელობის, განათლების, ეკონომიკურ მდგომარეობის და სხვა დემოგრაფიულ ნიშნების მიხედვით; რამდენია ქალაქში უმუშევარი, მათხოვარი, ფიზიკურ ნაკლულოვანებიანი და სხვა?

როგორ როლს თამაშობს ესა თუ ის ეროვნება ან საზოგადოებრივი ჯგუფი კერძოდ ქალაქის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, და საერთოთ რას წარმოადგენს ქალაქის მრეწველობა?

დასასრულ—რა მდგომარებაშია ბინის საკითხი თბილისში? რა გავლენა მოახდინა იმპერიალისტურმა ომმა და რევოლუციაშ სხვა-და-სხვა ეროვნების, კლასის და ჯგუფის მცხოვრებლებზე?

ყველა ამ კითხვებზე პასუხი უნდა გასცეს სტატიისტიკაშ. მაგრამ სტატიისტიკას შეუძლიან მიაღწიოს მხოლოდ ამას მაშინ, როდესაც მისი ხელმძღვანელობით მოხდება ქალაქ თბილისის მცხოვრებთა ძირითადი აღწერა, ქალაქის ეხლანდელ მდგომარეობის შესაფერ პროგრამით.

1917 წლის აღწერის შედეგები ეხლანდელ დროისთვის გამოიუდეგარი და დაძველებულია. ვინაიდან უკანასკნელ აღწერის შემდეგ გასულ 3 წელს მოხდა იმდენი ცვლილება, რამდენიც მშვიდობიან, ნორმალურ პირობებში 50 წელსაც არ მოხდებოდა.

1917 წლის აღწერით ეროვნების მიხედვით ქალაქის მოსახლეობა ასე ნაწილდება: ქართველები შეადგენენ მთელი მოსახლეობის 25,20 %, რუსები—28,20 %, სომხები—33,70 % და სხვა ეროვნებანი—12,10 %. ყველასათვის, ვინც კი ოდნავ მაინც იკნიბს ქალაქის ნამდვილ მდგომარეობას, ცხადია, რომ ეს ციფრები სინამდვილეს არ შეეფერება. საქართველოს თვით-გამორკვევაშ და სონებს და როს ლტოლვილთა წასვლამ უეჭველია, ძირითად შესცვალა ეს პროცენტები.

ყველ ზემო ნათქვამს გარდა უნდა აღინიშნოს შემდეგი. 1917 წლის აღწერაში არ შევიდა მთელი რიგი ასეთი კითხვებისა, რომელთაც საქართველოს დედა-ქალაქისათვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ასეთია, მაგალითად, კითხვები სამშობლო ენის, მცხოვრებთა პროლეტარიზაციის, მუდმივ პროფესიის და ქალაქის მცხოვრებლებზე ომისა და რევოლუციის გავლენის შესახებ და სხვა კითხვები, რომლებიც მაშინ არ იყო მნიშვნელოვანი, მაგრამ აუცილებლათ საჭიროა ეხლა, როდესაც ცხოვრება შეელიტარებულ ფორმებში კი არ ყალიბდება, არამედ ყველაფერი ხელახლად იქნება. ცხადია ქ. თბილისის მომავალ ძირითად აღწერაში ყველა ეს საკითხები შეტანილი იქნება და ეს აღწერა გარდაიქცევა რიცხობრივი ცნობების მდიდარი წყაროთ, საიდანაც ქალაქის პოლიტიკურ-ეკონომიკური

ცხოვრების აღმზენებლებს და ხელმვევანელებს შეეძლებათ იმ ცნობების ამოკრება, რომელიც საჭიროა მთელი. ოცნებულიკის მთავარ ეკონომიკურ ცენტრის, საქართველოს დედა-ქალაქის ცხოვრების საზოგადებრივ აღმზენებლობის და სახელმწიფო ბრიტულ მუშაობისთვის“.

თათგირი დედა-ქალაქის ფინანსის კრიზისის შესახებ.

თბილისის ქალაქის მოურავმა ამ დღეებში მოიწყა ქალაქის გამგეობის და საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შეერთებული კრება, რომელზედაც მოწვეული იყვნენ ქალაქის საქმეების და ფინანსების მუნიციპალური პირი. ამ კრებას დასტურო ფინანსთა მინისტრი კ. კანდელაკი. კრება მოიწყა ქალაქის მოურავმა იმ მიზნით, რომ გაეცნო მცოდნე მოღვაწეებისათვის საქმის უმწეო მდგომარეობა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შედეგ მიერწიათ ჯეროვან გადაწყვეტილებამდე.

ამ კრებაზედ გამოთქმული აზრები ქალაქის საქმეების დღევანდელ მდგომარეობის შესახებ და აგრეთვე სხვა-და-სხვა წინადადებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად მეტად საინტერესოა და ამიტომ ჩენ მოგვყავს დაწვრილებითი ანგარიშები ამ სხდომისა.

თავმჯდომარეობდა ქალაქის მოურავი ბ. ჩხივენიშვილი. დაესწრნენ გამგეობის წევრები: გ. კონიაშვილი, ი. ბესელიძე, კ. ფანიევი, გ. შოთაძე, გ. მაჭავარიანი, და აკ. პაპავა, საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის წევრები: დ. ოოფურიძე, ნ. ელიავა, პ. გოთუა, ირ. გუნცაძე, გრ. გველესინი, ერ. სიჩბილაძე, ალ. ახმეტელი, დ. სულიაშვილი, მუღნე პირნი; ფინანსთა მინისტრი კ. კანდელაძე, ნ. ნიკოლაძე, ამ. ინწყირველი, გიგინეიშვილი და კ. ხახანაშვილი.

ქალაქის მოურავის მოსხენება. ქალაქის მოურავი ბ. ჩხიფავაშვილი მოახსენებს ქალაქის გაჭირებულ ფინანსიურ მდგომარეობაზე და აღნიშნავს რომ კატასტროფა აუცილებელი იქნება, თუ არ მივიღებთ განსაკუთრებულ ზომებს ამ მდგომარეობიდან გამოსასულელათ. თუ არ მივიღებთ შევდევლობაში მოსალოდნელ მომატებებს ჯამში გარებისას 1920 წლის განმაფლობაში, ქალაქის გასავალი ამ წელს 250 მილიონამდე იქნება, შემოსავალი კი 70 მილიონს არ აღემატება. მაშასადამე ქალაქის შემოსავლით დავფარავთ გასავლის მხოლოდ მეოთხედს. ამის გამო ჩვენს წინაშე დგება კითხვა: რა სა-შუალებით და ზომებით შეგვეძლება ქალაქის ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესება, რა შემოსავლის წყაროებიდან შეგვეძლება დავფაროთ ყოველ დოკური ხარჯები?

ხსნა მუნიციპალურ ვაჭრობაშია. გ. გველუსიანი აღნიშნავს ქალაქის გაჭირებულ ამ მდგომარეობას და აცხადებს, რომ ჩვეულებრივ გადასხვადე-

ბით, როგორც უნდა გავადილოთ ისინი, წლიურ ხარჯების დაფარვა არ შეიძლება.

ქალაქის ფინანსიური მდგრამარეობა გაუმჯობესდება, თუ იგი ჩატება შეამავლად მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. ქალაქმა უნდა დაიწყოს ვაჭრობა პირველი მოთხოვნილების საგნებით, მცირე მოგებით; მაგალითად შეაქრი თბილისში საშინელი ძვირია, ბართალია მისი შემოტანა უცხო სახელმწიფოდან, დღევანდელს პირობებში ქალაქისათვის ძნელია, მაგრამ არსებული გაყიდვა, განაწილება ქალაქმა უნდა იყისროს მცირე მოგებით.

ასევე უნდა ვთქვა რამის პროდუქტების შესახებაც. თუ ქალაქს არ ძალას თავისი საკუთარი ფურმის მოწყობა. მან თავის ხელში უნდა აიღოს მისი განაწილების და გაყიდვის საჭერა.

ამასთანავე ქალაქება უნდა იფექტუროს სესხშედაც და გაზიარებადთა გაუმჯობესებულ სისტემით, ბაზარზედ შეამატათ გამოსცვლით და სესხით შეიძლება მოვარდეს და გამკუთღეს ქალაქის თინანისური მდგომარეობა.

ჩვენ გვიხსნის გადიდებული გადასახადები და სესხი. 6. ელიავთ. წასული წლის ხარჯო-ალრიცვა, რაც უნდა სწორეთ იყოს ის შედეგნილი, არ არის წსორი მაჩვენებელი მომავალი ხარჯებისა. ჩვენ დღეს განსაკუთრებულ პირობებში ვცხოვრობთ და ამიტომ მდგომარეობა იწვევს მოულოდნელ, განსაკუთრებულ ხარჯებს ქალაქისაგან და არაეს არ შეუძლია სთვესა, რომ წარსული წლის ხარჯები დაახლოებით მაინც შეგვაძლებინებს მომავალი წლის ხარჯების გათვალისწინებას. განსაკუთრებული მდგომარეობა განსაკუთრებულ ზომებს ითხოვს, მაგრამ ის ზომებიც რომლებიც გვიწვენა გველესიანმა განუხორციელებელია. რძის ფერმა ქალაქმა უნდა მოაწყოს არა მოგების მიზნით, ეს უნდა გააკეთოს ქალაქმა იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ამ საქმეზედ იზარალებს კიდეც. ქალაქს არ შეუძლია აგრძეთვი შაქარი და სხვა პირებელ მოთხოვნილების საგნები განადოს მოგების და შემოსავლის წყაროთ. მაშასადამე დარჩა ორი გზა: გადასახადები და სესხი.

გადასახადები უნდა გავაღილოთ შესაძლებელ ზომამდე. თუ მივიღებთ მხედველობაში დღევანდველი ჩვენი ფულის კურსს, უნდა ვაღიაროთ, რომ გადასახადები მეტად მცირება და ამიტომ გადიდება თუ ასჯერ არა 25 ჯერ მაინც შესაძლო და საჭიროა. მაგ. შეფასების კვალობაზე გადასახადი, დაუყოვნებლივ უნდა გადიდეს. უნდა მოხდეს შეფასება ქალაქის უძრავ ქონებისა ღრმებულების მიხედვით და ამ საფუძველით დაიბეგროს ყველა მამული. მეორე გზა არის სესხი, მგრამ ეს სესხი უნდა იყოს შინაური, კა-პიტალისტებისა და ბანკებისაგან ან უცხო სახელმწიფოსაგან. მთავრობის სესხის იმედი არც უნდა გვერდეს და არც სასურველია, რაღაც თუ მთავრობა 100 მილიონადის ასესებს ქალაქს და სათანადო გააღიდებს ბონების ემისიას, ეს ასი მილიონით დასცემს ჩვენი ბონების კურსს. მაშასა-დამე გადიდებული გადასახადები და სესხი შინაური ან უცხო სახელმწი-ფი

ფოში, აი ის გზა, რომელსაც შეუძლიან ქალაქის მდგომარეობის გაუმჯობესება.

საჭიროა კონცესიების გაცემა და სესხის აღება. 6. ნიკოლაძე გარდა იმ საშუალებებისა, რომლებიც აქ აღნიშნეს, ქალაქის ფინანსიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, არის კიდევ ამისათვის სხვა ზომები. თვითმმართველობამ უნდა გამოიყენოს ბუნება ჩვენი ქალაქისა.

დღეს ქალაქის უმთავრეს ხარჯს შეადგენს ელექტრონი; ტრამვაი, წყალსადენი და სხვა წარმოებანი უმთავრესათ ელექტრონის ენერგიით სარგებლობენ და ამ ენერგიის შოვნა-შექმნა მეტად ძირით უჯდება ქალაქს, რაშინ როდესაც ქალაქს აქვს ისეთი სიმძიდრე, როგორიც არის მდინარე მტკერი და არაგვი. ჩვენ უნდა გამოიყენოთ ეს მდინარეები, როგორც შამძრავებელი ძალა, და ის დიდი ხარჯები, რომელსაც ეწევა ქალაქი ენერგიის შოვნაში, შევამციროთ მინიმუმადე ერთის მხრით და მეორეს მხრით-კი ამ გზით შეძნილი ძალა გამოიყენოთ ახალ წარმოებათა ასალორიძინებლათ.

თბილისი გაჭირებულ ფინანსიურ მდგომარეობას განიცდის დიდი ხანია, მაგრამ თბილისის მდგომარეობა და მისი მნიშვნელობა ვაჭრობა-მრეწველობაში იმდენათ სახეიროა მისთვის, რომ მისი კარგი მომავალი ყველასთვის ცხადია. დღეს ქალაქი თავის კანში ვეღარ ეტევა, მცხოვრებთა რიცხვი საოცრათ გაზრდილია. ამიტომ ქალაქს უნდა მიეცეს მიწა მის ირგვლივ ათი ვერსის რადიუსისა, ამ თავისუფალ ადგილზედ ქალაქმა უნდა ააგოს ბინები და თუ ამას იგი თავის საშუალებებით ვერ შესძლებს უნდა მოაწყოს ეს კონცესიის საშუალებით. დიდი სიმძიდრე აქვს ქალაქს აგრეთვე აბანოების სახით. ამის შესახებ ბევრი დაწერილა და თქმულა ქალაქის თვითმმართველობაში. უნდა მიექცეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ თბილისი აბანოებით სარგებლობა შეიძლება მთელი წლის განმავლობაში, მაშინ როდესაც აახენში და სხვა ეპროპის ქალაქებში აბანოებით სარგებლობა შეიძლება მხოლოდ წლის განსაზღვრულ დროს. ეხლა დადგა დრო აბანოების შესახებ შემუშავებულ პროექტის განხორციელებისა და ქალაქიც დაუყოვნებლივ უნდა შეუდეგს მას. ამას გარდა უნდა აღნიშნოთ ერთი ფრიად სამწუხარო მოვლენა. სახელმისამართის ის, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ვაჭრობა უსწრებს, სკარბობს მრეწველობას და ის სახელმწიფო, რომ მელიც არ ანვითარებს წარმოებას, გაკოტრების გზას ადგია და მომვალი კარგი არა აქვს. ამიტომ ქალაქმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაკუთის მრეწველობის ალორიძნებას და ეს გზა იხსნის როგორც ქალაქს, ისე სახელმწიფოს გაკოტრებისაგან.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ფინანსებისათვის საქალაქო დებულების უვარესობას, რომელიც ეკატერინე მეორეს დროიდან თითქმის არ შეცვლილა. ეს დებულება დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს და ქალაქის საბიუჯეტო უფლებები გაფართოვდეს.

სესხს კი ყოველივე შემთხვევაში, ეერ ავცდებით, რადგან როგორც უნდა ფართოდ დაიწყოს ქალაქმა აღმშენებლობითი-დადებითი მუშაობა, ეს მუშაობა შედეგს მოიტანს მხოლოდ ერთი ან ორი წლის შემდეგ. დღე-ვანდელი საჭიროებისათვის კი ქალაქს მხოლოდ სესხი დააქმაყოფილებს.

აზრი ფინანსთა მინისტრისა. კ. კადლელაკი. ნაწილობრივ ზომებთან ერთად, საჭიროა გავითვალისწინოთ საერთო ზომებიც. ქილაქის ფინანსიური მდგომარეობა დამრეკიდებულია სახელმწიფოს ფინანსიურ მდგომარეობაზე და ქალაქის ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი უნდა გადიტრას. სახელმწიფო მასშტაბით.

